# ლელო

№264 (12 334)
12 ნოემბერი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სისხლიანი კვირა იტალიაში

ერთი კაცი მოკლულია, სამი მატჩი გადაიდო 6



## ორი მსოფლიო ჩემპიონი სამბოში: უშანგი კუზანაშვილი და მირიან პავლიაშვილი

14

**8–10 ნოემბერს ლელოს გამოცემა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. დღეიდან გაზეთი გამოვა ჩვეული განრიგით**

16 ნოემბერი. ყატარი-საქართველო

# ტოპმიოლერი გუნდს ხვალ შეკრებს



ხვალ, 13 ნოემბერს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გუნდს ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრებს და ყატართან 16 ნოემბრის ამხანაგური და ლიტვასთან 21 ნოემბრის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებაც დაიწყება. ტოპმიოლერმა ამ თამაშებისთვის ნაკრებში 22 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: გიორგი მაკარიძე (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი).

მცველები: კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (შტუმრი, ავსტრია), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია).

ნახევარმცველები: ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა), დავით კვირკველია (მეტალურგი ზ. უკრაინა), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), გოგიტა გოგუა (სატურნი, რუსეთი), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), გიორგი დეკანოსიძე (ამერი).

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ოთარ მარცვალაძე (ზაკარპატიე, უკრაინა), დავით სირაძე (პადერბორნი, გერმანია), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ნიკა გელაშვილი (ვიტ ჯორჯია).

19-წლამდელთა ნაკრების უკვე ყოფილი წევრები, ამირან სანაია და როინ კვასხვაძე ეროვნულ ნაკრებში პირველად მოხვდნენ და დებიუტის მოლოდინში არიან.

ნაკრები ხვალიდანვე შეუდგება ვარჯიშს. ხუთშაბათს, 15 ნოემბერს დილით კი ჩარტერული ავიარეისით ყატარში გაემგზავრება. მომდევნო დღეს ყატარისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. მატჩის დასრულებისთანავე საქართველოს ნაკრები სამშობლოში დაბრუნდება და ლიტვასთან თამაშისთვის თბილისში გააგრძელებს მზადებას. საქართველო-ლიტვის მატჩი 21 ნოემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 19:30 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ახალგაზრდული ნაკრები

# სეგრტის გუნდი თურქეთს მიემგზავრება

## გუშინ ნაკრებს ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდა



გიორგი ივანიშვილი რუსეთთან ვერ ითამაშებს

21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ჩვენს ნაკრებს მორიგი მატჩი შინ რუსეთთან 20 ნოემბერს უწევს. Pსაქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწრთნელმა პეტარ სეგრტმა ამ მატჩისთვის ნაკრებში გუნდში გამოძახებულთა შემადგენლობა უკვე დაასახელა:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (მერანი), გიორგი ლორია (დინამო).

მცველები: მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი (ორივე დინამო), გიორგი თავბერიძე (სიონი), გიორგი ელბაქიძე, დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია (ყველა ამერი), უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), გიორგი ნავალოვსკი, გიორგი ჩიხრაძე (ორივე ოლიმპი).

ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), სანდრო კობახიძე, გიორგი მერებაშვილი (ორივე დინამო), მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი (ორივე ზესტაფონი), ზაქარია ბეგლარიშვილი (ოლიმპი).

თავდამსხმელები: რევაზ ბარაბაძე (კარლ ცაისი, გერმანია), გიორგი ივანიშვილი (ციურიხი, შვეიცარია), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ვლადიმერ დვალიშვილი (ოლიმპი).

ეროვნულის დარად ახალგაზრდულ ნაკრებშიც რამდენიმე ახალი სახეა - "ფრაიბურგის" ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** და რუსთავის "ოლიმპის" მცველი **გიორგი ჩიხრაძე**.

ნაკრები გუშინ, 11 ნოემბერს ტექნიკურ ცენტრ "ბასაში შეიკრიბა. ვარჯიშზე გახდა ცნობილი, რომ რუსეთთან მატჩში ჩვენს გუნდს ტრავმების გამო დააკლდებათ გიორგი ივანიშვილი, გიორგი ფოფხაძე, დავით მჭედლიშვილი და გურამ კაშია. საეჭვოა გიორგი მერებაშვილის თამაშიც. მათ ნაცვლად სეგრტმა რუსთავის "ოლიმპიდან" **გიორგი კახელიშვილს** და "მესხეთიდან" **თემურ აფრიამაშვილს** უხმო.

დღეს გამთენიისას ჩვენი ნაკრები თურქეთს გაემგზავრა. ლეგიონერები ნაკრებს იქვე შეუერთდებიან. სეგრტის გუნდი ტრაბზონში თურქეთის ნაკრების ბაზაზე მოემზადება და თბილისში რუსეთთან მატჩის წინა დღეს, 19 ნოემბერს დაბრუნდება.

დაბოლოს, საქართველო-რუსეთის მატჩს ბერძენი მსაჯები მოემსახურებიან. **მიხალის გერმანოკოსს** თანამსაჯები **დიმიტრიოს პაპადოპულოსი** და **ხრისტოს აკროვოსი** დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯი კი **ვასილიოს პაპოდორისი** იქნება. მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 19 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

მეტოქე

# ოცნი ოცისთვის

რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ბორის სტუკალევმა საქართველოსთან 20 ნოემბრის მატჩისთვის ნაკრებში 20 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: მიხაილ კერჟაკოვი (ზენიტი), ნიკიტა ტალალახინი (ურალი), სოსლან ჯანაევი (კამაზი).

მცველები: კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), სერგეი ეფიმოვი (ლოკომოტივი), იური ლებედევი (ზენიტი), ვლადიმირ გრანატი (დინამო), ფიოდორ კუდრიაშოვი, რომან შიშკინი (ორივე სპარტაკი), ანდრი ლუკაჩენკოვი (სკა, როსტოვი), დმიტრი იატჩენკო (სპარტაკი, ნალჩ.)

ნახევარმცველები: კირილ კომბაროვი, დმიტრი კომბაროვი (ორივე დინამო), ივან ტარანოვი (ცსკა), ვიქტორ ფაიზულინი, ოლეგ სამსონოვი (ორივე სპარტაკი ნალჩ.), Aანდრეი ნაგუმანოვი (ტექსტილშჩიკი), პაველ გოლიშევი (მოსკვა).

თავდამსხმელები: ალექსანდრ პრუდნიკოვი (სპარტაკი), ოლეგ კოჯანოვი (ურალი).

რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები 13 ნოემბერს ბორაში, სანაკრებო ბაზაზე შეიკრიბება, 14 ნოებრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით ანტალიაში მოემზადება. ხოლო 18 ნოემბერს თბილისში ჩამოფრინდება.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# აშვეთია და აბრამიძე ანჟიში

მახაჭყალის "ანჟის" მთავარი მწვრთნელის, **ომარ თეთრაძის** განცხადებით, მომავალ სეზონში მისი გუნდის ღირსებას **მიხეილ აშვეთია** და **ვალერი აბრამიძე** დაიცავენ. *"მათ კლუბთან უკვე გააფორმეს კონტრაქტები"*, - თქვა პრესკონფერენციაზე თეთრაძემ, ამის შემდეგ კი "ანჟის" სხვა ახალწვეულებზე ისაუბრა.

შეგახსენებთ, აშვეთიასა და აბრამიძის "ანჟიში" ჩარიცხვაზე ადრეც იყო საუბარი, მაგრამ მაშინ ამ საქმისგან არაფერი გამოვიდა. როგორც ჩანს, არცთუ სახარბიელო შედეგების მიუხედავად, პოსტს თვით ომარ თეთრაძეც შეინარჩუნებს. ჯერჯერობით, უცნობია, რას იზამს მახაჭყალელთა ქართველი ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა**.



მიხეილ აშვეთია



ლევან მჭედლიძე

დებიუტი

# ლევან მჭედლიძემ ემპოლიში ითამაშა

**ლევან მჭედლიძე** ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ მას **კლაუს ტოპმიოლერი** ბევრ გამოცდილზე მეტად ენდობა.

ლევანი შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს დაეხმარა და ნორვეგიასთან საკმაოდ მძიმედაც დაშავდა - კუნთი გაეჭიმა. ამის გამო იტალიაში დაბრუნებული მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ლუიჯი კანი** სინანულით აღნიშნავდა, რომ გულშემატკივარს ქართველი ტალანტის ნახვის საშუალება არ მიეცა.

საბედნიეროდ, ლევანმა მკურნალობა დაასრულა, მომჯობინდა და ახლა უკვე "ემპოლისთან" ერთად ვარჯიშობს. თუმცა ძირითად გუნდში თამაშის საშუალება ჯერ არ მიეცა.

როგორც ლევანის მამამ, ბატონმა **კარლო მჭედლიძემ** გვითხრა, ლევანის დებიუტი სერია A-ს ბოლო ტურის მატჩში იგეგმებოდა: *"ეს შეხვედრა "ემპოლიმ" "იუვენტუსთან" ჩაატარა. სამწუხაროდ, ლევანმა ვერ ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ ლუიჯი კანისაც სურდა და გუნდის მთელ ხელმძღვანელობასაც.*

*თუმცა, მისი დებიუტი მაინც შედგა, ოღონდ მეორე გუნდში. ლევანმა "ატალანტასთან" შეხვედრაში მეორე ტაიმი ითამაშა. ის მალე თბილისში ჩამოვა და ნაკრებს შეუერთდება შეკრებაზე. მთავარია, რომ ახლა ჯანმრთელადაა და თამაში შეუძლია".*

ლევან მჭედლიძე მეხუთე ქართველია, რომელმაც იტალიაში ითამაშა. 1997 წელს **გიორგი ნემსაძე** ჩაირიცხა "რეჯინაში", 2000 წელს - **კახა კალაძე** "მილანში". 2003 წელს **კახა ახალაძე** სერია C-ს გუნდში, ხოლო მოყვარულთა ლიგაში **გიორგი რეხვიაშვილი** თამაშობდა და შარშან საქართველოში დაბრუნდა.

ლევან მჭედლიძე მეორე ქართველია, რომელმაც სერია ა-ს გუნდის ფორმა მოირგო, თუმცა ჯერ მხოლოდ დუბლებში.

**მერაბ მამულაშვილი**

U 20. ამხანაგური მატჩი

# 12 დეკემბერს ლუქსემბურგში ვითამაშებთ

საქართველოსა და ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციათა შორის მიღწეული შეთანხმებით ჩვენი 20 წლამდელთა ნაკრები 12 დეკემბერს ლუქსემბურგელ თანატოლებთან სტუმრად ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ გუნდში სწორედ ის ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებიც ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგს 10 დეკემბერს გაემგზავრება. ლეგიონერები გუნდს ადგილზე შეუერთდებიან. **პეტარ სეგრტის** გადაწყვეტილებით ლუქსემბურგში გუნდს ამჟამინდელი ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებიც დაემატებიან, 20-წლამდე ნაკრების შემადგენლობა ნოემბრის ბოლოს გამოცხადდება. მატჩი 12 დეკემბერს თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გია გურულთან

# იმპორტი დინამოსა და ზესტაფონისთვის

## ამერისგან პასუხის მოლოდინში

შარშანწინ, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი კონტრაქტის ამოწურვამდე დაითხოვეს თანამდებობიდან, მისმა თანაშემწემ გია გურულმა საფრანგეთში გააგრძელა საქმიანობა.

გურული იქ ახლა ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდს წვრთნის და იმავდროულად მენეჯერობს კიდეც - ფიფას აგენტია და მისი შემწეობით საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე უცხოელი თამაშობს. მაგალითად, დიდიე ოვონო და ჯორჯ აკირემი "დინამოში", ბოიომო ფრიდოლინი, ერიკ რომეო ჩასემი და გასტონ ევოჩე "სიონში".

გურულს საფრანგეთში რომ დავუკავშირდით, აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ...

- მწვრთნელის პროფლიცენზია რომ ავიღო, 800 საათი უნდა მქონდეს ნამუშევარი მოყვარულებში. 800 საათს დაახლოებით წელიწადნახევარში შევასრულებ. მერე გამოცდა უნდა ჩავაბარო, შემდეგ პროფლიცენზიის კურსებზე უნდა ვიარო და დიპლომი დავიცვა. მოკლედ, საფრანგეთში პროფლიცენზიის აღება მეტად გართულებულია.

**- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დეკემბრის დასაწყისში დასრულდება და ალბათ, შეგულებული გყავთ ფეხბურთელები რამდენიმე ქართული კლუბისთვის...**

- "დინამო" და "ზესტაფონი" დაინტერესებულები არიან, თითო-თითო ლეგიონერი კიდევ აიყვანონ. როცა საქართველოში სეზონის პირველი ეტაპი დამთავრდება, კონკრეტულად მერე გაირკვევა ყველაფერი.

**- სხვა ქართულ კლუბებთან არ გიწარმოებიათ მოლაპარაკება?**

- თბილისის "ამერთან" მქონდა საუბარი. ამ გუნდს ცენტრალური მცველი აინტერესებდა, თუმცა საქმე ამის იქით არ წასულა, რადგან "ამერიდან" ზუსტი პასუხი ჯერ არ მიმიღია.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაახლობით ერთ თვეში უნდა გადაწყვიტოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა საკითხი. როგორ ფიქრობთ, გამართლებულია სამივე ასაკობრივი ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევა?**

- სავსებით დასაშვებია, რომ სამივე ასაკობრივ ნაკრებში უცხოელი მწვრთნელი გვყავდეს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი. თუ უცხოელი ჩამოვა ასაკობრივ ნაკრებში სამუშაოდ, მაშინ სულ საქართველოში უნდა იყოს, რამეთუ ასაკობრივი ნაკრებების ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ კლუბებში თამაშობს.

**- მიგაჩნიათ, რომ ქართველი მწვრთნელები ასაკობრივ ნაკრებებს წარმატებით ვერ ამუშავებენ?**

- საქართველოს ჰყავს არცთუ ბევრი, მაგრამ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მწვრთნელი, მაგრამ კარგად ვიცი, თუ როგორ გაიცემა საქართველოში სამწვრთნელო ლიცენზიები. ერთი თუ ორთვიანი ლექციების კურსი და ეგრევე დიპლომი. მიმაჩნია, რომ საქართველოში მწვრთნელთა პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები დასახვეწია.

**- ალენ ჟირესს მიაჩნდა, რომ 18 წლის ჯაბა კანკავასთვის ეროვნულ ნაკრებში თამაში ნაადრევი იყო, კლაუს ტოპმიოლერმა კი შოტლანდიასთან სამი 17 წლის ფეხბურთელი სასტარტოში გაამწესა. ამ ასპექტში ჟირესს ემხრობით თუ ტოპმიოლერს?**

- ნოდარ ახალკაცი ახალგაზრდა ფეხბურთელს ჯერ 10-15 წუთით შეუშვებდა მოედანზე უმაღლესი ლიგის მატჩში, ნელ-ნელა აჩვევდა მაღალ დონეზე თამაშს. ჟირესიც უფრთხილდებოდა ახალგაზრდა ფეხბურთელების ფსიქოლოგიას, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც არ ნერვიულობენ, მაღალ დონეზე სათამაშოდ მოედანზე უპრობლემოდ გადიან. ერთი სიტყვით, ყველაფერი ინდივიდზეა დამოკიდებული - ზოგ ახალგაზრდას ძალიან სათუთი ფსიქიკა აქვს, ზოგს კი - პირიქით. თუმცა, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში ათამაშებ და მერე ასაკობრივ ნაკრებშიც თხოვ თამაშს, ეს მიზანშეწონილად არ მიმაჩნია - ფეხბურთელი ზემოდან ქვემოთ არ უნდა ჩამოიყვანო.

**დავით თავართქილაძე**



გია გურული

ტორპედო

# ქუთაისში ივანიშვილის ელოდებიან

ბოლო დროს ქუთაისში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ტორპედოს" იანვრიდან ბიზნესმენი **ბიძინა ივანიშვილი** დააფინანსებს. ქუთაისური გუნდის პრეზიდენტი კი ივანიშვილის ერთ-ერთი უახლოესი ნათესავი იქნება. ამ ინფორმაციამ „ტორპედოს" გულშემატკივრებს იმედი გაუღვიძა, რომ მათი საყვარელი გუნდი უმაღლეს ლიგას დაუბრუნდება და იქაც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

ინფორმაციის სისწორე „ტორპედოს" ხელმძღვანელობასთან გადავამოწმეთ. ისინი გავრცელებულ ხმებს ოფიციალურად არ ადასტურებენ, მაგრამ „ტორპედოსთან" მიმართებაში ივანიშვილის გვარი მართლაც რომ გაჟღერდა ამას არ უარყოფენ. *„ჯერჯერობით უწინდელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. რაც შეეხება სპონსორის საკითხს, ცოტა ხნის წინათ ქუთაისის მერიაში ბიძინა ივანიშვილის მიერ „ტორპედოს" შესაძლო დაფინანსებაზე მართლაც ითქვა, მაგრამ ჩვენთან არავინ მოსულა და არც სპონსორობის სურვილი გამოუთქვამს ვინმეს. თუ რაიმე კონკრეტული წინადადება იქნება, ამას აუცილებლად გაიგებთ"*, - „ლელოსთან" საუბარში განაცხადა გუნდის უფროსმა **პაპუნა მელაძემ**.

ერთ-ერთი წყაროს მტკიცებით კი, „ტორპედოში" ბიძინა ივანიშვილის ნათესავების მოსვლას ელოდებიან და, როგორც კი საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა ჩაივლის, გუნდსა და ინვესტორს შორის მოლაპარაკებებიც დაიწყება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

გამოკითხვა

# არველაძე და კალაძე

როგორც იცით, პოპულარული "სპორტ-ექსპრესი" ყოველთვიურად ატარებს დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას. იმასაც შეგახსენებთ, რომ ყოფილი სსრკ-ის თითოეული ქვეყნიდან ყოველთვიურად, მორიგეობით თითო გამოცემას აქვს რჩეულთა დასახელების საშუალება.

ოქტომბრის ნომინანტებში ქართველები საერთოდ არ მოხვედრილან, გასული თვის საუკეთესო ხუთეული კი ასეთია:

1. **რომან პავლიუჩენკო** (რუს. სპარტაკი მ.)
2. **ანდრეი არშავინი** (რუსეთი, ზენიტი)
3. **ალექსანდრ გლები** (ბელარ. არსენალი)
4. **მაქსიმ კალინიჩენკო** (უკრ. სპარტაკი მ.)
5. **კონსტანტინ ზირიანოვი** (რუს. ზენიტი)

საერთო ჩათვლაში კი ჩვენს თანამემამულეთაგან საუკეთესო შედეგი **შოთა არველაძეს** აქვს, რომელიც 79 ქულით მე-8 ადგილზეა. ვეტერანმა ქართველმა მეგოლემ ამ შედეგს მხოლოდ წლის პირველ ნახევარში მიაღწია, მიმდინარე სეზონში მას ტრავმის გამო ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. **კახა კალაძე** 49 ქულით მე-14 ადგილზეა. სიაში მხოლოდ ეს ორი ქართველია, ცნობისათვის, 31-ე პოზიციაზეა ქართული წარმოშობის ყაზახი გოლკიპერი **დავით ლორია**. საერთო ჩათვლის ლიდერები კი არიან:

1. **ალექსანდრ კერჟაკოვი** (რუს. სევილია)
2. **ანდრეი შევჩენკო** (უკრაინა, ჩელსი)
3. **რომან პავლიუჩენკო** (რუს. სპარტაკი მ.)
4. **ანდრეი არშავინი** (რუსეთი, ზენიტი)
5. **ანდრეი ვორონინი** (უკრ. ლივერპული)

როგორც ხედავთ, **ალექსანდრ კერჟაკოვს** წლის ფეხბურთელობა, ფაქტობრივად, დაბევებული აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



შოთა არველაძე

ევრო 2008

# უკვე ყოფილი მეტოქეები

ჩვენი შესარჩევი ჯგუფის გადამწყვეტი დაპირისპირება 17 ნოემბერს, გლაზგოში გაიმართება შოტლანდიასა და იტალიას შორის. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბრიტანელებს გამარჯვება სჭირდებათ, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს კი ფრეც ჰყოფნით. ფრანგები მხოლოდ საკუთარ თავზე არიან დამოკიდებულნი, ავსტრია-შვეიცარიაში გასამგზავრებლად მათ შინ ლიტვასა და სტუმრად უკრაინას უნდა სძლიონ. B ჯგუფში დარჩენილი მატჩების განრიგი ასეთია:

17 ნოემბერი: **შოტლანდია-იტალია, ლიტვა-უკრაინა.**

21 ნოემბერი: **საქართველო-ლიტვა, უკრაინა-საფრანგეთი, იტალია-ფარერები.**

შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს "სელტიკის" ნახევარმცველი **სკოტ ბრაუნი** დაუბრუნდა, რომელსაც ტრავმების გამო, ეროვნული გუნდის ბოლო რამდენიმე მატჩი გაუცდა. ისე კი, **ალექს მაკლიშის** სამწყსოში იტალიასთან მატჩისთვის დიდი ცვლილებები არაა:

მეკარეები: **კრეიგ გორდონი** (სანდერლენდი), **დევიდ მარშალი** (ნორვიჩი), **ალან მაკგრეგორი** (რეინჯერსი).

მცველები: **გრემ ალექსანდერი** (ბარნლი), **გარი კოლდუელი** (სელტიკი), **კრისტიან დეილი** (ვესტ ჰემი), **ალან ჰატონი** (რეინჯერსი), **ჯეი მაკიუელი** (დერბი), **სტივენ მაკმანუსი** (სელტიკი), **გარი ნეისმიტი** (შეფილდ იუნ.), **დევიდ ვეირი** (რეინჯერსი).

ნახევარმცველები: **სკოტ ბრაუნი** (სელტიკი), **ბარი ფერგიუსონი** (რეინჯერსი), **დარენ ფლეტჩერი** (მანჩესტერი), **პოლ ჰარტლი** (სელტიკი), **ლი მაკკალოჰი** (რეინჯერსი), **სტივენ პირსონი** (დერბი), **ბარი რობსონი** (დანდი იუნ.), **გარი ტილი** (დერბი).

თავდამსხმელები: **კრეიგ ბიტი** (ვესტ ბრომვიჩი), **კრის ბოიდი** (რეინჯერსი), **ჯეიმს მაკფადენი** (ევერტონი), **შონ მელონი** (ასტონ ვილა), **კენი მილერი** (დერბი), **გარი ოკონორი** (ბირმინგემი).

იტალიის ნაკრები შოტლანდიასთან გადამწყვეტი მატჩისთვის მზადებას დღეიდან შეუდგება. გუშინ, **რობერტო დონადონიმ** დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც სკოტებთან და ფარერებთან (21 ნოემბერი) დასკვნით შესარჩევ შეხვედრებს ჩაატარებს. "სკუადრა აძურაში" მთავარი სიახლე **რაფაელე პალადინოა**. "იუვენტუსის" 23 წლის ფორვარდი ბოლო ხანებში ჩინებულად თამაშობს და დონადონის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მოულოდნელი. შესაბამისად, მწვრთნელმა სახლში დატოვა **ალესანდრო დელ პიერო** და **ფილიპო ინძაგი**, რაც ასევე არ არის გასაკვირი. სხვა სიახლეა ის, რომ დისკვალიფიკაციის შემდეგ ნაკრებს უბრუნდება კაპიტანი **ფაბიო კანავარო**. დონადონიმ გამოიძახა **ჯანლუკა ძამბროტაც**, რომელსაც ბოლო ხანებში ტრავმა აწუხებდა. მოკლედ, "სკუადრა აძურა" სრულად ასე გამოიყურება:

მეკარეები: **ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი), **მარკო ამელია** (ლივორნო), **ჯანლუკა კურჩი** (რომა);

მცველები: **ფაბიო კანავარო** (რეალი), **ანდრეა ბარძალი** (პალერმო), **დანიელე ბონერა**, **მასიმო ოდო** (ორივე მილანი), **ჯორჯო კიელინი** (იუვენტუსი), **ფაბიო გროსო** (ლიონი), **კრისტიან პანუჩი** (რომა), **ჯანლუკა ძამბროტა** (ბარსელონა);

ნახევარმცველები: **მასიმო ამბროზინი**, **ჯენარო გატუზო**, **ანდრეა პირლო** (ყველა მილანი), **მაურო კამორანეზი** (იუვენტუსი), **დანიელე დე როსი**, **სიმონე პეროტა** (ორივე რომა);

თავდამსხმელები: **ანტონიო დი ნატალე**, **ფაბიო კვალიარელა** (ორივე უდინეზე), **ალბერტო ჯილარდინო** (მილანი), **ვინჩენცო იაკუინტა**, **რაფაელე პალადინო** (იუვენტუსი), **კრისტიანო ლუკარელი** (შახტარი), **ლუკა ტონი** (ბაიერნი).

განსაკუთრებული სიახლეები არც უკრაინელთა ბანაკშია, **ოლეგ ბლოხინი** კვლავ ძველ გვარდიას ენდობა. მასსა და **ანდრეი ვორონინს** შორის კონფლიქტი ჩაცხრა და "ლივერპულის" ფორვარდი კვლავ ნაკრებშია. ბლოხინს ჯერ არ უთქვამს, დარჩება თუ არა თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში, არადა, არცთუ დიდი ხნის წინათ განაცხადა, თუ ევროპაზე ვერ გავალთ, ნაკრებიდან ჩემი ნებით წავალო. თუმცა ამის შემდეგ ვლადიმიროვიჩმა ორჭოფულად ისაუბრა და თქვა, შეიძლება, სამუშაო არ შევიცვალოო.

მეკარეები: **ალექსანდრ შოვკოვსკი** (დინამო კ.), **ანდრეი პიატოვი** (შახტიორი).

მცველები: **ანდრეი ნესმაჩნი** (დინამო კ.), **სერგეი ფიოდოროვი** (დინამო კ.), **ალექსანდრ კუჩერი** (შახტიორი), **ვლადიმირ იეზერსკი** (შახტიორი), **ანდრეი რუსოლი** (დნეპრი).

ნახევარმცველები: **ალექსანდრ გრიცაი** (დნეპრი), **ოლეგ გუსევი** (დინამო კ.), **რუსლან როტანი** (დინამო კ.), **ალექსეი გაი** (შახტიორი), **სერგეი ნაზარენკო** (დნეპრი), **ოლეგ შელაევი** (დნეპრი), **ანატოლი ტიმოშჩუკი** (ზენიტი), **მაქსიმ კალინიჩენკო** (სპარტაკი მ.).

თავდამსხმელები: **ანდრეი ვორონინი** (ლივერპული), **ანდრეი შევჩენკო** (ჩელსი), **არტიომ მილევსკი** (დინამო კ.), **ანდრეი ვორობეი** (დნეპრი).

ფრანგთა თავკაც **რაიმონ დომენეკს** ექსპერიმენტების დრო არა აქვს, მან საუკეთესოებს უხმო. სამფეროვანთა უმთავრესი დანაკლისი ტრავმირებული კაპიტანი **პატრიკ ვიეირაა**. **ნიკოლა ანელკა** ნაკრებში ადგილს უკვე მყარად იმკვიდრებს, **დავიდ ტრეზეგეს** კი დომენეკი კვლავ არ სწყალობს.

მეკარეები: **მიკაელ ლანდრო** (პსჟ), **სებასტიან ფრეი** (ფიორენტინა), **ულრიხ რამე** (ბორდო).

მცველები: **ერიკ აბიდალი** (ბარსელონა), **ფრანსუა კლერკი** (ლიონი), **პატრის ევრა** (მანჩესტერი), **ვილიამ გალასი** (არსენალი), **ბაქარი სანია** (არსენალი), **სებასტიან სკილაჩი** (ლიონი), **ლილიან ტურამი** (ბარსელონა).

ნახევარმცველები: **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი), **ფლორენ მალუდა** (ჩელსი), **ალუ დიარა** (ბორდო), **ლასანა დიარა** (არსენალი), **მატიუ ფლამინი** (არსენალი), **კლოდ მაკელელე** (ჩელსი), **სამირ ნასრი** (მარსელი), **ჟერომ როტენი** (პსჟ), **ჟერემი ტულალანი** (ლიონი).

თავდამსხმელები: **ნიკოლა ანელკა** (ბოლტონი), **ჰატემ ბენ არფა** (ლიონი), **ქარიმ ბენზემა** (ლიონი), **სიდნეი გოვუ** (ლიონი), **ტიერი ანრი** (ბარსელონა).

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



# დარჩება გოგუა სატურნში?

## გაჯი გაჯიევს ქართველის იმედი აქვს

**კლაუს ტოპმიოლერმა** გოგიტა გოგუა საქართველოს ნაკრებში დააბრუნა. შოტლანდიასთან შეხვედრის შემდეგ დიდი უსიამოვნება მოხდა. ზუსტად რა და რატომ, ამაზე პასუხი დღემდე უცნობია. ფაქტი ისაა, რომ ტოპმიოლერი რემენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველისგან ითხოვდა მთელი გუნდის წინაშე ბოდიში მოეხადა.

ძნელი სათქმელია მას შემდეგ მწვრთნელმა და ფეხბურთელმა ერთმანეთში რა ისაუბრეს, ან იყო თუ არა მათ შორის საერთოდ მოლაპარაკება.

ეს ალბათ, ნაკლებად საინტერესოა. მთავარია, რომ ტოპმიოლერმა ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და გულშემატკივრებისთვის საყვარელი ფეხბურთელი დააბრუნა.

თუკი ნაკრებში პრობლემები შეუმცირდა, მოულოდნელად კლუბში შეექმნა. რამენსკოეს "სატურნმა" ზამთარში ქართველი ნახევარმცველი **ანდრეი ჩერვიჩენკოსგან** გამოისყიდა, სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და 77-ნომრიანი მაისურიც უბოძა.

ჩერვიჩენკო "ხიმკის" ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, თუმცა თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ფეხბურთელს კლუბთან ალარაფერი აკავშირებდა. მას პირადად რუს ოლიგარქთან აკავშირებდა კონტრაქტი.

თუმცა "ხიმკი" თავისას ითხოვდა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის სადავო საკითხების პალატაში "სატურნს" უჩივლა. რამენსკოელები კომპენსაციის გადახდას არ აპირებდნენ და თვლიდნენ, რომ ეს თანხა მოდავე მხარეს ჩერვიჩენკოსგან უნდა მიელო. პალატამ სხვაგვარად განსაჯა და "სატურნს" 500 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. რამენსკოელებმა თანხის გადახდაზე უარი განაცხადეს და შესაძლოა, გოგიტას კლუბის დატოვება მოუხდეს.

ეს რუსული წყაროების ინფორმაციაა. მეორე მხრივ, საკითხავია, რატომ შეელევა "სატურნი" ნახევარი მილიონისთვის მოთამაშეს, რომელშიც ზამთარში 2 მილიონი დოლარი გადაიხადა? რუსულ მედიაში გაჩნდა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ შესაძლოა, ქართველი ნახევარმცველი დაისაჯოს, ისევე როგორც "ტომიდან" "ზენიტში" წლეულს გადასული **პაველ პოგრებნიაკი**. ჩერვიჩენკო მის აგენტ **ოლეგ არტიომოვთან** თანამშრომლობდა.

ერთ-ერთი სააგენტოს ინფორმაციით, "ხიმკიმ" და "სატურნმა" რაღაც ვერ გაიყვეს. კონტრაქტის დოკუმენტაციაც არ აღმოჩნდა წესრიგში.

"სატურნის" მთავარ მწვრთნელ **გაჯი გაჯიევს** კი ფეხბურთელის იმედი აქვს და ეს "სპორტ დეისთან" ინტერვიუში დააფიქსირა. ჟურნალისტის შეფასებაზე, გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს გოგუა შესაძლებლობებს სრულად ვერ იყენებს, თუმცა მას მაინც აქებენო, გაჯიევმა ასეთი პასუხი გასცა: *"სრულიად ვეთანხმები ასეთ შეფასებას. მისი პოტენციალი გაცილებით მეტია, ვიდრე ამჟამად ავლენს. ჩემი გადასახედიდან კი ეს ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში მისი მეტი იმედი უნდა გქონდეს. ალბათ, ხასიათის პრობლემაცაა. გოგუა მეტისმეტად ემოციურია, რაც მოედანზეც ხელს უშლის და ცხოვრებაშიც.*

*თუმცა, სიმართლე გითხრათ, ასეთ "რთულ მოზარდთან" მუშაობა ერთობ საინტერესოა. ახალგაზრდა ფეხბურთელები ამბიციურები არიან, მით უფრო, თუკი ცუდად არ თამაშობენ. გოგუა ნიჭიერია და მასზე დაყრდნობა შეიძლება".*

**მერაბ მამულაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი

# ამისულაშვილმა ბოლო ტური გამოტოვა

## აღარ შემეძლო ამ ჯოჯოხეთის ატანა

**ალექსანდრე ამისულაშვილის** წინააღმდეგ აგორებულმა შავმა პიარმა შედეგი ნაწილობრივ გამოიღო. მან ბოლო ტურის პრინციპული მატჩი გამოტოვა "ტომის" წინააღმდეგ. მოთამაშე, რომელიც ნალჩიკის "სპარტაკის" წამყვან ძალად ითვლებოდა, შორეულ ვლადივოსტოკში მოწყობილმა პროვოკაციამ უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩააგდო.

ალეკო თბილისში დაბრუნდა და შეხვედრის გამოტოვების მიზეზებზე გვესაუბრა:

*"სამწუხაროდ, ვინც ცილი დამწამა, მიზანს მიაღწია. მთელი სეზონი შეუცვლელად ჩავატარე, მაგრამ ბოლო დღეებში მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩამაგდეს. მთელი რუსული მედია აყოლილია იმ ვლადივოსტოკელი გოგონას ნათქვამს, რომელიც ჩემთვის გაუგებარი მიზეზებით გადამემტერა. თავიდან ვფიქრობდი, ფულის გამოძალვა სურდა, გითხარით კიდეც, 50 დოლარი მთხოვა. თუმცა გაცილებით უტიფარი აღმოჩნდა და ახლა მე და ნალჩიკის "სპარტაკის" ხელმძღვანელობას აქეთ გვაბრალებს, თითქოს ფულით ვცდილობდით მის გაჩუმებას.*

*თავიდან მეგონა, სიმართლეს გაარკვევდნენ, მაგრამ ბოლო ერთ კვირაში იმდენი ტყუილი დამიწერს, გავგიჟდი. ვინც მიცნობს, კარგად იცის, როგორი ადამიანი ვარ, რა მორალის, მაგრამ რუსებს ქართველებზე ალერგია აქვთ. როდესაც ტალახს გესვრიან და კითხვები იბადება, უმეტესობა სუბიექტური მიზეზებით დამნაშავედ გაცხადებს ვითარებაში გაურკვევლად.*

*ველარ გავძელი ასეთ მდგომარეობაში, ნორმალურად ვარჯიშს ვერ ვახერხებდი. მწვრთნელთან მივედი და გათავისუფლება ვთხოვე. ასეთ ვითარებაში გუნდს ვერ დავეხმარებოდი, შეიძლება პირიქით, საქმე გამეფუჭებინა.*

*ამ უსირცხვილო გოგომ მთავარი უკვე გამიკეთა, რეპუტაცია შემილახა. ახლა ვინ დამიჯერებს, რომ მე ის კაცი არ ვარ? რუსეთში დამიწერეს, უკრაინაშიც გადაუმოწმებლად გადაბეჭდეს ეს ამბავი. ცამდე მართალი ვარ და მაინც თავისას ერეკებიან. ჩემი მწვრთნელი იური კრასნოჟანი და მოთამაშეები ინტერვიუებში ამბობდნენ, რომ დამნაშავე არ ვარ, ცილისწამებები კი მაინც გრძელდებოდა. აღარ მინდოდა ამ ყველაფრის მოთმენა და წამოვედი".*

სხვათა შორის, პრიმორსკის მხარის პროკურატურამ გამოძიება გააგრძელა, თუმცა იქვე მიუთითა, რომ ალეკო ამისულაშვილის დაკავების საფუძველი ვერ აღმოაჩინეს და ამიტომ გავათავისუფლეთო.

"კომსომოლსკაია პრავდას" კრასნოდარის დამატებაში საინტერესო სტატია გამოქვეყნდა სათაურით: "ვინ ვინ გააუპატიურა". ცინიკური წერილში ვლადივასტოკელი ქალბატონის შესახებ გასაგებად იყო მინიშნება, რომ რეალურად ის აქტიურობდა და არა ქართველი მოთამაშე.

ნალჩიკის "სპარტაკის" ოფიციალურ განცხადებაში კი მითითებულია, რომ ბოლო ტურის პრინციპული მატჩის წინ "სპარტაკის" კონკურენტებმა შეგნებულად წამოიწყეს ბრძოლა კლუბის წინააღმდეგ და ობიექტად გუნდის წამყვანი მოთამაშე შეარჩიეს.

"ლელო" "სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ იური კასნოჟანს დაუკავშირდა და კომენტარი ჩამოართვა.

*"დანამდვილებით ვიცი, რომ ალეკო უდანაშაულოა. ის წესიერი ადამიანია, სხვაგვარად, გვერდში არ დავუდგებოდით. ამ სისულელეზე ამდენი ლაპარაკი აღარც ღირს. ახლა ალეკოს გამხნევება სჭირდება, ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. თუკი მისი ფეხბურთელობა გაინტერესებთ, დიდი სიამოვნებით გესაუბრებით. წლეულს მისნაირი საიმედო კიდევ ხუთი მოთამაშე რომ გვყოლოდა, ცუდად არ წაგვივიდოდა საქმე",* - გვითხრა კრასნოჟანმა.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

# მუჯირი იაპონიაში ფრით ჩავიდა

აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალის პირველი მატჩი ისპაჰანში გაიმართა - **ჯაბა მუჯირის** "სეპაჰანმა" იაპონურ "ურავასთან" საშინაო მატჩში 1:1 ითამაშა. სპარსთა ქართველმა ლეგიონერმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

როგორც მუჯირმა გვითხრა, მატჩი "სეპაჰანის" დიდი უპირატესობით წარიმართა, სპარსელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, იაპონელებს კი გოლი ოცდაათიოდე მეტრიდან გაუტანიათ.

საპასუხო მატჩი 14 ნოემბერს გაიმართება იაპონიაში, ისპაჰანელები კი აკლიმატიზაციისთვის იქ მატჩამდე სამი დღით ადრე ჩადიან.

შეგახსენებთ, "სეპაჰანმა" აზიის ჩემპიონთა თასი რომ ვერ მოიგოს, მაინც ითამაშებს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში, რომელიც წლეულს იაპონიაში გაიმართება.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ქართული ლეგიონი

# სანდრო რაქეტულად იწყებს

## მუმუს ზედიზედ მესამე გასროლა



ტრადიციულად გოლებით ვიწყებთ ხოლმე და ახლაც ასე გავაკეთოთ - დავით მუჯირმა ზედიზედ მესამედ გაიტანა და ჩემპიონატი 9 გოლით დაასრულა. უკრაინაში თავი დავით კვირკველიამ გამოიჩინა, აზერბაიჯანში გიორგი ადამიამ გაიტანა, მოლდოვაში - ვაჟა თარხნიშვილმა, ლიტვაში - აკაკი ხუბუტიამ. რაც ყველაზე მთავარია, გაიტანა სანდრო იაშვილმა, მან "გრასჰოპერსის" კარში სეზონში პირველი გოლი შეაგდო. ჩვენ ლეგიონს კი გაზაფხულამდე რუსული "ფრთა" მოაკლდა.

### იტალია, ინგლისი, ესპანეთი, გერმანია

კარგი იქნებოდა, "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ **ზურაბ ხიზანიშვილი** გვეხილა, თუმცა ჩანს, **მარკ ჰიუზმა** ჩვენი თანამემამულე საბოლოოდ დაივიწყა - ის სათადარიგოთა შორისაც კი არ ყოფილა. უსიამოვნოდ გაგვაკვირა "მილანის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ**, "ატალანტასთან" მატჩისთვის მან სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდიო **კახა კალაძე**. შეხვედრის 45-ე წუთზე ტრიბუნებზე შექმნილი მდგომარეობის გამო მატჩი შეწყდა. ესპანური პრიმერა დივიზიონი კვლავაც ტრავმირებული **შოთა არველაძის** გარეშე მიმდინარეობს.

ბრემენში ბუნდესლიგის მოწინავეთა საინტერესო დაპირისპირება შედგა, "ვერდერმა" ქვა-ქვაზე არ დატოვა **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუესგან" - 4:0. პირველ ტაიმში **დიეგომ** დუბლი შეასრულა, სტუმართა თავკაცმა **ბეკერმა** როცა შეატყო, რომ უკეთესი პირი არც მეორე ტაიმს უჩანდა, შესვენების შემდეგ მოედანზე ერთდროულად შეუშვა **ფრაისი და იაშვილი**. "კარლსრუეს" ვერც ამან უშველა, "ვერდერმა" კიდევ ორი გოლი გაიტანა. "კიკერის" ცნობით, შეცვლაზე შესულმა თავდამსხმელთა წყვილმა ოდნავ გაამწვავა სტუმართა შეტევები. "შპორტალმა" ქართველს დაბალი შეფასება, 4,5 ქულა დაუწერა. "კიკერის" შეფასება დღეს გამოქვეყნდება, ეს გამოცემა ჩვენ თანამემამულეს საშუალოდ წლევანდელ სეზონში 4,33 ქულას უწერს.

"შალკემ", რომელიც კვლავ ტრავმირებული **ლევან კობიაშვილის** გარეშე თამაშობს, ვერ შეძლო ერთ-ერთი ლიდერის, "ჰამბურგის" დამარცხება - 1:1. "კარლსრუე" 23 ქულით მეოთხე ადგილზეა, "შალკე" 19 ქულით მეექვსეა.

მეორე ბუნდესლიგაში **მათე ღვინიანიძე** დღეს ითამაშებს, **დავით სირაძე** - ხვალ. გუშინ "ფრაიბურგი" "ფიურტს" დაუზავდა - 1:1. **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგო იყო. მაჩანჩალა "კარლ ცაისი" კი შინ "ჰოფენჰაიმთან" 0:1 დამარცხდა. **ილია კანდელაკი** სათადარიგო იყო, **გიორგი ონიანმა** კი 90 წუთი ითამაშა.

### როგორც იქნა!

თითქმის ოთხთვიანი ლოდინის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა **სანდრო იაშვილმა** ახალი კლუბის მაისურით პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა. სანდრო შინაური პირველობის ბომბარდირიც იყო, თუმცა შვეიცარიაში მისი საქმეები ვერა და ვერ აეწყო, მას "თუნის" სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაც უჭირდა. შაბათს ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი "გრასჰოპერსს" ეწვია, სანდრო სასტარტოში ვიხილეთ, სეზონის პირველი გოლი მან 61-ე წუთზე გაიტანა, ორი წუთის მერე, რაც მასპინძლები ათნი დარჩნენ. სანდრომ **ლუკაშ დოსელის** პასი დააგვირგვინა თავური დარტყმით. გოლს მონატრებულმა გატანა მეტისმეტად ემოციურად გამოხატა და ყვითელი ბარათი მიიღო. თასის მატჩის ჩათვლით ქართველი ფორვარდი მეცამეტე ოფიციალურ მატჩს ატარებდა "თუნის" მაისურით. თუმცა "თუნმა" ქულის მოპოვება მაინც ვერ შეძლო - 1:2. 14 ქულით ჩვენებურის გუნდი ათგუნდიან სუპერლიგაში ბოლოსწინაა.

ავსტრიაში "შტურმი" სტუმრად "რიდს" დაუზავდა (0:0), საქართველოს ნაკრების მცველმა **გიორგი შაშიაშვილმა** სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა.

### კვირკველია: გოლი პლუს პასი

უკრაინის ვიშა ლიგა მეორე წრეს შეუყვა, პირველ ტურში ქართველ ლეგიონერთაგან თავი **დავით კვირკველიამ** გამოიჩინა, რომლის ანგარიშზე გოლი და შედეგიანი გადაცემაა. ზაპოროჟიეს "მეტალურგი" ლვოვში ერთ-ერთ აუტსაიდერ "კარპატის" ეწვია და 3:1 მოუგო. მატჩის 30-ე წუთზე კვირკველიამ ჩაწოდებულს მიუსწრო და ახლო მანძილიდან დაარტყა, მასპინძელთა გოლკიპერმა დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე კვლავ ქართველმა ივარგა და ანგარიში გაათანაბრა. სტუმართა მესამე გოლიც დათოს დამსახურებით გავიდა, საჯარიმოს მისადგომებიდან მან **სერგეი სილიუკი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ეს 65-ე წუთზე მოხდა. "მეტალურგის" ოფიციალური საიტი პირველი წრის გუნდის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვას აწარმოებს. კვირკველია ხმების 15 პროცენტით მეორე ადგილზეა და მხოლოდ **ალექსეი გოდინს** ჩამორჩება (23 პროცენტი).

დონეცკში **გიორგი დემეტრაძის** ახალმა კლუბმა "არსენალმა" 2:1 მოუგო ძველ "მეტალურგს", თუმცა ამ გამარჯვებაში ქართველ ფორვარდს წვლილი არ შეუტანია. **ალექსანდრ ზავაროვი** მას ნაკლებად ენდობა, დემეტრაძემ 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. სიმფეროპოლში 1:4 განადგურდა "ზაკარპატიე", რომელიც მოედანზე ერთი ქართველით (**ოთარ მარცვალაძე**) გამოვიდა და ისიც პირველივე ტაიმში შეცვალეს. **კახა ალადაშვილი** ტურს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა, რაც გუნდს ეგრევე შეეტყო. "დნიპრომ" სტუმრად 2:1 დაამარცხა "კრივბასი", **ჯაბა კანკავამ** ბოლო ათი წუთი ითამაშა, თუმცა ყვითელი ბარათის მიღება "მოასწრო". გუშინ "ზარია" ამაოდ ელოდა მეტოქე "ვორსკლას", სტუმართა გუნდმა ვერაფრით ჩააღწია ლუგანსკამდე, რისი მიზეზიც ცუდი მეტეოპირობები და ლუგანსკის აეროპორტის ასაფრენი ზოლის გაუმართაობა იყო. **ვასილ გიგიაძეს** კვლავ სათადარიგოთა სკამზე მოუწია ჯდომა, მისი "ნეფტიანიკი" კი შინ 0:2 დამარცხდა "მეტალისტთან". სტუმართა რიგებში არ ყოფილა **ლაშა ჯაკობია**, რომელმაც წინა დღით დუბლების მატჩში ითამაშა. "დნიპრო" 37 ქულით მეორე ადგილზეა, "მეტალისტი" 33 ქულით მესამე. ქართველთა გუნდებიდან ყველაზე სუსტად ასპარეზობენ "ზაკარპატიე" (14 ქულა აქვს და გასავარდნ ზონას ქულა აშორებს) და "ნეფტიანიკი" (10 ქულით ბოლო ადგილზეა).

### ქართველები გადარჩნენ

რუსული მარათონი დასრულდა, ბოლო ტურში ჩემპიონის ვინაობა გაირკვა - "ზენიტმა" შეძლო ტურნირის პირველ ადგილზე დასრულება. გაირკვა "როსტოვის" შემდეგ მეორე უილბლოც, ეს "ყუბანია". ქართველ ლეგიონერთა გუნდებიდან ყველაზე კარგი სეზონი "სატურნს" ჰქონდა, **გოგიტა გოგუას** გუნდმა ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა (45 ქულა). გოგუა მომავალ ჩემპიონ "ზენიტთან" მატჩის 55-ე წუთამდე მოედანზე იყო. **მალხაზ ასათიანის** "ლოკომოტივს" კი ნამდვილად არ ჩაეთვლება აქტივში მეშვიდე ადგილი (41 ქულა). ბოლო ტურში რკინიგზელებს არაფერში ესაჭიროებოდათ "ყუბანთან" ქულები, 2:3 დამარცხდნენ, თუმცა ამით მეტოქე გავარდნისგან მაინც ვერ იხსნეს. მალხაზს ამ შეხვედრაში არ უთამაშია.

ქართველთაგან ყველაზე წარმატებული სეზონი **დავით მუჯირს** ჰქონდა, თუმცა მისი გუნდი "კრილია სოვეტოვი" კინაღამ გავარდა ლიგიდან (ზუსტად იმდენი ქულა დააგროვა, რამდენიც გავარდნილმა "ყუბანმა" - 32). ბოლო ტურში სამარელები სტუმრად "ხიმკისთან" განადგურდნენ - 1:4. მუჯირმა 90 წუთი ითამაშა და პრესტიჟის გოლი (59-ე წუთზე) პენალტის ნიშნულიდან გაიტანა. ბოლო სამ ტურში მან მოედანი უგოლოდ არ დატოვა. ამგვარად მუჯირმა ჩემპიონატი ცხრა გოლით დაასრულა, რაც ბომბარდირთა დავაში მეათე შედეგია.

გავარდნას გადაურჩა **ლევან გვაზავას** "ლუჩი", რომელიც ბოლო ტურში 1:3 დამარცხდა "მოსკვასთან". "ლუჩმა" ჩემპიონატი 32 ქულით და მე-14 ადგილზე დაასრულა. გვაზავას არ უთამაშია. "რუბინი" შინ 0:1 დამარცხდა ცსკა-სთან და კარგად დაწყებული სეზონი მხოლოდ მეათე ადგილზე (35 ქულა) დაასრულა. **ლაშა სალუქვაძემ** შეუცვლელად ითამაშა, ნაავარიევი **ნუკრი რევიშვილი** კი მკურნალობს. ნალჩიკში "სპარტაკმა" 1:0 მოუგო "ტომს" და თავი გადაირჩინა (33 ქულა, მე-12 ადგილი), **ალექსანდრე ამისულაშვილს** გასაგები მიზეზების გამო არ უთამაშია. დასანანია - მას რომ 90 წუთი ეთამაშა, უნიკალურ შედეგს მიაღწევდა, მთელი სეზონი მას წუთი არ ჰქონდა გამოტოვებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XII ტური | | | | |
| კახა კალაძე | ატალანტა-მილანი | - | სათადარიგო. შეწყდა | 9 თ. 0 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XIII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ჰამბურგი | 1:1 | ტრავმა | 4 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | ვერდერი-კარლსრუე | 4:0 | 34 წთ. (შეცვლაზე) | 9 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XIII ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-ჰოფენჰაიმი | 0:1 | სათადარიგო | 6 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-ჰოფენჰაიმი | 0:1 | 90 წუთი, გააფრთხ. | 5 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-ჰოფენჰაიმი | 0:1 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფიურტი-ფრაიბურგი | 1:1 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | კობლენცი-პადერბორნი | - | ხვალ | 8 თ. 0 გ |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-გლადბახი | - | დღეს | 10 თ. 0 გ. |
| რეგიონალლიგა. XIII ტური | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი-რეგენსბ. | 2:0 | არ უთამაშია | 5 თ. 0 გ |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | მანჩესტერი-ბლექბერნი | 2:0 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XVI ტური | | | | |
| დავით კვირკველია | კარპატი-მეტალურგი ზ. | 1:3 | 88 წთ. (შეცვალ), გოლი, პასი | 16 თ. 2 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ნეფტიანიკი-მეტალისტი | 0:2 | დუბლები | 3 თ. 0 გ. |
| ვასილ გიგიაძე | ნეფტიანიკი-მეტალისტი | 0:2 | სათადარიგო | 13 თ. 0 გ. |
| ლადო გურდული | ზარია-ვორსკლა | - | გადაიდო | 15 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია-ვორსკლა | - | | 2 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი დ.-არსენალი | 1:2 | სათადარიგო | 14 თ. 2 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | ტავრია-ზაკარპატიე | 4:1 | 39 წთ. (შეცვალეს) | 7 თ. 1 გ. |
| კახა ალადაშვილი | ტავრია-ზაკარპატიე | 4:1 | არ უთამაშია | 7 თ. 0 გ. |
| ჯაბა კანკავა | კრივბასი-დნიპრო | 1:2 | 9 წთ. (შეცვლაზე) | 11 თ. 1 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXX ტური | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი მ.-კუბანი | 2:3 | არ უთამაშია | 14 თ. 1 გ. |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-ზენიტი | 0:1 | 55 წთ (შეცვალეს) | 15 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ხიმკი-კრილია სოვეტოვი | 4:1 | 90 წუთი, 1 გოლი, გააფრ. | 26 თ. 9 გ. |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-ტომი | 1:0 | არ უთამაშია | 29 თ. 3 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ცსკა | 0:1 | ტრავმა | 2 თ. -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ცსკა | 0:1 | 90 წუთი | 15 თ. 1 გ. |
| ლევან გვაზავა | მოსკვა-ლუჩი | 3:1 | არ უთამაშია | 23 თ. 1 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ვალიადოლიდი-ლევანტე | - | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XVI ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | გრასჰოპერსი-თუნი | 2:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 12 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XIX ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | რიდი-შტურმი | 0:0 | 90 წუთი | 18 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XVII ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | კაპფენბერგი-ავსტრია ლ. | 1:1 | ტრავმა | 3 თ. 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა . XVI ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ორჰუსი | - | დღეს | 6 თ. 0 გ |



დავით კვირკველია

# სისხლიანი კვირა

## კიდევ ერთი ტრაგედია. სამი მატჩი გადაიდო



ატალანტა-მილანი



მოკლული გაბრიელე სანდრი

იტალია ისევ აირია. ამა წლის 2 თებერვალს, როცა მავანმა ტიფოზმა კატანიაში პოლიციის ოფიცერი **ფილიპო რაჩიტი** იმსხვერპლა, კინაღამ ჩემპიონატი ჩაიშალა. მერე რაღაც ზომები მიიღეს და თითქოს განსაკუთრებული აღარაფერი მომხდარა. მაგრამ აი, გუშინდელი ამბების შემდეგ, კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში სერია A-ს დროებით შეწყვეტის საკითხი. ამჯერად, პოლიციელის ტყვიამ "ლაციოს" ტიფოზი იმსხვერპლა...

11 ნოემბერს, ადგილობრივი დროით დილის 9 საათზე, ქალაქ არეცოს ავტოსერვისის სადგურთან, როცა "ლაციალეს" ქომაგებს გეზი მილანისკენ ეჭირათ, ხოლო "ქალბატონის" ტიფოზები პარმას მიემგზავრებოდნენ, მათ შორის შეტაკება მოხდა. ყველაფერი დაიწყო შელაპარაკებით, რომელიც დიდ ჩხუბში გადაიზარდა. თვითმხილველთა თქმით, "იუვეს" ფანებზე თავდასხმა "ლაციოს" "ულტრასებმა" განახორციელეს. ადგილზე პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმი გაჩნდა. იმ მომენტისთვის, სიტუაცია აბსოლუტურად უმართავი იყო. სამართალდამცავნი იძულებულნი გახდნენ, ჰაერში ესროლათ. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა პოლიციელმა ვერ მოზომა და ტყვია პირდაპირ "ლაციოს" ფანს დაახალა. 26 წლის **გაბრიელე სანდრი**, "ბიანკოჩელესტეს" გულშემატკივართა კლუბის აქტიური წევრი და პოპულარული "დი-ჯეი" ადგილზევე გარდაიცვალა. უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ სანდრი პოლიციელის მსხვერპლი გახდა...

არეცოს ტრაგედიამ ფანები საბოლოოდ გამოიყვანა მწყობრიდან. მასობრივი არეულობების თავიდან ასაცილებლად, პოლიციამ საგანგებო ზომებს მიმართა. პარალელურად, რომში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი **ანტონიო მატარეზე** და პოლიციის შეფი **ანტონიო მანგანელი**. თათბირის შემდეგ გადაწყდა, რომ "ინტერი"-"ლაციოს" მატჩი არ უნდა ჩატარებულიყო. იმსჯელეს იმაზეც, გადაედოთ თუ არა ტურის დანარჩენი შეხვედრებიც. საბოლოოდ, მიაღწიეს შეთანხმებას, რომ უიქენდის სხვა მატჩები ჩვეულებრივად ჩატარდებოდა. "ლეგა კალჩოს" გადაწყვეტილებით, გუშინ ყველა მატჩი, ნიშნად დაღუპული ფანისადმი პატივისცემისა, 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო...

როგორც ჩანს, ტრაგიკულმა შემთხვევამ განსაკუთრებით ბერგამოელი ფანების განწყობაზე იმოქმედა. მათ პოლიციელებზე შურისძიება სცადეს. სამართლადამცავებთან შეტაკება ჯერ კიდევ "ატალანტა"-"მილანის" თამაშის წინ, სტადიონის სიახლოვეს მოხდა. პოლიციამ რამდენიმე ხულიგანი დააპატიმრა, დანარჩენებს კი "ატლეტი აძურისკენ" მისასვლელი გზები გადაუკეტა. თუმცა ვნებები ამით არ ჩამცხრალა. არეულობა უკვე უშუალოდ თამაშის დროს მოხდა. ბერგამოელი ფანების ერთმა ნაწილმა მინის დამცავი ბარიერი ჩაამსხვრია და მოედანზე შეჭრა სცადა. მიმდინარეობდა თამაშის მე-10 წუთი. ვიდრე პოლიცია და "ატალანტის" ფეხბურთელები გამძვინვარებული ბრბოს შეკავებას ცდილობდნენ, არბიტრმა, ოფიციალურ პირებთან მცირე მოთათბირების შემდეგ, თამაში შეწყვიტა. 40 წუთის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ მატჩი აღარ შედგებოდა. "ატალანტა"-"მილანიც" გადაიდო...

Assassini, assassini! (მკვლელებო, მკვლელებო!) - კვირის ყველა მატჩის დროს ისმოდა ამგვარი სკანდირება სტადიონებზე წესრიგის დასაცავად მყოფი პოლიციელების მისამართით. "რეჯინისა" და "ჯენოას" მატჩის წინ ორივე გუნდის ფანები შეთანხმდნენ, რომ საპროტესტო შეძახილები მთელი შეხვედრის განმავლობაში არ უნდა გაჩერებულიყო. "ტორინო"-"კატანიის" მატჩის მსვლელობისას ტიფოზების ერთმა ნაწილმა მოედანზე შეჭრა და თამაშის ჩაშლა სცადა, მაგრამ პოლიციამ და უსაფრთხოების სამსახურმა იყოჩაღა. "გულშემატკივრის სიკვდილი ყველას გვაერთიანებს!" - ისმოდა "პარმა"-"იუვენტუსის" მატჩის დროს. თამაშის დაწყებამდე პოლიციამ 150-მდე ტურინელი ფანის საპროტესტო მარში ალკვეთა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იტალიის საფეხბურთო ლიგამ გადაწყვიტა, "რომა"-"კალიარის" მატჩიც გადაედო...

ახლა, ცოტა ჩვენც დავმშვიდდეთ და ვნახოთ, რა ხდებოდა მოედნებზე. შაბათის მატჩებით დავიწყოთ. "სამპდორია" "მილანთან" საშინაო მარცხმა გონზე მოიყვანა. იმ კოშმარული 0:5-ის შემდეგ, **ვალტერ მაძარის** შეგირდებმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს და თანაც, ორივე 3:0. ამჯერად, მათ ის "ემპოლი" დაამარცხეს, ვინც ამასწინათ "მილანს" მისსავე მოედანზე 1:0 მოუგო. ასეთი ალოგიკურია ხშირად ფეხბურთი. ალოგიკური იყო მოვლენათა განვითარება "მარასიზე" შაბათს გამართული შეხვედრის დასაწყისშიც, როცა "ემპოლის" სასტარტო შტურმს უკვე მე-5 წუთზე **ჯაკომაცის** ავტოგოლი (აქ ერთ-ერთი საკვანძო როლი მასპინძელთა მოიერიშე მცველმა **მაჯომაც** ითამაშა) მოჰყვა და ტოსკანური კლუბი მაშინვე გატყდა. **ლუიჯი კანის** გუნდს ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი 72-ე წუთზე ჰქონდა, ანუ იმ დროს, როცა "სამპი" უკვე 2:0-ს იგებდა. მეორე ბურთი **მონტელამ** (სხვათა შორის, ფეხი სწორედ "ემპოლიში" "აიდგა") შეაგდო პირველი ტაიმის მიწურულს და ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც საგოლე კომბინაციაში მცველი მაჯო მონაწილეობდა. თამაშს კი წერტილი დაუსვა **სამარკომ**, რომელმაც **კარაჩოლოს** ქუსლური დააზღვია და ბურთი ბადეში დააფიქსირა. მიუხედავად იმისა, რომ სამი გოლი გაუშვა, "ემპოლის" მეკარე **ბასი** სტუმართაგან საუკეთესოდ უნდა დავასახელოთ. გენუელთა მხრივ კი გამოვყოფთ იმავე მონტელას, რომელიც მაძარიმაც ცამდე აიყვანა - დღეს ნამდვილი "აეროპლანინო" ვნახეო...

"პალერმომ" და "ნაპოლიმ" "რენცო ბარბერაზე" ბრწყინვალე მატჩი გამართეს. *"მე მიყვარს ეს "პალერმო"!* - თქვა "სპექტაკლის" შემდეგ სიცილიელთა პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ**, რომლის ბაგეთაგან ვინმეს ხოტბა-დიდება იშვიათად ისმის. გუშინ ის კარგ ხასიათზე იყო. სახეგაბადრული გახლდათ მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონოც**, რომელსაც ვერმოგების შემთხვევაში დათხოვნა ემუქრებოდა. მანამდე, "პალერმომ" ზედიზედ 5 ფრე ითამაშა, შინ კი ერთადერთი მოგება ჰქონდა და ისიც თვენახევრის წინათ ("მილანთან" 2:1). ამჯერად, კოლანტუონოს იმ თამაშის გმირი **მიკოლი** არ ჰყავდა, არ ჰყავდა **ბრეშანო** და მთავარი მეგოლე **ამაურიც**, ასევე, კიდევ ორი ნამყვანი მოთამაშე, მაგრამ ჰყავდა დამალული რეზერვი **ჯოვანი ტედესკოს** სახით. ნეაპოლელი **ბოლიაჩინოს** მიერ მეორე ნახევრის დასაწყისში გატანილ გოლს ტედესკომ 10 წუთში ორით უპასუხა და კარიერაში პირველი დუბლი გაიფორმა. უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად ითამაშეს კამპანიელებმაც. მასპინძელთა მეკარე **ფონტანამ** არაერთხელ იხსნა თავისიანები **ლავეცის, სალაიეტასა** თუ სხვათა მცდელობებისგან... ისე კი, სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდა...

...და, ერთ უცნაურ ეპიზოდზეც: მეორე ნახევარში არბიტრმა "ნაპოლის" კარში პენალტი დანიშნა, იმ მოტივით, თითქოსდა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა. ამ დროს, რეფერის ლაინსმენი შეეხმიანა და ანიშნა, ხელზე კი არა ბურთი მკერდზე მოხვდაო. მეორე ლაინსმენი კი აშკარად შეცდა სხვა ეპიზოდში, როცა საგოლე პოზიციაში მყოფ პალერმოელ **ბრიენცაზე** არარსებული თამაშგარე დააფიქსირა.

სისხლიან კვირას კი, "ფიორენტინამ" ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია. ეს საქმე "უდინეზემ" ჰქნა. ფრიულულ კლუბს "არტმიო ფრანკიზე" 1997 წლის მერე არ მოეგო (3:2). **ჩეზარე პრანდელის** გუნდმა მიმდინარე სეზონში უსუსტესი მატჩი ჩაატარა. ამ გამარჯვების შემდეგ "უდინეზეს" "ვიოლასგან" ერთი ქულაღა აშორებს. შესაძლოა, მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გაცილებით დაძაბული იყოს, ვიდრე ველოდით.

"იუვენტუსმა" პარმაში 0:2 შემოატრიალა. ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს, **გასბარონის** (სხვათა შორის, "იუვეს" სკოლის აღზრდილია) პენალტით გაიხსნა. შესვენების შემდეგ **კლაუდიო რანიერიმ** ინერტული **დელ პიერო იაკუინტათი** შეცვალა. ტურინელებმა ქულა სწორედ ამ უკანასკნელის წყალობით მოიპოვეს. **სალიჰამიჯიჩის** ჩაწოდების შემდეგ **კოლიმ** იაკუინტას კი უბიძგა, მაგრამ ბურთი კარში აღმოჩნდა და არბიტრს პენალტის დანიშვნის საფუძველი აღარ ჰქონდა. მანამდე, **ლეგროტალიემ** იყოჩაღა. მან **ტიაგოს** ჩაწოდებულს დაუხვედრა თავი. მოკლედ, 2:2. ერთი უცნაური და, შესაძლოა, უპრეცედენტო ფაქტის თაობაზეც: პარმელი **მორფეო (კიელინისთან** ერთად) მოედანზე შესვლიდან 30 წამში გააძევეს შეხლა-შემოხლის გამო. ბოლოს კი "პარმა" სულაც 9 კაცით ამთავრებდა თამაშს, მაგრამ "იუვენტუსს" რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებისთვის დრო აღარ დარჩა. "ენიო ტარდინი" თბილად შეხვდა რანიერის, ვისი მეცადინეობითაც "პარმა" წინა ჩემპიონატში გავარდნას გადაურჩა.

კვირის სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია "რეჯინის" პირველი გამარჯვება, რაც ასევე მისალოცი ამბავია რეჯოკალაბრიელთა ახალი მწვრთნელის **რენცო ულივიერისთვის**. ზედიზედ მეორე გასვლითი მოგება მიითვალა "ლივორნომ", რაც "სიენის" თავკაც **ანდრეა მანდორლინისთვის**, შეიძლება, საბედისწეროც გამოდგეს.

### მომდევნო ტური

24 ნოემბერი. **ჯენოა-რომა, ინტერი-ატალანტა.** 25 ნოემბერი. **კალიარი-მილანი, ემპოლი-ტორინო, ლაციო-პარმა, ლივორნო-სამპდორია, ნაპოლი-კატანია, რეჯინა-ფიორენტინა, უდინეზე-სიენა, იუვენტუსი-პალერმო.**

### სამპდორია-ემპოლი 3:0

**სამპდორია:** კასტელაცი-7, კამპანიარო-7 (88. ლუკინი-შ.გ), სალა-6, გასტალდელო-7, მაჯო-7, ვოლპი-6.5, დ. ფრანჩესკინი-5.5, ციგლერი-5.5, სამარკო-6.5, ბელუჩი-6.5 (90. კალუ-შ.გ), მონტელა-7 (79. კარაჩოლო-შ.გ).

**ემპოლი:** ბასი-7, რაჯი-6, ვანილი-5 (59. აბატე-6.5), პიკოლო-5 (70. ვოლპატო-5.5), ანტონინი-6, ჯაკომაცი-5, მორო-5.5, მარიანინი-5.5 (46. ჯოვინკო-5.5), ტოსტო-5.5, ვანუკი-5, პოცი-5.5.

**გოლები:** 1:0 ჯაკომაცი (5-საკ. კარში), 2:0 მონტელა (40), 3:0 სამარკო (90)

გაფრთხილება: 2-3; **კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 13-12 (10-6); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 20 000

### პალერმო-ნაპოლი 2:1

**პალერმო:** ა. ფონტანა-7.5, ბიავა-6, კაპუანო-5 (56. მ. პიზანო-6), ძაკარდო-6, ბარძალი-6, ჯოვ. ტედესკო-7.5 (73. კასანი-შ.გ), ბრიენცა-7, სიმპლისიუ-5.5 (84. იანკოვიჩი-შ.გ), დიანა-6, კაზერტა-6, კავანი-6.

**ნაპოლი:** იეცო-6.5, კანავარო-5, დომიცი-6.5, სავინი-6, დარიში-6, კონტინი-შ.გ (23. მალდონადო-5/74. კალაიო-შ.გ), ბოლიაჩინო-6.5, გარგანო-6, ჰამსიკი-6.5, ლავეცი-7, სალაიეტა-5.5.

**გოლები:** 0:1 ბოლიაჩინო (55), 1:1 ჯოვ. ტედესკო (57), 2:1 ჯოვ. ტედესკო (66)

გაფრთხილება: 3-4; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 17-29; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 16-18 (9-10); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 138

### პარმა-იუვენტუსი 2:2

**პარმა:** ბუჩი-6, ფალკონე-6, კასტელინი-6.5, კოლი-5.5, მ. როსი-6, ჩიგარინი-6.5, მორონე-6.5, პიზანუ-7.5 (77. მორფეო-4), გასბარონი-7.5 (69. დესენა-6), რეჟინალდო-7 (88. მატეინი-შ.გ), კორადი-6.

**იუვენტუსი:** ბუფონი-6.5, გრიგერა-4.5 (64. სალიჰამიჯიჩი-6.5), კიელინი-5, კრიშიტო-4.5, ლეგროტალიე-6, ნოჩერინო-5 (58. ტიაგო-6.5), კ. ძანეტი-5.5, კამორანეზი-6, პალადინო-6, დელ პიერო-5.5 (46. იაკუინტა-6.5), ტრეზეგე-5.

**გოლები:** 1:0 გასბარონი (42-პენ), 2:0 პიზანუ (57), 2:1 ლეგროტალიე (75), 2:2 იაკუინტა (81)

**გაძევება:** მორფეო (77. პარმა), კიელინი (77. იუვენტუსი), კოლი (90. პარმა)

გაფრთხილება: 2-4; **კუთხური:** 5-9; **ჯარიმა:** 23-26; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 17-12 (10-7); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 24 000

### ფიორენტინა-უდინეზე 1:2

**ფიორენტინა:** ფრეი-6, პასკუალი-5, კროლდრუპი-5.5, პოტენცა-5.5, დაინელი-5, სემიოლი-6.5, ლივერანი-6.5 (74. კუჟმანოვიჩი-6), მონტოლივო-6, დონადელი-5 (66. იორგენსენი-6), პაცინი-7 (46. ვიერი-5), მუტუ-6.

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-5.5, ფელიპე-6, ლუკოვიჩი-6.5, დოსენა-7, ზაპოტოჩნი-6.5 (58. ფერონეტი-6.5), საპატა-6.5, გ. დ'აგოსტინო-6.5, ინლერი-7, კვალიარელა-6.5, დი ნატალე-7 (88. ფლორო ფლორესი-შ.გ), პეპე-6.5 (86. ასამოა-შ.გ).

**გოლები:** 0:1 კვალიარელა (22), 1:1 პაცინი (27), 1:2 დი ნატალე (64)

**გაძევება:** პასკუალი (83. ფიორენტინა)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 24-19 (11-5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 30 000

### ტორინო-კატანია 1:1

**ტორინო:** ა. ფონტანა-6, ნატალი-6, ლანა-6, მოტა-5.5, კომოტო-6, დელფიორე-6, როზინა-შ.გ (7. მალონგა-6.5/56. გრელა-5.5), კორინი-5.5 (72. ოგურო-შ.გ), პ. ძანეტი-5.5, ვენტოლა-6, დი მიკელე-6.

**კატანია:** პოლიტო-6.5, ტერლიცი-6.5, საბატო-6.5, ხ. ვარგასი-4.5, სტოვინი-6.5, მარტინესი-6.5 (65. იცკო-6), ბაიოკო-7, კოლუჩი-6 (43. სარდო-6), ედუსეი-6 (75. ჯაკ. ტედესკო-შ.გ), სპინეზი-6, მასკარა-6.5.

**გოლები:** 1:0 მალონგა (14), 1:1 მარტინესი (64)

**გაძევება:** ხ. ვარგასი (25. კატანია)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 24-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-11 (4-5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

### რეჯინა-ჯენოა 2:0

**რეჯინა:** კამპანიოლო-6.5, ვალდესი-6, არონიკა-7, მოდესტო-5, ლანძარო-6.5, ბარეტო-6, კაშონე-6, ვიჯანი-6.5 (90. პ. ალვარესი-შ.გ), ჰალფრედსონი-6 (55. მისიროლი-6), ჩერავოლო-6 (59. ჟოელსონი-7), ამორუზო-7.

**ჯენოა:** რუბინიო-6, ბოვო-6, ლუკარელი-5 (69. მ. როსი-შ.გ), ფაბიანო-5 (51. დი ვაიო-6.5), დე როზა-5.5, ლეონი-6.5, იურიჩი-6, კონკო-5.5, დანილო-5, პარო-5, ლუჩო-5.5 (62. სკული-6.5).

**გოლები:** 1:0 ამორუზო (31), 2:0 ჟოელსონი (80)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 16-25; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13-19 (6-8); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 12 000

### სიენა-ლივორნო 2:3

**სიენა:** ელეფთეროპულოსი-5.5, პორტანოვა-5.5, გრიმი-5.5 (46. ფრიკი-7), დე ჩელიე-6.5, როსეტინი-5, ლორია-6.5, იაროლიმი-6, გალოპა-6, მაკარონე-6, ბუკი-5 (46. კორვია-6.5), ლოკატელი-5.5 (64. ალბერტო-6).

**ლივორნო:** ამელია-6, კნეჟევიჩი-6.5, გალანტე-6, პასკუალე-6, ბალერი-5.5, გრანდონი-6, ბერგვოლდი-6, ე. ფილიპინი-5.5, ლოვიზო-5.5 (68. პავანი-5.5), ბოგდანი-5.5 (69. როსინი-5.5), ტავანო-6.5 (88. დიამანტი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ტავანო (16), 1:1 მაკარონე (17), 1:2 ბერგვოლდი (32), 1:3 კნეჟევიჩი (42), 2:3 ლორია (90)

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 19-8 (12-5); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 8 000

**ინტერი-ლაციო** გადაიდო

**ატალანტა-მილანი** შეწყდა და გადაიდო

**რომა-კალიარი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 11 | 7 | 4 | 0 | 22-7 | 25 |
| 2. ფიორენტინა | 12 | 6 | 5 | 1 | 19-9 | 23 |
| 3. იუვენტუსი | 12 | 6 | 3 | 2 | 24-13 | 22 |
| 4. რომა | 11 | 6 | 4 | 1 | 25-16 | 22 |
| 5. უდინეზე | 12 | 6 | 4 | 2 | 14-13 | 22 |
| 6. ატალანტა | 11 | 4 | 6 | 1 | 15-13 | 18 |
| 7. პალერმო | 12 | 4 | 6 | 2 | 17-16 | 18 |
| 8. სამპდორია | 12 | 5 | 2 | 5 | 14-14 | 17 |
| 9. ნაპოლი | 12 | 4 | 3 | 5 | 19-15 | 15 |
| 10. კატანია | 12 | 3 | 6 | 3 | 11-11 | 15 |
| 11. მილანი | 11 | 3 | 5 | 3 | 18-9 | 14 |
| 12. ჯენოა | 12 | 3 | 5 | 4 | 12-17 | 14 |
| 13. ტორინო | 12 | 2 | 7 | 3 | 13-14 | 13 |
| 14. პარმა | 12 | 2 | 6 | 4 | 15-21 | 12 |
| 15. ლაციო | 11 | 2 | 4 | 5 | 11-16 | 10 |
| 16. სიენა | 12 | 1 | 6 | 5 | 12-18 | 9 |
| 17. კალიარი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-18 | 9 |
| 18. რეჯინა | 12 | 1 | 6 | 5 | 9-18 | 9 |
| 19. ლივორნო | 12 | 2 | 3 | 7 | 14-24 | 9 |
| 20. ემპოლი | 12 | 2 | 3 | 7 | 7-19 | 9 |

**ბომბარდირები:** 10 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 7 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), კაკა (მილანი), ტოტი (რომა); 6 - ბორიელო (ჯენოა), კ. დონი (ატალანტა), მუტუ (ფიორენტინა); 5 - ამაური (პალერმო), ამორუზო (რეჯინა), კრუსი (ინტერი), იაკუინტა (იუვენტუსი).

### სერია B

XIV ტური

**ასკოლი-ფროზინონე** 2:0

გოლები: 1:0 იოიკი (22), 2:0 ბერნაჩი (61)

**აველინო-ვიჩენცა** 3:0

გოლები: 1:0 პელიკორი (46), 2:0 სალგადო (81), 3:0 სალგადო (85)

გაძევება: მაზიელო (32. ვიჩენცა)

**ბოლონია-კიევო** 4:0

გოლები: 1:0 ადაილტონი (26), 2:0 მარაცინა (32), 3:0 დაინო (43), 4:0 დი ჯენარო (83)

გაძევება: მანტოვანი (82. კიევო)

**ბრეშა-ალბინოლეფე** 1:2

გოლები: 0:1 ჩელინი (56), 1:1 ტაკინარდი (79), 1:2 რუოპოლო (87)

გაძევება: სანტაკროჩე (47. ბრეშა)

**ლეჩე-მოდენა** 2:0

გოლები: 1:0 აბრუსკატო (20), 2:0 ვივესი (90)

გაძევება: გოცი (35. მოდენა), ფრეი (38. მოდენა)

**მესინა-პიზა** 1:2

გოლები: 0:1 კასტილიო (65), 1:1 ჩერჩი (75), 1:2 პარიზი (86)

**პიაჩენცა-რავენა** 2:0

გოლები: 1:0 ხარჯა (75), 2:0 სიმონი (88)

**რიმინი-ჩეზენა** 4:1

გოლები: 1:0 ლუნარდინი (23), 1:1 მოსკარდელი (32), 2:1 ჟედა (34), 3:1 რიკიუტი (41), 4:1 რიკიუტი (55)

**სპეცია-ბარი** 1:1

გოლები: 0:1 სანტორუვო (43), 2:0 დუ პრადუ (62)

**ტრევიზო-მანტოვა** 2:2

გოლები: 0:1 გოდეასი (29), 1:1 ბეგეტო (32), 2:1 ბონუჩი (33), 2:2 ფიორე (48)

**ტრიესტინა-გროსეტო** 4:0

გოლები: 1:0 გრანოკე (4-პენ), 2:0 სგრინია (48), 3:0 სგრინია (58), 4:0 მილანი (77)

გაძევება: ვალერი (26. გროსეტო)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალბინოლეფე | 14 | 10 | 2 | 2 | 29-14 | 32 |
| 2. პიზა | 14 | 10 | 1 | 3 | 26-20 | 31 |
| 3. ბოლონია | 13 | 8 | 4 | 1 | 18-6 | 28 |
| 4. ბრეშა | 14 | 8 | 3 | 3 | 23-13 | 27 |
| 5. კიევო | 14 | 8 | 3 | 3 | 24-17 | 27 |
| 6. ლეჩე | 13 | 7 | 4 | 2 | 19-10 | 25 |
| 7. რიმინი | 14 | 6 | 4 | 4 | 20-16 | 22 |
| 8. ასკოლი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-13 | 21 |
| 9. ფროზინონე | 14 | 6 | 3 | 5 | 19-18 | 21 |
| 10. მანტოვა | 14 | 5 | 4 | 5 | 18-13 | 19 |
| 11. მოდენა | 14 | 5 | 4 | 5 | 20-19 | 19 |
| 12. გროსეტო | 14 | 4 | 5 | 5 | 11-16 | 17 |
| 13. პიაჩენცა | 14 | 5 | 1 | 8 | 12-19 | 16 |
| 14. მესინა | 14 | 4 | 4 | 6 | 11-19 | 16 |
| 15. ბარი | 14 | 3 | 6 | 5 | 15-18 | 15 |
| 16. სპეცია | 14 | 3 | 5 | 6 | 18-18 | 14 |
| 17. ტრიესტინა | 14 | 3 | 5 | 6 | 18-26 | 14 |
| 18. ვიჩენცა | 14 | 2 | 6 | 6 | 15-22 | 12 |
| 19. რავენა | 14 | 3 | 3 | 8 | 17-26 | 12 |
| 20. აველინო | 14 | 3 | 2 | 9 | 12-20 | 11 |
| 21. ტრევიზო | 14 | 3 | 1 | 10 | 11-23 | 10 |
| 22. ჩეზენა | 13 | 0 | 7 | 6 | 11-23 | 7 |

**ბომბარდირები:** 11 - კასტილიო (პიზა), ჩელინი (ალბინოლეფე); 10 - გრანოკე (ტრიესტინა); 9 - სონჩინი (ასკოლი); 8 - ბრუნო (მოდენა), ჩერჩი (პიზა), ჟედა (რიმინი), ლოდი (ფროზინონე); 7 - გოდეასი (მანტოვა), გუიდეტი (სპეცია), პოსანცინი (ბრეშა), სუჩი (რავენა).

### სერია C1/A

XIII ტური

კავეზე-ტერნანა 2:1; ჩიტადელა-ფოლინიო 0:0; კრემონეზე-ნოვარა 4:2; ფოჯა-მანფრედონია 4:0; პრო სესტო-ლენიანო 1:2; პრო-პატრია-პადოვა 1:1; სასუოლო-ლეკო 2:0; ვენეცია-პაგანეზე 1:0; ვერონა-მონცა 0:0.

### სერია C1/B

XIII ტური

არეცო-კროტონე 3:0; გალიპოლი-პოტენცა 1:0; ლანჩანო-სანჯოვანეზე 1:0; პერუჯა-ლუკეზე 0:0; პისტოიეზე-პესკარა 0:0; სამბენედეტეზე-იუვე სტაბია 2:1; სორენტო-მარტინა 1:0; ტარანტო-მასეზე 2:1; სალერნიტანა-ანკონა დღეს.

# ტორესი დაბრუნდა და გაიტანა

## მენიუ სრული სვლით და ჩელსის ორი განიავებული ქულა...

**ფერნანდო ტორესი** დაბრუნდა და „ლივერპული“ მორიგი უსიამოვნებისაგან იხსნა. „ფულჰემმა“ მრისხანე მეტოქესთან თავდადებით იბრძოლა, მაგრამ ბოლო ცხრა წუთში ორი გოლი გაუშვა. თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე **რაფა ბენიტესმა** ტორესი გამოიყვანა. 81-ე წუთზე მან ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გახსნა ანგარიში. რამდენიმე წუთში **პიტერ კრაუჩის** ნაქცევისათვის პენალტი დაინიშნა. **სტივ ჯერარდმა** მეორედ აიღო მონინაალმდეგის კარი და ამით „ლივერპული“ მეხუთე საშინაო ფრეს გადაურჩა.

რამდენიმე დღით ადრე, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურში, „ლივერპულმა“ „ბეშიქთაშს“ რვა უპასუხო გოლი გაუტანა. „ფულჰემი“ საკმაოდ მოკრძალებული კოლექტივია. გულშემატკივრები მერსისაიდელებისაგან იოლ გასეირნებას ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. შეხვედრა სტუმართა შეტევით დაიწყო. ყოფილმა ლივერპულელმა **დენი მერფიმ** **ხოსე რეინა** მე-14 წამზე შეაწუხა. მე-15 წუთზე ის კიდევ ერთხელ დაემუქრა მასპინძელთა კარს. რეინამ ბურთი ეფექტური ნახტომით მოიგერია. საპასუხო იერიშისას **სემი ჰიიპიამ** მარჯვენა დაბალ კუთხეში დასცხო. **ანტი ნიემიმ** მშვენიერი რეაქციით უპასუხა. ჯერარდის შორეული დარტყმა არაზუსტი აღმოჩნდა. „ფულჰემი“ „ბეშიქთაშზე“ უკეთ იყო ორგანიზებული და მეტი მონდომებით თამაშობდა. „ლივერპულს“ საგოლე მომენტების შექმნა უჭირდა. მოედნის ცენტრში ბევრს შრომობდნენ მერფი და **სტივ დევისი**. მასპინძელთა განაპირა მცველებს **შეფკი კუკისა** და **დევიდ ჰილისაგან** მოსვენება არ ჰქონდათ.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კრაუჩმა ხარიხა შეაზანზარა. ის **ფაბიო აურელიოს** ჯარიმას გამოეხმაურა და თავით ძლიერად დაარტყა. ორ წუთში **ანდრეი ვორონინმა** მარცხენა დაბალ კუთხეს დაუმიზნა. ნიემი ისევ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. „ფულჰემის“ მცველები თავგამოდებით თამაშობდნენ. მერფიმ ჯერარდი მოცელა და ის ამის გამო გააფრთხილეს კიდეც. აურელიომ კარში ძლიერად დაარტყა, ნიემიმ მოიგერია, ვორონინმა კი დამატებაზე ვერ ივარგა. ფინელმა მეკარემ უკრაინელი ფორვარდი მეორედაც გაანბილა. ვორონინმა კრაუჩისაგან კარგი პასი მიიღო, საჯარიმოში შეიჭრა და დაარტყა, მაგრამ ბურთს ნიემი გადაეღობა. **ლორი სანჩესმა** მარცხენა ფლანგი გააძლიერა. ბენიტესმა თავდასხმის გაძლიერებით უპასუხა - **რაიან ბაბელმა ჯონ არნე რიისე** შეცვალა. ჰოლანდიელი უმალ შეტევაში ჩაერთო და ბენაიუნი კარგ პოზიციაზე გაიყვანა. ნიემიმ ისევ შეუდარებლად ითამაშა. ბენიტესმა ვორონინი ტორესით შეცვალა, **ხავიერ მასკერანო - ლუკასით**. ერთი წუთში გოლიც გამოცხვა. ტორესს საგოლე პასი მეკარე რეინამ გაუკეთა. მან თითქმის 60 მეტრზე გადააგდო ბურთი - ფერნანდომ ის დაიმორჩილა, საჯარიმოში შეიჭრა და ნიემის ახლო კუთხეში გაუტანა. ოთხ წუთში **კარლოს ბოკანეგრა** კრაუჩთან დაჯარიმდა. ჯერარდმა პენალტით წერტილი დასვა.

„ჩელსიმ“ „ევერტონთან“ მოულოდნელად ქულები გაანიავა. „არისტოკრატები“ 71-ე წუთზე დაწინაურდნენ. **დიდიე დროგბამ** სეზონის მეშვიდე გოლი გაიტანა, მაგრამ 3 ქულისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თამაშის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე **ტიმ კაჰილმა** კარიერის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი შეაგდო. მან **კარლო კუდიჩინის** მაკრატელა დარტყმით გაუტანა. მასპინძლები მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებენ თავს, რომ მათ საშინაო წაუგებელ სერიას დასასრული არ უჩანს და ის უკვე 69 თამაშია გრძელდება.

„ჩელსის“ ცენტრალური მცველი **რიკარდო კარვალიო** დაუშავდა. ის 26-ე წუთზე შეცვალეს. კარვალიომ მაღალი ბურთის მოგერიება სცადა და უხერხულად დაეცა. პორტუგალიელი ლეგიონერის ნაცვლად მოედანზე **ტალ ბენ ჰაიმი** გამოვიდა.

28-ე წუთზე ლონდონელებმა კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს. დროგბამ **ლემპარდს** შორ კუთხესთან გადააწოდა. ფრენკმა ბურთი ოსტატურად გააჩერა და კარის გასწვრივ **შონ რაიტ-ფილიპსს** გაუგორა. მეკარე **ტიმ ჰოვარდმა** ჯერ მისი დარტყმული მკვდარი ბურთი აიღო, შემდეგ ლემპარდის დამატებულსაც გაუმკლავდა. დაინიშნა კუთხური. ის ლემპარდმა შოაწოდა. დროგბამ კი თავით უხეიროდ დაარტყა. ჰოვარდმა მომდევნო კუთხურის დროსაც საიმედოდ ითამაშა და სხვათა შორის, ისევ დროგბას აუღო. **ფილ ნევილმა** ბენ ჰაიმთან საჰაერო დუელისას იდაყვი მოიშველია და ამის გამო ყვითელი დაიმსახურა. 45-ე წუთზე დროგბამ საუკეთესო შანსი გაანიავა: რაიტ-ფილიპსმა მეკარის მოედანში უმეთვალყურეოდ დატოვებული ფორვარდი შენიშნა, მაგრამ ეს უკანასკნელი პასს მოუმზადებელი შეხვდა.

შესვენებისას „ევერტონის“ თავკაცმა **დევიდ მოიესმა** სამი ფეხბურთელი შეცვალა. **ავრაამ გრანტმა** 63-ე წუთამდე მოიცადა, შემდეგ კი რაიტ-ფილიპსის ნაცვლად **სალომონ კალუ** ჩართო თამაშში. შვიდ წუთში კალუმ საგოლე პასი გააკეთა. 70-ე წუთზე მან კუთხური მოაწოდა. „ფულჰემის“ მცველებს ჩაეძინათ, დროგბამ კი აუღელვებლად შეაგდო. თამაშის მიწურულს ტიმ კაჰილმა მაყურებელს ცივი წყალი გადაავლო. **ჟულიანო ბელეტიმ ჯეიმს მაკფადენის** პასს ვერაფერი მოუხერხა. ბურთი დაუბრკოლებლად მიუვიდა ავსტრალიელ გარემარბს. მან ის მაღალ კუთხეში შეაგდო.

**კრისტიანო რონალდომ** „ბლექბერნს“ დუბლი შეუსრულა. სტუმრებს მეორე ტაიმის დასაწყისში **დევიდ დანი** გაუძევეს, მაგრამ შეხვედრის ბედი შესვენებამდე, 120-წამიან მონაკვეთში გადაწყდა. პორტუგალიელმა სწორედ ეს დრო იკმარა ორი გოლის გასატანად. მან საამსეზონო მონაგარი 10 გოლამდე აიყვანა. „ეშმაკებმა“ კი ბოლო 10 მატჩში მეცხრედ მოაგებინა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „იუნაიტედის“ წარმატებულ სერიას მომდევნო სამ მატჩშიც არაფერი დაემუქრება. „მენიუ“ „ბოლტონს“, „ფულჰემს“, დერბის“ შეხვდება და მაქსიმალური შედეგისათვის იბრძოლებს.

ჩრდილოურ დერბიში „სანდერლენდმა“ „ნიუკასლს“ უმასპინძლა. მას ჯორდებთან საკუთარ მოედანზე 27 წელია, არ მოუგია. ანგარიში **დენი ჰიგინბოთემმა** გახსნა. 13 წუთში **ჯეიმს მილნერმა** საპასუხო გოლი გაიტანა. „სანდერლენდმა“ ნაგებათა ხუთმატჩიანი სერია შეწყვიტა. „ნიუკასლმა“ კი ზედიზედ მეორედ ვერ მოიგო. შაბათს ეს გუნდები 127-დ შეხვდნენ ერთმანეთს.



ლივერპულს ფერნანდო ტორესმა უშველა

თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე ექსნიუკასლელმა **მაიკლ ჩოპრამ** ხარიხა შეაზანზარა.

„დერბი“ ისევ მიარბიეს. „ლივერპულისა“ და „არსენალის“ შემდეგ, ეს მისია „ვესტ ჰემმა“ ითავა. „დერბის“ გადარჩენის შანსი მინიმალურია. სეზონის დასრულებამდე დიდი დროა, მაგრამ გუნდს მდგომარეობის გამოსწორების პირი არ უჩანს. მისი ბურთების ბალანსი მინუს 26-ია. 13 ტურის შემდეგ ასეთი სავალალო მდგომარეობა განგაშის საფუძველს აჩენს. „ვესტ ჰემი“ დერბიში ექვსი მოუგებელი მატჩითა და ტრავმებისაგან შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდა, მაგრამ მაინც ხუთი უპასუხო გოლი გამოაცხო.

სამი დღით ადრე უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში, „ბოლტონმა“ „ბაიერნთან“ ისტორიული მატჩი ჩაატარა. ისტორიული იმიტომ, რომ ინგლისელებმა ევროპულ გრანდს ერთი ქულა აართვეს. „მიდლსბროსთან“ კალენდარულ შეხვედრაში **გარი მეგსონის** შეგირდებმა ორი დაუგეგმავი ქულა გაანიავეს. თუ გუნდს პრემიერლიგაში დარჩენა უნდა, ასეთი მატჩები უნდა მოიგოს. ბოლტონელებს ორი საუკეთესო თავდამსხმელი, **ნიკოლა ანელკა** და **ელჰაჯი დიუფი** აკლდათ. შეტევაში ნახევამცველი **კევინ დევისი** დააყენეს. მეგსონის მისვლის შემდეგ გუნდმა ოთხიდან სამი თამაში ფრედ დაასრულა. სანაკრებო პაუზის შემდეგ „ბოლტონს“ სიჩქარის მომატება მართებს.

„ტოტენჰემმა“ თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ მოიგო. ეს გამარჯვება პირველი იყო, რომელიც **ხუანდე რამოსმა** პრემიერლიგაში მოიპოვა. „მამლებს“ სუსტი მეტოქე ჰყავდათ. „ვიგანი“ ამ თამაშისათვის დროებითმა მწვრთნელმა **ფრენკ ბარლოუმ** მოამზადა. გუნდმა ზედიზედ მეშვიდე მარცხი იწვნია. ვიგანელები ყოფილი დამრიგებლის **პოლ ჯუელის** პასუხს ელიან. გუნდს 13 ტურის შემდეგ რვა ქულა აქვს. პრემიერლიგაში დასარჩენად მინიმუმ 40 ქულაა საჭირო. „ვიგანს“ ამ შემადგენლობითა და ამ განწყობით 32 ქულის მოხვეჭა ძალიან გაუჭირდება.

### მომდევნო ტური

24 ნოემბერი. არსენალი-ვიგანი, ბირმინგემი-პორტსმუთი, ბოლტონი-მანჩესტერ იუნ, დერბი-ჩელსი, ევერტონი-სანდერლენდი, მანჩესტერ სიტი-რედინგი, მიდლსბრო-ასტონ ვილა, ნიუკასლი-ლივერპული; 25 ნოემბერი. ფულჰემი-ბლექბერნი, ვესტ ჰემი-ტოტენჰემი.

### სანდერლენდი-ნიუკასლი 1:1

**სანდერლენდი:** გორდონი, ჰარტი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, ნოსვორთი (25. კოლინსი), ედვარდსი, ეტუჰუ, ლიდბიტერი, უოლესი (72. სტოუკსი), ჩოპრა, ჯოუნსი.

**ნიუკასლი:** ჰარპერი, როზენალი, სტივ ტეილორი, ბარტონი, ემრე (88. ჯერემი), ფაიე (61. ბეიე), მილნერი, ნზოგბია, ოუენი (83. მარტინსი), სმიტი, ვიდუკა.

**გოლები:** 1:0 ჰიგინბოთემი (52), 1:1 მილნერი (65).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 21(8)-9(5); **ჯარიმა:** 10-15; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 47 701

### დერბი-ვესტ ჰემი 0:5

**დერბი:** ბაივოტერი, ედვორთი, გრიფინი, მიერსი, მური, ბარნესი, ლიუისი (58. ერნშო), ოუკლი, პერსონი, ტილი (52. ჰოვარდი), მილერი (75. ფეგანი).

**ვესტ ჰემი:** გრინი, გებიდონი, მაკარტნი (14. პანტსილი), ნილი, სპექტორი, აპსონი, ბოუიერი (72. კოლინსი), ეთერინგტონი, სოლანო, ბოა მორტე, კარლტონ კოული.

**გოლები:** 0:1 ბოუიერი (42), 0:2 ეთერინგტონი (51), 0:3 ლიუისი (55-საკ.კარში), 0:4 ბოუიერი (59), 0:5 სოლანო (69).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(2)-18(11); **ჯარიმა:** 12-9; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 32 440

### ლივერპული-ფულჰემი 2:0

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, ფაბიო აურელიო, კარაგერი, ჰიიპია, ბენაიუნი, ჯერარდი, მასკერანო (81. ლუკასი), რიისე (62. ბაბელი), კრაუჩი, ვორონინი (70. ტორესი).

**ფულჰემი:** ნიემი, ბეირდი, ბოკანეგრა, აარონ ჰიუზი, სტეფანოვიჩი, საიმონ დევისი, სტივ დევისი, დემპსი (69. დიომანსი კამარა), დენი მერფი, ჰილი (60. ბუაზა), კუკი.

**გოლები:** 1:0 ტორესი (81), 2:0 ჯერარდი (85-პენ).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 21(12)-5(3); **ჯარიმა:** 9-12; **კუთხური:** 8-2; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 43 073

### ბირმინგემი-ასტონ ვილა 1:2

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, ჯურუ, კელი, რიჯველი, შმიტცი, დე რიდერი, მუამბა, ნაფტი (72. ლარსონი), პალასიოსი (46. ფორსელი), ჯერომი (75. ოკონორი), კაპო.

**ვილა:** კარსონი, ბუმა, ნაიტი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, სტილიან პეტროვი, რეოკკერი, იანგი, აგბონლაორი, კარუ (68. მური).

**გოლები:** 0:1 რიჯველი (11-საკ.კარში), 1:1 ფორსელი (62), 1:2 აგბონლაორი (87).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 14(8)-15(6); **ჯარიმა:** 17-8; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 26 539

### ჩელსი-ევერტონი 1:1

**ჩელსი:** კუდიჩინი, ალექსი, ბელეტი, ბრიჯი, რიკარდო კარვალიო (29. ბენ-ჰაიმი), ჯო კოული, ესიენი, ლემპარდი, ობი მიკელი, რაიტ-ფილიპსი (64. კალუ), დროგბა.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი (46. მაკფადენი), ნუნუ ვალენტე, იობო, კაჰილი, კარსლი (76. გრავესენი), ოსმანი, პიენაარი, იაკუბუ (46. ანიჩებე).

**გოლები:** 1:0 დროგბა (70), 1:1 კაჰილი (90).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 16(10)-6(2); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 9-1; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 41 683

### ბოლტონი-მიდლსბრო 0:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სიდი, მეიტე, ობრაიენი, კამპო, გარდნერი, გუტრი, მაკენი, ნოლანი (64. იანაკოპულოსი), სპიდი (80. თეიმურიანი), კევინ დევისი.

**მიდლსბრო:** შვარცერი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი (30. პოგატეცი), უიტერი, იანგი, ბოატენგი, კატერმოული, დაუნინგი, ონილი, ალიადიერი, თუნჯაი (68. ჰაჩინსონი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17(7)-9(7); **ჯარიმა:** 16-22; **კუთხური:** 6-7; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 17 624

### მანჩესტერ იუნ.-ბლექბერნი 2:0

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვეს ბრაუნი, ევრა, რიო ფერდინანდი, ვიდიჩი, ანდერსონი, გიგზი, ჰარგრივსი (77. ქერიკი), კრისტიანო რონალდო, საა (68. ნანი), ტევესი.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა, ნელსენი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, დევიდ დანი, ემერტონი, პედერსენი, მაკარტი, სანტა კრუსი (78. დერბიშირი).

**გოლები:** 1:0 რონალდო (34), 2:0 რონალდო (35).

**გაძევება:** დევიდ დანი (53. ბლექბერნი)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 26(15)-12(7); **ჯარიმა:** 7-19; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 75 710

### ტოტენჰემი-ვიგანი 4:0

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, დოსონი, ქაბული, ლი, ჯენასი, ლენონი (80. დეფო), მალბრანკი (53. ტაინიო), ზოკორა, ბერბატოვი, რობი კინი (67. დარენ ბენტი).

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, გრანკვისტი, მელხიოტი, შარნერი, რაიან ტეილორი, კილბეინი, ლანდზაატი, სკოკო (64. მარკუს ბრაუნი), მარკუს ბენტი, კოტერილი (39. სიბირსკი).

**გოლები:** 1:0 ჯენასი (13), 2:0 ჯენასი (26), 3:0 ლენონი (34), 4:0 დარენ ბენტი (72).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 20(8)-9(2); **ჯარიმა:** 8-16; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 35 504

### პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი 0:0

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, სოლ კემპბელი, დესტენი, გლენ ჯონსონი, პამარო, შონ დევისი, კრანჩარი, მუნტარი, უტაკა (46. მარკ ტეილორი), კანუ (63. ნაჯენტი), მვარუვარი.

**სიტი:** ჰარტი, კორლუკა, რიჩარდ დანი, გარიდო, რიჩარდსი, ელანო (90. ჯოვანი), ჟელსონი, ჰამანია, ირლანდი, მარტინ პეტროვი, ვასელი (89. ბიანკი).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 20(12)-11(5); **ჯარიმა:** 11-7; **კუთხური:** 9-1; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 19 539

**რედინგი-არსენალი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 13 | 9 | 3 | 1 | 23-6 | 30 |
| 2. არსენალი | 11 | 8 | 3 | 0 | 24-9 | 27 |
| 3. მანჩესტერ ს | 13 | 8 | 2 | 3 | 16-13 | 26 |
| 4. ჩელსი | 13 | 7 | 4 | 2 | 19-9 | 25 |
| 5. ლივერპული | 12 | 6 | 6 | 0 | 19-6 | 24 |
| 6. პორტსმუთი | 13 | 6 | 5 | 2 | 23-13 | 23 |
| 7. ბლექბერნი | 12 | 6 | 4 | 2 | 15-11 | 22 |
| 8. ასტონ ვილა | 12 | 6 | 3 | 3 | 18-14 | 21 |
| 9. ევერტონი | 13 | 6 | 2 | 5 | 19-15 | 20 |
| 10. ვესტ ჰემი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-10 | 18 |
| 11. ნიუკასლი | 12 | 5 | 3 | 4 | 19-18 | 18 |
| 12. რედინგი | 12 | 4 | 1 | 7 | 15-26 | 13 |
| 13. ფულჰემი | 13 | 2 | 6 | 5 | 16-20 | 12 |
| 14. ტოტენჰემი | 13 | 2 | 5 | 6 | 23-24 | 11 |
| 15. ბირმინგემი | 13 | 3 | 2 | 8 | 13-19 | 11 |
| 16. სანდერლენდი | 13 | 2 | 4 | 7 | 13-22 | 10 |
| 17. მიდლსბრო | 13 | 2 | 4 | 7 | 12-23 | 10 |
| 18. ბოლტონი | 13 | 1 | 5 | 7 | 11-18 | 8 |
| 19. ვიგანი | 13 | 2 | 2 | 9 | 10-23 | 8 |
| 20. დერბი | 13 | 1 | 3 | 9 | 5-31 | 6 |

**ბომბარდირები:** 7 - ბენჯანი (პორტსმუთი); 6 - ანელკა (ბოლტონი), კინი (ტოტენჰემი), ადებაიორი (არსენალი); 5 - დროგბა (ჩელსი), ფაბრეგასი (არსენალი), მაკარტი (ბლექბერნი), ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონატი

XVI ტური

**ბლექპული-სკანთორპი** 1:0

გოლები: 1:0 გორკსი (73).

**კრ. პალასი-ქუინზ პარკი** 1:1

გოლები: 0:1 სინკლერი (45), 1:1 მორისონი (88).

**ჩარლტონი-კარდიფი** 3:0

გოლები: 1:0 სოდიე (44), 2:0 იველუმო (45), 3:0 ჟი (80).

**ჰალი-პრესტონი** 3:0

გოლები: 1:0 ვინდესი (11), 2:0 კემპბელი (21), 3:0 დოსონი (63).

**იფსვიჩი-ბრისტოლი** 6:0

გოლები: 1:0 უოლტერსი (5), 2:0 რაიტი (15), 3:0 მილერი (48-პენ), 4:0 უოლტერსი (55), 5:0 კუნაგო (65), 6:0 უოლტერსი (72).

**ლესტერი-ბარნლი** 0:1

გოლი: 0:1 გრეი (23).

**პლიმუთი-ნორვიჩი** 3:0

გოლები: 1:0 მარტინი (26), 2:0 კონოლი (47), 3:0 ნორისი (49).

**უენსდი-საუთჰემპტონი** 5:0

გოლები: 1:0 ველანი (41-პენ), 2:0 სოდიე (51), 3:0 ველანი (56), 4:0 სოდიე (62), 5:0 ობრაიენი (65).

**უოტფორდი-კოლჩესტერი** 2:2

გოლები: 1:0 ჯონსონი (4), 1:1 პლატი (20), 1:2 ლისბი (46), 2:2 კინგი (64).

**ვულვზი-ბარნსლი** 1:0

გოლი: 1:0 კოლინსი (13).

**სტოკი-შეფილდი** 0:1

გოლი: 0:1 კაჰილი (43).

**ქოვენთრი-ვესტ ბრომვიჩი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უოტფორდი | 16 | 11 | 3 | 2 | 29-18 | 36 |
| 2. ჩარლტონი | 16 | 8 | 4 | 4 | 22-15 | 28 |
| 3. ვ. ბრომვიჩი | 15 | 8 | 3 | 4 | 31-16 | 27 |
| 4. ბრისტოლი | 16 | 7 | 6 | 3 | 21-20 | 27 |
| 5. ვულვზი | 16 | 7 | 5 | 4 | 18-15 | 26 |
| 6. იფსვიჩი | 15 | 7 | 4 | 4 | 31-22 | 25 |
| 7. პლიმუთი | 16 | 6 | 6 | 4 | 22-18 | 24 |
| 8. ქოვენთრი | 15 | 7 | 3 | 5 | 20-20 | 24 |
| 9. სტოკი | 16 | 6 | 5 | 5 | 22-22 | 23 |
| 10. ბარნსლი | 16 | 6 | 5 | 5 | 20-22 | 23 |
| 11. ჰალი | 16 | 6 | 4 | 6 | 21-17 | 22 |
| 12. შეფილდი | 16 | 5 | 6 | 5 | 23-22 | 21 |
| 13. ბარნლი | 15 | 5 | 6 | 4 | 21-20 | 21 |
| 14. სკანთორპი | 16 | 5 | 5 | 6 | 18-20 | 20 |
| 15. საუთჰემპტ | 16 | 6 | 2 | 8 | 24-33 | 20 |
| 16. უენსდი | 16 | 6 | 1 | 9 | 22-25 | 19 |
| 17. ლესტერი | 15 | 3 | 8 | 4 | 14-12 | 17 |
| 18. კოლჩესტერ | 16 | 3 | 8 | 5 | 27-27 | 17 |
| 19. ბლექპული | 15 | 3 | 7 | 5 | 18-21 | 16 |
| 20. კარდიფი | 15 | 3 | 6 | 6 | 19-23 | 15 |
| 21. პრესტონი | 16 | 3 | 6 | 7 | 15-20 | 15 |
| 22. ქ. პარკი | 15 | 3 | 6 | 6 | 14-24 | 15 |
| 23. კრ. პალასი | 16 | 2 | 8 | 6 | 16-20 | 14 |
| 24. ნორვიჩი | 16 | 2 | 3 | 11 | 10-26 | 9 |

**ბომბარდირები:** 9 - ბიტი (შეფილდი); 8 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), ჰენდერსონი (უოტფორდი); 7 - გრეი (ბარნლი), იტსი (კოლჩესტერი); 4 - ჰოვარდი (ბარნსლი), პატერსონი (სკანთორფი), მილერი (ვესტ ბრომვიჩი), ლი (იფსვიჩი), ფულერი (სტოკი), კინგი (უოტფორდი).

### კონფერენსი

გადადებული მატჩი

უოკინგი-გრეისი 0:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ შტუტგარტმა ივაჟკაცა!

## ბაიერნის პირველი წაგება ჰიტცფელდს ბრალდება…



სიხარული შვაბურად. მარიო გომესმა (მარცხნივ) ანგარიში გახსნა

„ვერდერი“-„ბაიერნი“ 0:4; „ჰამბურგი-ბაიერნი“ 1:1; „ბაიერნი“-შალკე“ 1:1; „ლევერკუზენი“-„ბაიერნი“ 0:1; „ბორუსია“-„ბაიერნი“ 0:0 – ეს „ბაიერნის“ იმ მატჩების ჩამონათვალია, სადაც რეკორდმაისტერს წესითა და რიგით, მარცხის საფრთხე უნდა დამუქრებოდა, მაგრამ ბავარიულმა კლუბმა ყველა ეს თამაში წაუგებლად ჩაატარა და გასულ შაბათამდე წაგება არ ჰქონდა. მაშ ვისთან უნდა ეწვნია მარცხი „ბაიერნს“, თუ არა მოქმედ ჩემპიონ „შტუტგარტთან“, რომელიც ამ შეხვედრას უდიდესი მოტივაციით ელოდა და რომელსაც თავის მხრივ სერიოზული კრიზისი ედგა. მაშ ასე, **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი აღარ არის წაუგებელი, „ბაიერნი“ აღარ არის აუღებელი ციხე-სიმაგრე – „შტუტგარტი“ გამოდგა ის გუნდი, რომელმაც ერთპიროვნულ ლიდერს პირველი მარცხი აგემა და ფაქტია, რომ ახლა უკვე „ბაიერნია“ კრიზისში, რადგან ორი 0:0-ის („დორტმუნდსა“ და „აინტრახტთან“) და „ბოლტონთან“ 2:2-ის შემდეგ, FCB-მ უკვე წააგო კიდეც.

*„ასეთი ბედნიერები დიდი ხანია, აღარ ვყოფილვართ!“* – სკანდირებდნენ „გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონზე“ მისული ქომაგები ერთხმად და გერმანიის მოქმედი ჩემპიონის მეორედ დაბადებას, ან, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მკვდრეთით აღდგომას ზეიმობდნენ. რეკორდმაისტერის ძვირფასმა ფეხბურთელებმა საშინლად იასპარეზეს და აბსოლუტურად მთელს საფეხბურთო გერმანიას ის „ბაიერნი“ გაახსენეს, რომელიც გასულ სეზონში, 21 აპრილს, ასევე შტუტგარტში დაეცა - მიუნხენურმა კლუბმა მაშინ ჩემპიონობისა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი დაკარგა.

გაოგნებული და სასოწარკვეთილი იყო ჰიტცფელდი, რომელსაც კვლავ მოუხდება კრიტიკის მოსმენა. „ბოლტონთან“ თამაშის შემდეგ ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ოტმარს როტაცია დაუწუნა და თქვა, მწვრთნელმა მუდმივად საუკეთესო ფეხბურთელები უნდა ათამაშოსო, რის გამოც მოთამაშეების დიდმა ნაწილმა კალე გააკრიტიკა და ჰიტცფელდს დაუჭირა მხარი, მაგრამ ახლა გამოჩნდა, რომ რუმენიგე მართალი იყო, ოტმარი კი მტყუანი, რადგან „შტუტგარტში“ ზუსტად იმ ფეხბურთელებმა ჩაისვარეს, რომლებიც ჰიტცფელდმა „ბოლტონთან“ დაასვენა (**ლამი, დემიკელისი, ზე რობერტო**). ჰიტცფელდმა ძირითად შემადგენლობაში ათამაშა 17 წლის **ტონი კროოსი**, რასაც მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თავიდანვე ზედმეტად ვაჟკაცური გადაწყვეტილება უწოდა. კროოსმა მწვრთნელს იმედები გაუცრუა და მოედანზე შეუმჩნეველი იყო. ჰიტცფელდის ნდობა ვერ გაამართლა **პოდოლსკიმაც**, რომელსაც კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამს, არადა უეფას თასზე შესრულებული დუბლის გამო ოტმარი იმედოვნებდა, რომ პოლდი ბუნდესლიგაშიც გახსნიდა გოლთა აქტივს.

მე-10 წუთზე, **ლუდოვიკ მანინის** ჩაწოდებას (მარცხენა ფლანგიდან) **მარიო გომესი** გამოეხმაურა, ბურთს ადგილზე დახვდა და კარში შეაგდო. 30-ე წუთზე **ჰილბერტმა** მარცხნიდან **ბაშთურქი** მოძებნა, რომელმაც 20 მეტრიდან დაამწუხრა **ოლივერ კანი** (ტიტანმა ნახტომი დააგვიანა). 43-ე წუთზე კი, “ბაიერნის“ დაცვაში შექმნილი მორიგი ქაოსით ისევ ჰილბერტმა ისარგებლა და გომესს უპასა, რომელმაც დუბლი გაიფორმა და ანგარიში სასტიკი გახადა. რეკორდმაისტერმა მეტოქეს ვერც მეორე ტაიმში შესთავაზა სიურპრიზები (პირველ ტაიმში **ტონის** გოლი არ ჩაუთვალეს), ხოლო, როცა გაირკვა, რომ მიუნხენელები სამი გოლის გამტანი აღარ იყვნენ, სასტიკი უხეშობები დაიწყეს. 70-ე წუთზე, სწორედ ასეთი საქციელის გამო, მსაჯმა მოედანი **ლუსიოს** დაატოვებინა, ზუსტად სამი წუთის შემდეგ კი **რიბერი** იმსახურებდა გაძევებას, როცა **პარდოს** უთავაზა, მაგრამ მსაჯს არაფერი დაუნახავს. 86-ე წუთზე ბავარიელებმა საპატიო გოლი შეაგდეს (ტონი), მაგრამ ეს არაფერს ცვლის – „ბაიერნში“ კრიზისია…

„შალკესა“ და „ჰამბურგის“ შეხვედრაში ფრე დაფიქსირდა, რომელიც არცერთ მათგანს არ აწყობდა. არც „შალკემ“ წააგო და არც „ჰამბურგმა“, მაგრამ ორივე წაგებულია – HSV-მ ხელიდან გაუშვა შესანიშნავი შანსი იმისა, რომ 1999 წლის 11 სექტემბრის შემდეგ პირველად გამხდარიყო ბუნდესლიგის ლიდერი, „შალკეს“ კი ლიდერებთან მიახლოვება შეეძლო – **მირკო სლომკას** გუნდს გერმანიის პირველობაზე უკვე ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. ცოტა არ იყოს გასაკვირია ის ფაქტი, რომ თამაშის წინ, „შალკეს“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ეწერა, ეს თამაში სლომკასთვის ერთგვარი ფინალიაო. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გელზენკირხენელებს 8 ფეხბურთელი აკლდათ, გუნდისთვის ეს ფრე საპატიოა, მაგრამ მწვრთნელისთვის?

არადა, მასპინძლებმა ომახიანად დაიწყეს და უკვე მე-12 წუთზე **მლადენ კრსტაიჩის** გოლით დაწინაურდნენ, რომელმაც **რაკიტიჩის** ჯარიმას თავი და მხარი ერთად დაუხვედრა და ბურთი ყოფილი თანაგუნდელის, **ფრანკ როსტის** კარში გადაგზავნა. კრსტაიჩის გოლის შემდეგ მსაჯმა **მანუელ გრეფემ** დაიჩივლა, ერთ-ერთი ტრიბუნიდან სასტვენების ხმა მოდის, რაც ხელს მიშლისო. ფეხბურთელებს კი თვითონ გრეფეს სასტვენი უშლიდათ, რადგან ეს უკანასკნელი ძალიან ხშირად უსტვენდა და ამით თამაშს დალი დაასვა. სტუმრებმა ანგარიში 35-ე წუთზე გაათანაბრეს: **გერეროს** პასით **ოლიჩმა** იხეირა და მიმდინარე სეზონში მე-5 გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა მოგების შანსი. „შალკეს“ არ გაუმართლა, რადგან **ჰიოვედესის** თავური დარტყმის შემდეგ, ბურთი კარის ხაზიდან **იაროლიმმა** გამოიტანა (63), მერე კი, **აზაუაგის** კუთხურის დროს, ბურთი როსტის კარის ძელს მოხვდა (85). „ჰამბურგიდან“ **ვან დერ ვაარტს** შეეძლო გატანა, მაგრამ 71-ე წუთზე მისი ძლიერი დარტყმა (18 მეტრიდან) **ნოიერმა** კუთხურზე მოიგერია. მატჩის შემდეგ, კითხვაზე, იცოდა თუ არა, რამდენი ქულით ჩამორჩებოდა HSV „ბაიერნს“, ჩრდილოგერმანული კლუბის თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმა** ასეთი პასუხი გასცა: *„არ ვიცი და არც მაინტერესებს, წინა კვირას სხვაობა 2 ქულა იყო.“* „შალკეს“ მწვრთნელი კი რატომღაც კმაყოფილი გახლდათ: *„მიხარია, რომ სანაკრებო შესვენებაზე კარგ ხასიათზე მყოფნი გავდივართ.“* ნუთუ?..

ამასობაში, „ვერდერმა“ დრო იხელთა და მეორე ადგილზე წამოსკუპდა. მართალია, ბრემენელებსაც იმდენივე ქულა აქვთ, რამდენიც „ჰამბურგს“, მაგრამ „ვერდერი“ HSV-ს ბურთების შეფარდებით სჯობნის. **თომას შააფის** გუნდმა „კარლსრუე“ 4:0 გაანადგურა და თავისი ადგილი მიუჩინა (დროებით მაინც). „მუსიკოსთა“ გამარჯვება ტრადიციულად **დიეგოს** დამსახურება გახლდათ, რომელმაც შესანიშნავი მატჩი ჩაატარა – ორი გოლი, ერთი საგოლე პასი და 89 კონტაქტი ბურთთან! ბადენელთათვის კი, ეს პირველი მარცხი იყო ბოლო 6 თამაშში. KSC-ს მწვრთნელი **ედე ბეკერი** ამბობს, „ვერდერმა“ ჭკუა გვასწავლა და მომდევნო ტურში (ჰერტასთან) სულ სხვა „კარლსრუეს“ იხილავთო. „ვერდერი“ კი თითქოს მკვდრეთით აღსდგა – ეს აღარ იყო ის სამარცხვინო გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში, „ლაციოსთან“ თავი შეირცხვინა, მაგრამ მეტოქესაც ხომ გააჩნია – სად „კარლსრუე“ და სად „ლაციო“…

დორტმუნდის „ბორუსიამ“ ცხრილის ქვედა ნაწილს თავი ვერა და ვერ დააღწია და აგერ უკვე 4 თამაშია, გამარჯვებას ვერ ახერხებს. **თომას დოლის** გუნდმა ამჯერად ფრანკფურტის „აინტრახტს“ უმასპინძლა და მხოლოდ ფრეს (1:1) დასჯერდა. რა გახდა ეს „აინტრახტი“? ფრანკფურტელებმა წინა ტურში მიუნხენიდან წაიღეს ქულა (0:0), ახლა კი „ვესტფალენშტადიონიდანაც“, თანაც, ზუსტად ისეთივე ფეხბურთით, როგორიც მიუნხენში ითამაშეს – 5 მცველი, 2 საყრდენი, 1 შემტევი და 2 ფორვარდი. კარში ამჯერად **მარკუს პრიოლი** edgat, რომელიც გამოჯანმრთელდა და თავისი ადგილი დაიკავა. **ოკა ნიკოლოვმა** კი, რომელიც „ბაიერნთან“ მატჩის გმირი გახდა, ისევ სკამზე გადაინაცვლა. „ბორუსიაც“ ზუსტად ისე უტევდა მთელი მატჩის განმავლობაში, როგორც წინა ტურში „ბაიერნი“ და თანაც დორტმუნდელებმა გაცილებით მეტი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ „აინტრახტის“ მეკარე შეუვალი იყო. პრიოლმა, ისევე როგორც ნიკოლოვმა ერთი კვირის წინ, გრანდიოზული თამაში ჩაატარა და 6-ჯერ იხსნა თავისიანები. „აინტრახტმა“ კი მხოლოდ ერთი მომენტი შექმნა და ისიც გამოიყენა: **ოხსის ჩაწოდება**, **ამანატიდისის** თავი და სტუმრები დაწინაურდნენ (55). მაგრამ საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე, BVB-ს მხსნელად ისევ და ისევ **ფლორიან კრინგე** მოევლინა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გაუტანა პრიოლს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მანამდე „აინტრახტის“ მცველ **კრისს** უბიძგა, რაც მსაჯმა ვერ დაინახა. საინტერესოა, რომდემდე აპირებს „აინტრახტი“ ასეთი ტაქტიკით ფონს გასვლას.

როსტოკის „ჰანზამ“ ბოლოადგილოსანი „კოტბუსი“ მოინელა – 3:2 და ამ მატჩის გმირი მეკლენბურგელთა ალვირახსნილი ფორვარდი **ენრიკო კერნი** გახდა, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა. „ჰერტამ“ **ანდრე ლიმას** გვიანი გოლით „ჰანოვერს“ მოუგო და ამრიგად, დედაქალაქელებმა ბოლო დროს გაჯგიმული „წითლები“ დააშოშმინეს. პარასკევს კი, „ბოხუმმა“ დუისბურგიდან წაიღო 3 ქულა (0:2)…

### მომდევნო ტური

23 ნოემბერი. კარლსრუე-ჰერტა. 24 ნოემბერი. ბაიერნი-ვოლფსბურგი, ლევერკუზენი-დუისბურგი, ბოხუმი-არმინია, ჰანოვერი-შალკე, კოტბუსი-ვერდერი, აინტრახტი-შტუტგარტი. 25. ნოემბერი. ნიურნბერგი-ბორუსია (დ), ჰამბურგი-ჰანზა.

### დუისბურგი–ბოხუმი 0:2

**დუისბურგი:** შტარკე-3.5, ლამეი-4.5, ფილიპესკუ-5, როკე ჟუნიორი-4, კასერესი-4.5, გრლიჩი-3.5 (76. გეორგიევი), ტარარაჩე-5, ტიფერტი-4 (67. დაუნი-3.5), ი. მოხტარი-5 (61. ლავრიჩი-3.5), იშიაკუ-3.5, აილტონი-4.5.

**ბოხუმი:** რენო-2.5, კონჩა-4, მალტრიტცი-3, იაია-3.5, პფერტცელი-3.5, იმჰოფი-3, ეპალე-3 (78. გროტე), დაბროვსკი-3.5, დ. ფუხსი-4.5, მიჩიელი-5 (70. ბეხმანი-2.5), სესტაკი-2.5 (86. დრშეკი).

**გოლები:** 0:1 იმჰოფი (29), 0:2 ბეხმანი (84).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 21-10; **კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 15-18; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 24 259.

### შალკე–ჰამბურგი 1:1

**შალკე:** ნოიერი-4, რაფინია-3, ჰიოვედესი-2.5, კრსტაიჩი-4, ვესტერმანი-3, ჯონსი-3.5 (25. ფ. ერნსტი-4), ბაირამოვიჩი-4 (73. გროსმიულერი), რაკიტიჩი-2.5 (80. აზაუაგი), ასამოა-3.5, ლოვენკრანდსი-5, ლარსენი-4.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-4, ჯ. ბოატენგი-3.5, ბ. რაინჰარდტი-3 (71. ბენჯამინი), მატიისენი-4, ატუბა-4, იაროლიმი-3.5, კომპანი-4.5, დემელი-4 (60. კასტელენი-4), ვან დერ ვაარტი-2.5, ოლიჩი-3, გერერო-3.5 (68. ჩუპო-მოტინგი-3.5).

**გოლები:** 1:0 კრსტაიჩი (12), 1:1 ოლიჩი (35).

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 13-13; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 18-25; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 61 482.

### ჰანზა–კოტბუსი 3:2

**ჰანზა:** ვეხტერი-4, დ. ლანგენი-3.5, სებასტიანი-3.5 (37. ლუკიმია-3.5), ორესტესი-3, მ. შტაინი-3.5, ბიულოვი-3 (54. იელენი-4), რათგები-3.5, დორნი-5, რანი-4.5 (86. პირსი), კერნი-1, აგალი-2.5.

**კოტბუსი:** ტრემელი-4, ვ. და სილვა-3, მიტრესკი-5.5, კუკიელკა-4.5, კვიტანოვიჩი-4.5, ბასილა-4 (85. ალონეფტისი), ს. ანგელოვი-5 (57. ციბიგი-4.5), ტ. როსტი-3.5, სკელა-4, რანგელოვი-4 (70. კიოიო-4), დ. სიორენსენი-4.

**გოლები:** 1:0 კერნი (18), 1:1 ვ. და სილვა (58), 2:1 კერნი (59), 3:1 კერნი (74), 3:2 სკელა (90).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 18-19; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 14-23; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000.

### ვერდერი–კარლსრუე 4:0

**ვერდერი:** ვიზე-3, კ. ფრიტცი-3.5, მერტეზაკერი-3, ნალდო-3.5, პასანენი-4, დ. იენსენი-2, ლ. ანდრეასენი-2 (72. ვრანიეში), ბოროვსკი-3.5, დიეგო-1 (78. კარლოს ალბერტო), როზენბერგი-4, უგო ალმეიდა-2.5 (72. მოსკერა).

**კარლსრუე:** კორნეტცკი-4.5, ა. გიორლიტცი-4.5, ეგიმანი-4.5, ფრანცი-4, აიხნერი-3.5 (56. ფრაისი-5), პორცელო-4.5, მუტცელი-3.5, ტიმი-4.5, ჰაინალი-4, კარნელი-5 (76. ბუკი), კაპლანი-4 (57. იაშვილი-4.5).

**გოლები:** 1:0 დიეგო (25), 2:0 დიეგო (45), 3:0 უგო ალმეიდა (66), 4:0 ნალდო (76).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 22-10; **კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 16-17; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 39 669.

### შტუტგარტი–ბაიერნი 3:1

**შტუტგარტი:** რ. შეფერი-4, ტასკი-3.5, მეირა-3.5, დელპიერი-3.5, მანინი-2, პარდო-3, ჰილბერტი-2.5, ჰიტცლშპერგერი-2, ბაშთურქი-2.5 (46. ხედირა-4), გომესი-2 (80. ბეკი), კაკაუ-2.5 (74. მარიკა).

**ბაიერნი:** კანი-4.5, ლელი-6 (46. შვაინშტაიგერი-4), ლუსიო-5.5, დემიკელისი-5.5, ლამი-4.5, ჰამით ალთინთოფი-4.5, ზე რობერტო-4.5, რიბერი-5, კროოსი-5 (73. ვან ბუიტენი), ტონი-3.5, პოდოლსკი-5 (46. კლოზე-4.5).

**გოლები:** 1:0 გომესი (10), 2:0 ბაშთურქი (30), 3:0 გომესი (42), 3:1 ტონი (86).

**გაძევება:** ლუსიო (70. ბაიერნი).

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 13-27; **კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 21-24; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 55 600.

### ბორუსია (დ)–აინტრახტი 1:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3.5, ფ. დეგენი-3.5, ბრჟენსკა-4.5, კოვაჩი-4, დედე-3, კრუსკა-3.5 (62. ბაკლი-4), ტინგა-4, ბლაშჩიკოვსკი-3.5, კრინგე-3, კლიმოვიჩი-4 (30. ვალდესი-4.5), პეტრიჩი-4 (67. ფედერიკო-3.5).

**აინტრახტი:** პრიოლი-1.5, პ. ოხსი-3.5, გალინდო-3.5, კრისი-3, კირიაკოსი-3, შპიხერი-3.5, პროისი-4, კიოლერი-4 (71. ინამოტო), თურკი-3.5, ტაკაჰარა-5, ამანატიდისი-3 (67. მაჰდავიკია-4).

**გოლები:** 0:1 ამანატიდისი (55), 1:1 კრინგე (80).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 29-8; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 16-14; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 75 300.

### ჰერტა–ჰანოვერი 1:0

**ჰერტა:** დრობნი-3.5, ჩაჰედი-3.5, ა. ფრიდრიხი-3.5, ფონ ბერგენი-3.5, ფათი-2.5, მინეირო-4, შიმუნიჩი-3, პიჩეკი-5 (84. ოკორონკვო), ჟილბერტო-3.5, ებერტი-3 (93. ლუსტენბერგერი), პანტელიჩი-4 (36. ანდრე ლიმა-3).

**ჰანოვერი:** ენკე-3.5, ჩერუნდოლო-4.5, ვინიციუსი-3.5, ფარენჰორსტი-4, ტარნატი-3.5, ლალა-3.5, კ. შულცი-3, პინტო-4 (77. შტაინერი), როზენტალი-3 (90. კლაინე), ჰუშტი-3.5 (66. ბალიტში-3.5), ჰანკე-4.5.

**გოლი:** 1:0 ანდრე ლიმა (87).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 13-10; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 13-12; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 34 213.

### არმინია–ნიურნბერგი 3:1

**არმინია:** ჰაინი-3, კირხი-3.5, კუჩერა-4, ლანგკამპი-3.5, შულერი-2.5, კაუფი-2, ტ. მარქსი-3.5, კამპერი-3.5 (82. კრიზინიტცი), ბიომე-4.5 (62. ზუმა-2.5), ჰალფარი-3 (89. დ. კობილიკი), ვიხნიარეკი-2.5.

**ნიურნბერგი:** ბლ[illegible]-3.5, დ[illegible]-5, ა. ვოლფი-3.5, გლაუბერი-4.5 ([illegible]), შმიდტი-4, მნარი-4.5 (77. [illegible]), [illegible]-4.5, მიშიმოვიჩი-5, კლუგე-5.5, [illegible]-4.5 (84. [illegible]ბურგი), მინტალი-4.

**გოლები:** 0:1 ა. ვოლფი (43), 1:1 კაუფი (63), 2:1 ვიხნიარეკი (73), 3:1 ზუმა (91).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10-12; **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 17-22; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 18 000.

### ვოლფსბურგი–ლევერკუზენი 1:2

**ვოლფსბურგი:** იენტცში-2.5, რიტერი-3.5, რიკარდო კოშტა-4, მადლუნგი-3, მ. შეფერი-3.5 (80. შიმუნეკი), გენტნერი-4, ჟოსუე-4.5 (60. სანტანა-4), დეჟაგა-4.5 (60. რადუ-3.5), მარსელინიო-3.5, კრჟინოვეკი-4, გრაფიტე-5.

**ლევერკუზენი:** რ. ადლერი-2, კასტრო-3.5, მ. ფრიდრიხი-1.5, ჰაგი-2.5, შარპეი-3 (64. გრეშკო-3), ვიდალი-3, როლფესი-4, ფრაიერი-3 (85. ზინკევიჩი), ბარბარესი-3.5 (78. რამელოვი), ბარნეტა-2, კისლინგი-2.5.

**გოლები:** 0:1 ბარნეტა (37), 0:2 კისლინგი (52), 1:2 მ. ფრიდრიხი (70-საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 19-16; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 18-14; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 20 000.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 13 | 8 | 4 | 1 | 28-7 | 28 |
| 2. ვერდერი | 13 | 8 | 3 | 2 | 30-17 | 27 |
| 3. ჰამბურგი | 13 | 8 | 3 | 2 | 20-10 | 27 |
| 4. კარლსრუე | 13 | 7 | 2 | 4 | 14-15 | 23 |
| 5. ლევერკუზენი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-10 | 21 |
| 6. ჰანოვერი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-17 | 21 |
| 7. შალკე | 13 | 4 | 7 | 2 | 18-12 | 19 |
| 8. ჰერტა | 13 | 6 | 1 | 6 | 17-17 | 19 |
| 9. შტუტგარტი | 13 | 6 | 1 | 6 | 16-19 | 19 |
| 10. აინტრახტი | 13 | 4 | 6 | 3 | 13-15 | 18 |
| 11. ვოლფსბურგი | 13 | 4 | 4 | 5 | 22-23 | 16 |
| 12. ბოხუმი | 13 | 4 | 3 | 6 | 20-22 | 15 |
| 13. ბორუსია (დ) | 13 | 4 | 3 | 6 | 18-22 | 15 |
| 14. არმინია | 13 | 4 | 3 | 6 | 16-28 | 15 |
| 15. ჰანზა | 13 | 4 | 2 | 7 | 14-1[illegible] | 14 |
| 16. ნიურნბერგი | 13 | 2 | 3 | 8 | 16-24 | 9 |
| 17. დუისბურგი | 13 | 3 | 0 | 10 | 12-21 | 9 |
| 18. კოტბუსი | 13 | 1 | 5 | 7 | 10-24 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 – ტონი (ბაიერნი); 8 – კლოზე (ბაიერნი); 7 – უგო ალმეიდა (ვერდერი), ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), გომესი (შტუტგარტი); 6 – პანტელიჩი (ჰერტა), ვიხნიარეკი (არმინია), სესტაკი (ბოხუმი), დიეგო (ვერდერი), სანოგო (ვერდერი), პეტრიჩი (ბორუსია დ), გეკასი (ლევერკუზენი); 5 – ბეხმანი (ბოხუმი), იშიაკუ (დუისბურგი), ოლიჩი (ჰამბურგი), კერნი (ჰანზა).

### II ბუნდესლიგა

XIII ტური

**მაინცი–ოსნაბრიუკი 4:1**

**გოლები:** 1:0 ჰოოგლანდი (23), 1:1 რაიხენბერგერი (44), 2:1 ბორხა (62), 3:1 ამრი (88), 4:1 გუნკელი (91-პენ).

**კიოლნი–აუე 3:2**

**გოლები:** 1:0 ჰელმესი (1), 2:0 ნოვაკოვიჩი (10), 2:1 კლინკა (13), 2:2 ნემეცი (45), 3:2 ნოვაკოვიჩი (65).

**ოფენბახი–ვეენი 0:0**

**ალემანია–კაიზერსლაუტერნი 2:1**

**გოლები:** 1:0 მილხრაუმი (5), 2:0 რეგეკამპფი (69-პენ), 2:1 იენდრიშეკი (92).

**ფიურტი–ფრაიბურგი 1:1**

**გოლები:** 0:1 პიტროიპა (49), 1:1 რაიზინგერი (50).

**კარლ ცაისი–ჰოფენჰაიმი 0:1**

**გოლი:** 0:1 ედუ (72).

**ზტ. პაული–აუგსბურგი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჯოი (17), 2:0 ბრუნემანი (55).

**კობლენცი–პადერბორნი** გადაიდო

**მიუნხენი–ბორუსია (მ)** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 12 | 8 | 3 | 1 | 28-15 | 27 |
| 2. ფრაიბურგი | 13 | 8 | 3 | 2 | 22-13 | 24 |
| 3. მაინცი | 13 | 7 | 3 | 3 | 27-15 | 24 |
| 4. ფიურტი | 13 | 6 | 5 | 2 | 19-13 | 23 |
| 5. მიუნხენი | 12 | 6 | 4 | 2 | 22-13 | 22 |
| 6. კიოლნი | 13 | 6 | 3 | 4 | 25-21 | 21 |
| 7. ვეენი | 13 | 5 | 5 | 3 | 22-20 | 20 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 5 | 3 | 19-17 | 20 |
| 9. ალემანია | 13 | 5 | 4 | 4 | 20-17 | 19 |
| 10. ზტ. პაული | 13 | 5 | 2 | 6 | 14-18 | 17 |
| 11. კობლენცი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-23 | 15 |
| 12. ოსნაბრიუკი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-22 | 15 |
| 13. ოფენბახი | 13 | 4 | 3 | 6 | 12-21 | 15 |
| 14. აუე | 13 | 4 | 2 | 7 | 20-23 | 14 |
| 15. კაიზერსლ. | 13 | 2 | 5 | 6 | 10-13 | 11 |
| 16. აუგსბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 17-24 | 11 |
| 17. კარლ ცაისი | 13 | 1 | 3 | 9 | 16-27 | 6 |
| 18. პადერბორნი | 12 | 0 | 5 | 7 | 7-17 | 5 |

**ბომბარდირები:** 11 – ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 9 – ფრინდი (ბორუსია მ); 7 – გუნკელი (მაინცი), ნოივილი (ბორუსია მ), დი სალვო (მიუნხენი); 6 – რაიზინგერი (ფიურტი), ბორხა (მაინცი), გიოქთანი (მიუნხენი); 5 – კოპადო (ჰოფენჰაიმი), ჰელმესი (კიოლნი), რაიხენბერგერი (ოსნაბრიუკი), ნიკუ (ვეენი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XVII ტური

ალენი-ვოლფსბურგი II 1:1; ობერჰაუზენი-ბაბელსბერგი 3:2; ლიუბეკი-ერფურტი 0:3; მაგდებურგი-უნიონი 1:1; ფერლი-ესენი 1:0; დრეზდენი-ვუპერტალი 3:0; ჰამბურგი II-ვერდერი II 0:2; დიუსელდორფი-ბრაუნშვაიგი 1:1; დორტმუნდი II-ემდენი (ხვალ).

### რეგიონალლიგა (სამ)

XV ტური

როიტლინგენი-რეგენსბურგი 2:0; ალენი-პფულენდორფი 2:2; ბურგჰაუზენი-ზიგენი 1:2; ოგერსჰაიმი-ბაიერნი II 0:4; შტუტგარტი II-კარლსრუე II 2:1; ფრანკფურტი-ელვერსბერგი 2:0; მიუნხენი II-ინგოლშტადტი 0:2; ზანდჰაუზენი-კასელი 3:2; უნტერჰახინგი-შტ. კიკერსი 2:0.

# შოკისმომგვრელი თრილერი ბერნაბეუზე

## ბარსელონამ სტუმრად თამაში თუ ვერ ისწავლა, მაღალ მწვერვალებს ვერ შეწვდება

ზუსტად ექვსი თვის შემდეგ "ბარსელონას" შესანიშნავი შანსი მიეცა იმისთვის, რომ "ხეტაფეზე" შური ეძია. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ემახსოვრებათ, რომ მადრიდელებმა გასულ სეზონში კატალონიური გრანდი სამეფო თასის გათამაშებას გამოთიშეს. ამ დიდი წყენის მიუხედავად, "ბარსამ" ღირსების აღდგენა ვერ შეძლო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ფრანკ რაიკაარდის** ბიჭებმა სეზონის ყველაზე ცუდი შეხვედრა ჩაატარეს. აღარც კი გვახსოვს, "ბარსელონამ" ამდენად ამაზრზენად ბოლოს როდის ითამაშა. სტუმრებს აბსოლუტურად არაფერი გამოსდიოდათ. შესაძლოა, ამის მიზეზი აღმავლობის გზაზე მდგარი "ხეტაფეს" პრაგმატული თამაში იყოს. საქმე ის არის, რომ დედაქალაქელებმა გასულ შაბათს ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს. მიმომხილველები ყოველთვის გაკვირვებით აღნიშნავდნენ, როგორ ხდებოდა, რომ შესანიშნავად მოთამაშე "ხეტაფე" ქულას ქულაზე კარგავდა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, **მიქაელ ლაუდრუპის** ბიჭებმა საკუთარი ფეხბურთი იპოვნეს და ამიერიდან ნებისმიერ მეტოქესთან თანასწორად ითამაშებენ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, ლაუდრუპის გუნდმა მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ უდიდეს გრანდს პირწმინდად მოუგო. დიახ, არაფერს ვაჭარბებთ, მასპინძლებმა "ბარსას" ფაქტობრივად ყველა ვარსკვლავის გაუვნებელყოფა შეძლეს. ეს განსაკუთრებით **ლეო მესისა** და **რონალდინიოზე** ითქმის. არგენტინელს გოლის გატანა მაინც შეეძლო, მაგრამ უდავოა, იმ სალამოს მან შესაძლებლობების 30 პროცენტის გამომჟღავნებაც კი ვერ მოახერხა. რონალდინიო კი საერთოდ დაიკარგა. ამის გათვალისწინებით, მისი უჩვეულოდ ადრე შეცვლა გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს. ხელი მოეცარა **ტიერი ანრისაც**. ფრანგი ფორვარდი მცველებს რამდენჯერმე კი დაუსხლტა და სახიფათოდაც დაარტყა, მაგრამ მთლიანობაში მცველები მას საიმედოდ აკონტროლებდნენ. მეორე ტაიმში ვარსკვლავების უნიათო თამაშით შეწუხებულმა რაიკაარდმა **ჯოვანი და ბოიან კრკიჩი** გამოიყვანა, თუმცა თინეიჯერმა ფორვარდებმა აბსოლუტურად ვერაფერი გააწყეს. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებებთან დაკავშირებით სპეციალისტთა აზრი ორად გაიყო. ნაწილი რაიკაარდს ამართლებს, რადგან მიაჩნიათ, რომ მესი და რონალდინიო იმ დღეს არაფრის გამკეთებლები იყვნენ. თუმცა მეორე ნაწილის აზრით, არგენტინელსა და ბრაზილიელს ნებისმიერ წამს შეუძლიათ თუნდაც ერთი გოლის გატანა და მათი ძალიან ადრე გაყვანა ყოველგვარ საღ აზრს იყო მოკლებული. მოკლედ, ასეა თუ ისე, "ბარსელონამ" მიმდინარე სეზონში მეორე საგარეო მარცხი ივნია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, "ბარსა" "კამპ ნოუზე" ერთი გუნდია, გასვლით ორთაბრძოლებში კი სრულიად სხვა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კლუბში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს. ისტორიას არ ახსოვს, გრანდებს დიდი მიზნებისთვის მხოლოდ შინ მოგროვებული ქულებით მიეღწიოთ.

"ხეტაფეს" კი სრული უფლება აქვს წარმატებით გაიხაროს. მადრიდელებმა ორივე გოლი სტუმარი მცველების მიუტევებელი შეცდომების წყალობით გაიტანეს. ორივე შემთხვევაში დაცვის ცენტრალური ხაზი გაირღვა და **მანუ დელ მორალსა** და შეცვლაზე შესულ **ალბინს** გოლების გატანა ოდნავადაც არ გასჭირვებიათ. ბუნებრივია, შეხვედრამ მთავარ მწვრთნელებს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა შეუქმნა. აი, რა განაცხადა ლაუდრუპმა: *"ბარსელონის" დამარცხება ყველასთვის საამაყოა. ბედნიერი ვარ, რომ სამწვრთნელო კარიერაში ამ უდიდეს წარმატებას მივაღწიე. ვფიქრობ, სამ ქულას დამსახურებულად მოვუყარეთ თავი. ბიჭები ვაჟკაცურად იბრძოდნენ და უძლიერეს მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ. განსაკუთრებით პირველ ტაიმში ვიყოჩაღეთ. ფანტასტიკურად ვასპარეზობდით. ახლა ისღა დაგვრჩენია, უდიდესი გამარჯვებით გულშემატკივრებთან ერთად გავიხაროთ და შემდეგ ცოტა დავისვენოთ. სანაკრებო პაუზის გამო ამოსუნთქვის შესაძლებლობა მოგვეცემა."*



რობინიო საუკეთესო იყო

რაიკაარდმა მარცხი ასე შეაფასა: *"იმედგაცრუებული ვარ. პატარა ბავშვებივით ვცდებოდით. შეხვედრამ დაგვანახა, რომ სტუმრად სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით. გამოდის, მომავალში სულ სხვაგვარად უნდა ვიმოქმედოთ. ბევრი რამის შეცვლა მოგვიწევს. დღეს ინერტულად ვმოქმედებდით. მასპინძლებმა ეს დროულად შენიშნეს და კონტრიერიშებით ბოლო მოგვიღეს. ძალიან განბილებული გახლავართ."*

"ვალენსიამ" "მესტალიაზე" სიხარული დააბრუნა. ძალიან დიდი ხანია, ამ გუნდის გულშემატკივრებს მშობლიური სტადიონი ბედნიერებს არ დაუტოვებიათ. შაბათამდე "ღამურებმა" ზედიზედ ოთხი საშინაო შეხვედრა წააგეს. მათ შორის ერთი ახალი მთავარი მწვრთნელის, **რონალდ კუმანის** ანგარიშზე მოდის. ბევრისთვის მოულოდნელად, გასულ კვირაში ესპანელებმა "როსენბორგთან" წააგეს. მოკლედ, ასეთი საშინელი ციკლი "ღამურებს" 1985-86 წლების შემდეგ არ ჰქონიათ. თუმცა მაშინაც შინ მათ მხოლოდ ზედიზედ სამი შეხვედრა დათმეს.

კუმანს ამჯერად გაუმართლა. დიდი ხანია, "ვალენსიას" ასე ლამაზად არ უთამაშია. ანგარიში **ივან ელგერამ** თავური დარტყმით გახსნა. შემდეგ მას ტრავმამოშუშებულმა **დავიდ ვილიამ** აუბა მხარი. მასპინძელთა საუკეთესო ფორვარდმა დუბლს გამოჰკრა ხელი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში ვილიამ თანაგუნდელების მიერ წამოწყებული ჩინებული შეტევა მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე. დავიდის ინდივიდუალიზმმა მინიმალური როლი შეასრულა, თუმცა უდავოა, რომ საუკეთესო მეგოლის დაბრუნება გუნდს სასიკეთოდ დაეტყო. ციფრები ყველაზე უკეთ მეტყველებს.. სადებიუტო პრიმერადივიზიონურ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებით რონალდ კუმანმა ძალიან გაიხარა: *"წინა ორთაბრძოლისგან განსხვავებით, დღეს ორგანიზებულად და მწყობრად ვთამაშობდით. აშკარად თვალშისაცემი გახლდათ, რომ ბიჭები საქმეს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ. წინა დღეების განმავლობაში ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ და ვიმუშავეთ. შრომამ მყისიერი შედეგი გამოიღო. მერწმუნეთ, "ვალენსიის" ამ შემადგენლობას ბევრდ მეტის უნარი შესწევს. მიხარია, რომ მოვიგეთ. სანაკრებო პაუზის შემდეგ შევეცდებით, კიდევ უფრო გავახაროთ მოწყენილი გულშემატკივრები."*

"სანტიაგო ბერნაბეუზე" თავბრუდამხვევი შეხვედრა გაიმართა. ასეთ სცენარს ყველაზე შოკის მომგვრელი თრილერების რეჟისორებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ. მთელი 90 წუთის განმავლობაში ფაქტობრივად არ ყოფილა შემთხვევა, როცა გულშემატკივრებს დაძაბულობა მოეხსნებოდათ. ორივე კლუბის ინჩასები შეხვედრას სუნთქვაშეკრულები ადევნებდნენ თვალს. ანგარიში **რობინიომ** გახსნა. ახალგაზრდა ბრაზილიელმა **მარსელოს** პასი მიიღო და თავური დარტყმით დალაშქრა კარი. დედაქალაქელთა სიხარული ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ზუსტად ორ წუთში **ვარელამ იბაგასას** დახმარებით წონასწორობა აღადგინა. რობინიო ბედს არ შეეგუა და ახლა უკვე **რაულის** პასი აქცია გოლად. არც ვარელა ცხრებოდა. ბალეარელმა **კასილიასს** სისხლი გაუშრო. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ მან მაინც იხეირა. კუნძულელმა ინდივიდუალური ოსტატობის ფასად იყოჩაღა.

შესვენების შემდეგ მოვლენათა ეპიცენტრში **გუისა** მოექცა. მცველებმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და "ბერნაბეუზე" შეკრებილი ქომაგები შოკში ჩავარდნენ. ამ შოკმა მხოლოდ ხუთ წუთს გასტანა. რობინიომ დუბლი არ იკმარა და 62-ე წუთზე ასისტენტის როლში მოგვევლინა. რაულმა სწორედ მისი პასის წყალობით შეძლო ანგარიშის გათანაბრება. როგორც ხედავთ, ბრაზილიელმა კაპიტანს ვალი გადაუხადა. **რუუდ ვან ნისტელროოი** რისი ვან ნისტელროოი იქნებოდა, ამ თამაშში საკუთარი სიტყვა არ ეთქვა. ჰოლანდიელმა რაულის გადაცემა მიიღო და აუღებელი დაარტყა. ამ უმძიმესი გამარჯვების ფასად, სამეფო კლუბმა ერთპიროვნული ლიდერობა განიმტკიცა. **ბერნდ შუსტერი** რა თქმა უნდა, ძალიან გახარებული იყო, მაგრამ გერმანელ სპეციალისტს საკუთარ სტადიონზე სამი ბურთის გაშვება მეტისმეტად ცუდ სიმპტომად ეჩვენა. ჰერ ბერნდმა იმედი გამოთქვა, რომ სანაკრებო შეხვედრებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები ხარვეზების აღმოფხვრაზე უფრო დიდი შემართებით იმუშავებენ.

როგორც იქნა, "ბეტისმა" ქომაგებს ბედნიერი წუთები აჩუქა. არადამაჯერებელი თამაშისა და შემაშფოთებელი შედეგების გამო, **ექტორ კუპერს** წყალი შეუდგა. უნდა ვიფიქროთ, რომ "სარაგოსის" დამარცხება არგენტინელ სპეციალისტს პოზიციებს ოდნავ მაინც გაუმყარებს. აღსანიშნავია, რომ ანდალუსიელებმა უმძიმესი პაექრობა მოიგეს. 34-ე წუთზე **ანდრეს დალესანდრომ** ულამაზესი საჯარიმო დარტყმით არაგონელები დაანინაურა. სტუმრები მოპოვებულ უპირატესობას ცოცხალი თავით არ თმობდნენ. შეხვედრა კი დასასრულს უახლოვდებოდა. **პავონემ** წონასწორობა მაშინ აღადგინა, როცა ინჩასები კუპერის გინებით იოგებს იწყვიტავდნენ. საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე კი "მანუელ რუის დე ლოპერაზე" გამარჯვების სიმღერა დაგუგუნდა. სამუ ქულა "ბეტისს" ისევ და ისევ პავონემ მოუტანა.

### მომდევნო ტური

25 ნოემბერი. **ვილიარეალი-ალმერია, ატლეტიკო-ვალიადოლიდი, ლევანტე-ბეტისი, სარაგოსა-ხეტაფე, ბარსელონა-რეკრეატივო, ოსასუნა-ესპანიოლი, ბილბაო-დეპორტივო, რასინგი-ვალენსია, მურსია-რეალი, სევილია-მალიორკა.**

### ხეტაფე-ბარსელონა 2:0

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, დიასი, მარიო, ლიხტი, კორტესი, დე ლა რედი, კასკერო, პაბლო (69. გრანერო), სოუსა (79. პალიარდო), დელ მორალი (68.ალბინი), უჩე.

**ბარსელონა:** ვალდესი, მილიტო, პუიოლი, ტურამი (46. ძამბროტა), აბიდალი, ჩავი, ტურე, ინიესტა, მესი (71. ბოიანი), რონალდინიო (62. ჯოვანი), ანრი.

**გოლები:** 1:0. დელ მორალი (27), 2:0. ალბინი (69)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(7)-10(4); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 19-13; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**გაძევება:** ძამბროტა (84).

### ვალენსია-მურსია 3:0

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, კანეირა, ელგერა, მარჩენა, მიგელი, ალბელდა, ბარახა, ანგულო, სილვა (72. არისმენდი), ვილია (78. ჟიგიჩი), მორიენტესი (60. ვისენტე)

**მურსია:** ნოტარიო, პენია, არსო, ოჩოა, მეხია, პ. გარსია, მოვილია, რეგეირო (57. ხოფრე), ლუკასი, ალონსო (57. ინიგო), გოიტომი.

**გოლები:** 1:0. ელგერა, 2:0. ვილია (26), 3:0. ვილია (50)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 11(5)-12(2); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 27-19; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

### ალმერია-ატლეტიკო 0:0

**ალმერია:** კობენიო, ბრუნო, გარსია, აკასიეტე, მანე, მელო, სორიანო (82. ხუანიტო), ორტისი, კრუსატი, უჩე (64. კორონა), ნეგრედო.

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი (46.ელერი), პაბლო, პერეა, ა. ლოპესი, მანიშე, სანტანა, სიმაო (73. მოტა), რეიესი (59. ლუის გარსია), აგუერო, მაქსი როდრიგესი.

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 12(6)-13(2); **კუთხური:** 8-6; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 25-12; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

### ვალიადოლიდი-ლევანტე 1:0

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, პ. ლოპესი, კალვო, რაფა, მარკოსი, დორადო, რუბიო, კომე (58. სისი), ვიქტორი, ლორენტე (71. ოგბეჩე), სესმა (83. ოსკარ სანჩესი).

**ლევანტე:** სტორარი, რუბიალესი, ბრუნო, სერანო, დესკარგა, ტომაზი (83. მიგელ ანხელი), ფუეგო, რიგა, ხუანმა (72. საული), რიგანო, სავიო (73. გეიხო)

**გოლი:** 1:0. სესმა (63).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 14(5)-9(1); **კუთხური:** 8-8; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 11-17; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

### ბეტისი-სარაგოსა 2:1

**ბეტისი:** რიკარდო, დამია, ხუანიტო, ლიმა, ვეგა, ჯუანდე (46. ჩისკო), სომოსა, ედუ, რივერა (47. არსუ), კაფრა (73. პავონე)

**სარაგოსა:** სესარი, პარედესი, აიალა (73. ხონი), ერერო, დიოგო, საპატერი, ლუქსენი, ოსკარი, დალესანდრო (84. გაბი), მილიტო, ს. გარსია (59. აიმარი).

**გოლები:** 0:1. დალესანდრო (34), 1:1. პავონე (80), 2:1. პავონე (90).

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 14(6)-7(3); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 22-18; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

### რეკრეატივო-ოსასუნა 1:0

**რეკრეატივო:** სორენტინო, კალვო, ალვარესი (68. ხერარდი), ბუსონი, პოლი, მარტინსი (86. ბაუტისტა), კასერესი, კამუნიასი, აიტორი (52)პონგოლე, გერერო.

**ოსასუნა:** რიკარდო, მონრეალი, გარსია, ხოსეჩო (73. ეჩაიდე), პუნიალი, პლასილი, ფონტი, ხუანფრანი, დადი.

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 9(5)-11(4); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 0-5; **ჯარიმა:** 25-18; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**გაძევება:** ხერარდი (79)

### ესპანიოლი-ბილბაო 2:1

**ესპანიოლი:** კამენი, საბალეტა, ჟაკი, ტორეხონი, როდრიგესი, დე ლა პენია (90. ლოლა), ურტადო, ვალდო (62. ხონატასი), ლ. გარსია (90. ლაკრუსი), რიერა, ტამუდო.

**ბილბაო:** ირაისოსი, კოიკილი, ამორებიეტა, ოსიო, უსტარიტსი, მარტინესი, ორბაისი (47. დავიდ ლოპესი), გაბილონდო, ირაოლა, ადურისი, ეჩებერია (88. პრიეტო).

**გოლები:** 0:1. გაბილონდო (2), 1:1. ტამუდო (39), 2:1. ოსიო (90. საკ. კარში).

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 14 (5)-6(1); **კუთხური:** 9-3; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 19-26; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

### დეპორტივო-რასინგი 0:1

**დეპორტივო:** აუატე, მ. პაბლო, კოლოჩინი, ა. ლოპესი, ლუისი, კრისტიანი (80. რუბენ კასტრო), დე გუსმანი, სერხიო (80. რიკი), გუარდადო, ვერდუ, ჩისკო (67. ბოდიპო).

**რასინგი:** ტონიო, ლ. ფერნანდესი, [illegible] რაი, ორიოლი, პინილოსი, დუშერი, [illegible]ლა, სერანო (57. ხო[illegible]), [illegible] (88. სერხიო სანჩესი), სმოლარეკი (64. აიოსე). ჩიტე.

**გოლი:** 0:1. ჩიტე (68).

**გაძევება:** ლუისი (90).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 21(6)-7(3); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 2-3; **ჯარიმა:** 8-16; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

### რეალი-მალიორკა 4:3

**რეალი:** კასილიასი, კანავარო (46.პეპე), ტორესი, ჰაინცე, მარსელო, დიარა, გახო, სნაიდერი (74. იგუაინი), რაული, რობინიო (87. დრენტე), ვან ნისტელროოი.

**მალიორკა:** ლუქსი, ნავარო, ნუნიესი, ბალიესტეროსი, ექტორი, პერეირა (51. ბორხა ვალერო), ბასინასი, არანგო (76. ვებო), იბაგასა, ვარელა (90. ვიქტორი), გუისა.

**გოლები:** 1:0. რობინიო (12), 1:1. ვარელა (14), 2:1. რობინიო (17), 2:2. ვარელა (37), 2:3. გუისა (46), 3:3. რაული (63), 4:3. ვან ნისტელროოი (73).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 14(5)-7(4); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 6-1; **ჯარიმა:** 19-12; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

### ვილიარეალი-სევილია 3:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 12 | 9 | 1 | 2 | 29-12 | 28 |
| 3. ვილიარეალი | 12 | 9 | 0 | 3 | 26-19 | 27 |
| 2. ბარსელონა | 12 | 7 | 3 | 2 | 23-10 | 24 |
| 4. ვალენსია | 12 | 8 | 0 | 4 | 20-19 | 24 |
| 5. ესპანიოლი | 12 | 6 | 4 | 2 | 17-13 | 22 |
| 6. ატლეტიკო | 12 | 6 | 3 | 3 | 23-14 | 21 |
| 7. რასინგი | 12 | 5 | 5 | 2 | 10-9 | 20 |
| 8. სარაგოსა | 12 | 5 | 2 | 5 | 19-19 | 17 |
| 9. მალიორკა | 12 | 4 | 4 | 4 | 21-19 | 16 |
| 10. სევილია | 11 | 5 | 0 | 6 | 23-17 | 15 |
| 11. ხეტაფე | 12 | 4 | 2 | 6 | 13-15 | 14 |
| 12. ბილბაო | 12 | 3 | 4 | 5 | 10-14 | 13 |
| 13. მურსია | 12 | 3 | 4 | 5 | 8-13 | 13 |
| 14. ვალიადოლ. | 12 | 3 | 4 | 5 | 16-22 | 13 |
| 15. ოსასუნა | 11 | 3 | [illegible] | 5 | 13-14 | 12 |
| 16. ალმერია | 12 | 3 | 3 | 6 | 10-14 | 12 |
| 17. დეპორტივო | 12 | 3 | 3 | 6 | 10-17 | 12 |
| 18. რეკრეატივო | 12 | 3 | 3 | 6 | 8-15 | 12 |
| 19. ბეტისი | 12 | 2 | 5 | 5 | 10-16 | 11 |
| 20. ლევანტე | 12 | 1 | 1 | 10 | 6-24 | 4 |

**ბომბარდირები:** 7 - მესი (ბარსელონა); აგუერო (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანუ (სევილია), როსი (ვილიარეალი), 6 - მორიენტესი (ვალენსია), გუისა (მალიორკა). 5 - კანუტე (სევილია), , არანგო (მალიორკა), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა);

### II დივიზიონი

XII ტური

**ფეროლი-ხიმნასტიკი 0:2**

გოლები: 0:1. მანუელი (55. საკ. კარში), 0:2. მიკუ (62).

**კასტელონი-ერკულესი 0:0**

**ეიბარი-კორდობა 2:1**

გოლები: 1:0. გოირია (33. პენ), 2:0. გოირია (53), 2:1. ასენი (56).

**ლას პალმასი-სალამანკა 1:2**

გოლები: 0:1. ისააკი (54), 1:1. ხუანმა (58), 1:2. მარტინი (65).

**სპორტინგი-მალაგა 0:1**

გოლები: 0:1. ბაა (20).

**ეხიდო-ალავესი 1:0.**

გოლები: კასტელსი (67).

**ელჩე-ტენერიფე 3:1**

გოლები: 1:0. ლუნა (35), 2:0. ვიქტორი (50), 3:0. ბელვისი (72), 3:1. დიაიე (82).

**ალბასეტე-კადისი 0:1**

გოლი: 0:1. ლობოსი (71).

**ნუმანსია-სევილია B 0:1**

გოლი: 0:1. სევილია (77).

**სოსიედადი-სელტა 1:1**

გოლები: 1:0. ლოპესი (26), 1:1. ლარენა (34).

**ხერესი-გრანადა 2:1**

გოლები: 1:0. მიჩელი (11), 1:1. ლუისი (18), 2:1. იორდი (45).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 12 | 9 | 0 | 3 | 20-10 | 27 |
| 2. ნუმანსია | 12 | 8 | 2 | 2 | 22-11 | 26 |
| 3. სევილია B | 12 | 6 | 5 | 1 | 13-8 | 23 |
| 4. სპორტინგი | 12 | 6 | 3 | 3 | 16-9 | 21 |
| 5. ელჩე | 12 | 6 | 3 | 3 | 15-9 | 21 |
| 6. ხიმნასტიკი | 13 | 6 | 2 | 5 | 18-13 | 20 |
| 7. ეიბარი | 13 | 6 | 2 | 5 | 16-14 | 20 |
| 8. ერკულესი | 13 | 4 | 6 | 3 | 18-17 | 18 |
| 9. კორდობა | 13 | 4 | 6 | 3 | 17-16 | 18 |
| 10. სალამანკა | 13 | 5 | 3 | 5 | 19-18 | 18 |
| 11. კასტელონი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-12 | 17 |
| 12. სელტა | 12 | 4 | 5 | 3 | 14-12 | 17 |
| 13. სოსიედადი | 12 | 4 | 4 | 4 | 11-12 | 16 |
| 14. ფეროლი | 13 | 4 | 4 | 5 | 13-15 | 16 |
| 15. ტენერიფე | 12 | 3 | 6 | 3 | 14-15 | 15 |
| 16. კადისი | 12 | 4 | 2 | 6 | 8-11 | 14 |
| 17. გრანადა | 12 | 3 | 4 | 5 | 14-15 | 13 |
| 18. ალავესი | 12 | 3 | 3 | 6 | 9-15 | 12 |
| 19. ხერესი | 12 | 2 | 5 | 5 | 13-18 | 11 |
| 20. ეხიდო | 12 | 3 | 2 | 7 | 11-23 | 11 |
| 21. ალბასეტე | 12 | 2 | 3 | 7 | 8-15 | 9 |
| 22. ლას პალმასი | 13 | 1 | 3 | 9 | 10-23 | 6 |

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი

### საფრანგეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ლე მანი-სტ. ეტიენი | 3:2 |
| ლილი-ნიცა | 1:1 |
| მეცი-ლანსი | 1:2 |
| მონაკო-სტრასბური | 3:0 |
| პსჟ-ნანსი | 0:0 |
| სოშო-ოსერი | 1:1 |
| ვალანსიენი-კაენი | 3:0 |
| ბორდო-რენი | 3:0 |
| ლორიანი-ტულუზა | 1:0 |
| ლიონი-მარსელი | 1:2 |

II დივიზიონი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-სედანი | 3:1 |
| ბრესტი-რეიმსი | 1:0 |
| დიჟონი-ბულონი | 0:2 |
| გენიონი-აიაჩო | 0:2 |
| ავრი-შატორუ | 2:0 |
| ნანტი-ანჟერსი | 1:1 |
| ლიბურნი-გინგამი | 2:1 |
| კლერმონი-ამიენი | 4:2 |
| ტრუა-ნიორი | 1:1 |
| გრენობლი-მონპელიე | დღეს |

### ჰოლანდია

XI ტური

| | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ჰერაკლესი | 3:0 |
| გრააფსხაპი-ექსელსიორი | 1:1 |
| ვენლო-სპარტა | 2:0 |
| ვილემი-უტრეხტი | 1:4 |
| ტვენტე-ბრედა | 1:1 |
| ფეიენოორდი-აიაქსი | 2:2 |
| ეინდჰოვენი-ალკმაარი | 1:1 |
| ვიტესი-ჰერენვეენი | 0:1 |
| როდა-გრონინგენი | 5:1 |

II დივიზიონი

XVI ტური

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ტოპ ოსი | 1:4 |
| ფორტუნა-დორდრეხტი | 2:5 |
| ვეენდამი-ტელსტარი | 2:0 |
| როსენდალი-ეინდჰოვენი II | 3:0 |
| ჰაარლემი-ვაალ.ვიკი | 2:2 |
| ვოლენდამი-ემენი | 5:1 |
| ჰელმონდი-ომნივორლდი | 2:1 |
| მაასტრიხტი-იგლზი | 0:1 |
| ცვოლე-კამბური | 4:1 |
| დენ ბოში-დენ ჰააგი | 0:2 |

### ბელგია

XIII ტური

| | |
|---|---|
| სერკლი-ბრიუგე | 1:2 |
| ბრიუსელი-დენდერი | 4:1 |
| ვესტერლო-სტ. ტრუიდენი | 2:0 |
| სტანდარდი-ლოკერენი | 1:0 |
| გენკი-შარლერუა | 1:0 |
| ვარეგემი-მუსკრონი | 2:1 |
| გენტი-მეხელენი | 4:1 |
| ბევერსლოტი-ანდერლეხტი | 2:0 |
| რუზელარე-მონსი | დღეს |

II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-დაინცე | 3:1 |
| გეელი-ბევერენი | 0:1 |
| ლიერსი-ლომელი | 0:0 |
| ნამენი-სტ. ჟილი | 2:2 |
| ოსტენდე-ო.შარლერუა | 1:1 |
| ჰევერლე-ვირტონი | 0:1 |
| ტურნე-კორტრიიკი | 1:1 |
| ვაასლანდი-ტინენი | 1:1 |
| ჰამე-ეუპენი | 0:1 |

### პორტუგალია

X ტური

| | |
|---|---|
| ბელენენსეში-ლეიქსოეში | 1:1 |
| გიმარაეში-ფერეირა | 0:0 |
| ნავალი-ლეირია | 1:0 |
| სეტუბალი-აკადემიკა | 3:1 |
| ბენფიკა-ბოავიშტა | 6:1 |
| ბრაგა-სპორტინგი | 3:0 |
| ამადორა-პორტუ | გვ. დასრულდა |
| ნასიონალი-მარიტიმუ | დღეს |

II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ტროფენსე-სანტა კლარა | 0:0 |
| ვარზიმი-ეშტორილი | 0:0 |
| ფატიმა-ავეში | 2:1 |
| ფეირენსე-ოლანენსე | 0:1 |
| ჟილ ვისენტე-ვიზელა | 1:1 |
| გონდომარი-პენაფიელი | 2:0 |
| პორტიმონენსე-ფრეამუნდე | 0:2 |
| რიუ ავე-ბეირა მარი | 1:1 |

### შოტლანდია

XIII ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-კილმარნოკი | 2:0 |
| გრეტნა-ჰიბერნიანი | 0:1 |
| ინვერნესი-მოზერველი | 0:3 |
| ჰარტსი-აბერდინი | 4:1 |

I დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ჰამილტონი-პარტიკი | 2:0 |
| ლივინგსტონი-სტირლინგი | 4:3 |
| ქუინი-მორტონი | 1:3 |
| სტ. ჯონსტონი-დანფერმლაინი | 0:0 |
| დანდი-კლაიდი | 0:1 |

II დივიზიონი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ეირდრი-როსი | 0:1 |
| ალოა-ეირი | 2:1 |
| ბერვიკი-პიტერჰედი | 1:2 |
| ქოუდენბითი-ბრეჩინი | 1:0 |
| რეითი-ქუინზ პარკი | 0:2 |

III დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-დამბარტონი | 2:0 |
| არბროთი-მონროუზი | 0:0 |
| ისტ სტირლინგი-სტენჰაუსმუირი | 1:1 |
| ელჯინი-ფორფარი | 2:2 |
| სტრანრაერი-ისტ ფაიფი | 0:2 |

### ავსტრია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ლინცერი-ზალცბურგი | 1:1 |
| რიდი-შტურმი | 0:0 |
| რაპიდი-მატერსბურგი | 3:1 |
| ალტახი-ტიროლი | 1:1 |
| აუსტრია (კ)-აუსტრია (ვ) | 0:1 |

II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| პარნდორფი-ლეობენი | 1:3 |
| აუსტრია II-კერნტენი | 1:0 |
| ლუსტენაუ-ზალცბურგი II | 1:0 |
| შვადორფი-გრატკორნი | 3:0 |
| ბად ოსი-შვანენშტადტი | 2:2 |
| კაპფენბერგი-აუსტრია (ლ) | 1:1 |

### დანია

XVI ტური

| | |
|---|---|
| ბრონდბიუ-ჰორსენსი | 3:0 |
| ოდენსე-რანდერსი | 0:0 |
| ლუნგბიუ-ესბერგი | 1:3 |
| ნორდსილანდი-ოლბორგი | 1:2 |
| მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2:2 |
| ვიბორგი-ორჰუსი | დღეს |

II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| კოლდინგი-ფრემადი | 3:0 |
| ჰიკ-აკადემისკი | 0:0 |
| ნიკობინგი-ნესტვედი | 1:0 |
| ფრემი-სკივე | 0:2 |
| კიოგე-ვეილე | 0:2 |
| სიონდერილი-ოლსტიკე | 2:0 |
| ფრედერისია-ავიდოვრე | 0:1 |
| ჰერფიოლგე-სილკებორგი | 3:3 |

### საბერძნეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი | 1:0 |
| ვერია-აპოლონი | 0:2 |
| ოფი-ლევადია | 1:2 |
| პაოკ-ერგოტელისი | 1:0 |
| ატრომიტოსი-არისი | 1:2 |
| პანიონიოსი-ქსანთი | 3:2 |
| პანათინაიკოსი-აეკ | 2:1 |
| ირაკლისი-ლარისა | 1:1 |

### შვეიცარია

XVI ტური

| | |
|---|---|
| სიონი-სტ. გალენი | 5:1 |
| გრასჰოპერსი-ტუნი | 2:1 |
| არაუ-ქსამაქსი | 3:2 |
| ბაზელი-ლუცერნი | 3:2 |
| იანგ ბოიზი-ციურიხი | 1:1 |

ჩელენჯლიგა

XV ტური

| | |
|---|---|
| კიასო-ვოლენი | 3:1 |
| ბელინცონა-ლოზანა | 3:1 |
| ვადუცი-ჩამი | 3:0 |
| ვილი-ვინტერტური | 1:0 |
| გოსაუ-კონკორდია | 2:0 |
| შაფჰაუზენი-ლუგანო | 3:0 |
| დელემონი-ლოკარნო | 5:2 |
| სერვეტი-ფონდსი | 0:0 |
| ივერდონი-კრიენსი | 2:2 |

### თურქეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| დენიზლი-ტრაბზონი | 2:0 |
| ანკარა-ისთანბული | 1:1 |
| ქონია-რიზე | 2:1 |
| ქასიმფაშა-ოფთასი | 1:3 |
| მანისა-ბურსა | 1:1 |
| ანკარაგიუჯუ-გაზიანთეფი | 1:0 |
| ბეშიქთაში-სივასი | 1:2 |
| ქაისერი-ფენერბაჰჩე | 2:1 |
| გალათასარაი-გენჩლერი | 3:2 |

### ჩეხეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| სიგმა-იაბლონეცი | 1:1 |
| ლიბერეცი-მოსტი | 2:1 |
| ზლინი-კლადნო | 4:0 |
| ბანიკი-ბრნო | 2:1 |
| ტეპლიცე-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| პლზენი-ბოლესლავი | 2:0 |
| ვიქტორია-სლავია | 1:1 |
| სპარტა-ბოჰემიანსი | დღეს |

### პოლონეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ლეგია-იაგიელონია | 0:0 |
| ლეხი-პოლონია | 1:0 |
| რუხი-ლკს | 0:0 |
| ოდრა-კრაკოვია | 0:1 |
| ბელხატოვი-სოსნოვეცი | 2:0 |
| ზაგლემბე-გურნიკი | 1:1 |
| ვისლა-გროცლინი | 3:0 |
| ვიძევი-კორონა | 0:2 |

### რუსეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| რუბინი-ცსკა | 0:1 |
| ლოკომოტივი-ყუბანი | 2:3 |
| ხიმკი-კრილია | 4:1 |
| ნალჩიკი-ტომი | 1:0 |
| მოსკოვი-ლუჩ ენერგია | 3:1 |
| სატურნი-ზენიტი | 0:1 |
| როსტოვი-ამკარი | 2:0 |
| სპარტაკი-დინამო | 2:1 |

### ხორვატია

XVI ტური

| | |
|---|---|
| შიბენიკი-ინტერი | 1:1 |
| ზადარი-სიბალია | 1:1 |
| ვარტეკსი-სლავენი | 1:1 |
| ჰაიდუკი-მედიმურიე | 3:1 |
| რიეკა-ზაგრები | 2:1 |
| დინამო-ოსიეკი | 1:0 |

### უნგრეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-უიპეშტი | 1:4 |
| ჰონვედი-ნირეძიჰაზა | 0:0 |
| ზალაეგერსეგი-სოპრონი | 4:0 |
| დებრეცენი-პაკში | 1:1 |
| ვაშაში-დიორი | 1:1 |
| შიოფოკი-ფეჰერვარი | 1:0 |
| კაპოშვარი-ტატაბანია | 4:2 |
| მტკ-რეაკ | დღეს |

### სერბეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| პარტიზანი-ჩუკარიჩკი | 1:1 |
| ვოივოდინა-ბანატი | 1:0 |
| ბორაცი-ოფკ | 2:0 |
| ბეჟანია-ნაპრედაკი | 2:1 |
| ჰაიდუკი-მლადოსტი | 2:2 |
| სმედერევო-ცრვენა ზვეზდა | 2:5 |

### სლოვაკეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ტრნავა-შენეცი | 1:0 |
| დუბნიცა-ბისტრიცა | 1:0 |
| ჟილინა-კოშიცე | 4:0 |
| არტმედია-რუჟომბეროკი | 3:0 |
| მორავცე-ნიტრა | 0:0 |
| ტრენჩინი-სლოვანი | დღეს |

### სლოვენია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-პრიმორიე | 1:0 |
| ნაფტა-კოპერი | 2:0 |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 0:2 |
| გორიცა-ლივარი | 1:1 |
| დრავა-დომჟალე | 0:0 |

### უკრაინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ხარკოვი-ჩერნომორეცი | 1:1 |
| კრივბასი-დნიპრო | 1:2 |
| კარპატი-მეტალურგი (ზ) | 1:3 |
| ტავრია-ზაკარპატია | 4:1 |
| მეტალურგი (დ)-არსენალი | 1:2 |
| ნაფტოვიკი-მეტალისტი | 0:2 |
| დინამო-შახტარი | 2:1 |
| ზარია-ვორსკლა | გადაიდო |

### არგენტინა

XVI ტური

| | |
|---|---|
| ხიმნასია (ლ)-რასინგი | 1:3 |
| კოლონი-სან ლორენსო | 0:0 |
| ოლიმპო-ნიუელსი | 1:0 |
| ბანფილდი-ხიმნასია (ხ) | 1:1 |
| როსარიო-ლანუსი | 1:4 |
| ურაკანი-რივერი | 2:1 |
| ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი | 1:2 |
| ტიგრე-სან მარტინი | 3:0 |
| ბოკა-ველესი | გვ. დასრულდა |
| არგ. ხუნ.-არსენალი | გვ. დასრულდა |

### ბრაზილია

XXXVI ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-პარანა | 3:2 |
| ნაუტიკო-ამერიკა | 4:0 |
| ინტერნასიონალი-კრუზეირო | 1:0 |
| ფიგეირენსე-ვასკო და გამა | 3:3 |
| გოიაში-კორინთიანსი | 1:1 |
| ატ.პარანაენსე-რესიფე | 0:0 |
| ატ. მინეირო-ჟუვენტ. | გვ. დასრულდა |
| ფლამენგო-სანტოსი | გვ. დასრულდა |
| სან პაულუ-გრემიო | გვ. დასრულდა |
| პალმეირასი-ფლუმინ. | გვ. დასრულდა |

### ჩილე

XIX ტური

| | |
|---|---|
| უნ. კონსეპსიონი-ანტოფაგასტა | 1:0 |
| კოკიმბო-დ. კონსეპსიონი | 3:1 |
| ევერტონი-უნივერსიდადი | 1:3 |
| კობრესალი-პალესტინო | 1:1 |
| მელიპილა-უნ.კატოლიკა | 3:2 |
| ნუბლენსე-ლა სერენა | 3:4 |
| აუდაქსი-პუერ.მონტი | გვ. დასრულდა |
| ლოტა-კობრელოა | გვ. დასრულდა |
| უნ. ესპან.-უონდერ. | გვ. დასრულდა |
| კოლო კოლო-უაჩიპ. | გვ. დასრულდა |

### ურუგვაი

XIII ტური

| | |
|---|---|
| დანუბიო-სერო | 1:2 |
| ტაკუარემბო-ნასიონალი | 1:4 |
| მირამარი-ფენიქსი | 0:1 |
| ხუვენტუდი-უონდერერსი | 1:1 |
| სენტრალი-ბელა ვისტა | 2:0 |
| ლივერპული-რამპლა | 0:1 |
| პენიაროლი-პროგრესო | 0:3 |
| რივერ პლეიტი-დეფენსორი | 5:1 |

### მექსიკა

XVII ტური

| | |
|---|---|
| ვერაკრუსი-ტეკოსი | 3:2 |
| სან ლუისი-ს. ლაგუნა | 2:2 |
| მონტერეი-ამერიკა | 0:1 |
| კრუს აზული-ატლასი | 2:0 |
| გვადალახარა-ხაგუარესი | 5:4 |
| ატლანტე-პუებლა | 4:0 |
| ტოლუკა-მორელია | 2:0 |
| ნეკაქსა-ტიგრესი | 1:0 |
| პაჩუკა-პუმასი | გვ. დასრულდა |

### აშშ

ფლეი ოფი

| | |
|---|---|
| ჰიუსტონი-კანზას სიტი | 1:0 |

### იაპონია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| კობე-კოფუ | 4:1 |
| გამბა-იჩივარა | 2:0 |
| ნაგოია-ივატა | 0:0 |
| ნიიგატა-ტოკიო | 2:1 |
| იოკოჰამა მარინოსი-კაშიმა | 2:3 |
| კაშივა-იოკოჰამა | 1:1 |
| კავასაკი-ურავა | 1:1 |
| შიმიძუ-ჰიროშიმა | 3:1 |
| ომიია-ოიტა | 1:2 |

### ინგლისის თასი

I რაუნდი

| | |
|---|---|
| ჰერეფორდი-ლიდსი | |
| ბილერიკეი-სუონსი | 1:2 |
| აკრინგტონი-ჰადერსფილდი | 2:3 |
| ბრედფორდი-ჩესტერი | 1:0 |
| ბერი-უორკინგტონი | 4:1 |
| ბარნეტი-ჯილინგემი | 2:1 |
| ბაროუ-ბორნმუთი | 1:1 |
| ალტრინჩემი-მილუოლი | 1:2 |
| კემბრიჯი-ალდერშოტი | 2:1 |
| კარლაილი-გრიმსბი | 1:1 |
| ჩელტენემი-ბრაიტონი | 1:1 |
| ჩესტერფილდი-ტრანმერი | 1:2 |
| ლუტონი-ბრენტფორდი | 1:1 |
| ექსეტერი-სტივენიჯი | 4:0 |
| ჰემპტონი-დაგენჰემი | 0:3 |
| ლეიტონი-როვერსი | 1:1 |
| დარლინგტონი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| ლინკოლნი-ნოტინგემი | 1:1 |
| ჰალიფაქსი-ბარტონი | 0:4 |
| ქრიუ-მილტონი | 2:1 |
| ჰორშემი-მეიდენჰედი | 4:1 |
| ჰეროგეიტი-დროილსდენი | 2:0 |
| ისტბურნი-უეიმაუთი | 0:4 |
| პიტერბრო-რექსემი | 4:1 |
| ნოტსი-ჰისტონი | 3:0 |
| ოლდჰემი-დონკასტერი | 2:2 |
| ოქსფორდი-ნორთვიჩი | 3:1 |
| მენსფილდი-ლიუესი | 3:0 |
| საუთენდი-როჩდეილი | 2:1 |
| რაშდენი-მაკლსფილდი | 3:1 |
| უიკომბი-სუინდონი | 1:2 |
| იორკი-ჰავანტი | 0:1 |
| მორეკამბი-პორტ ვეილი | 0:2 |
| სტოკპორტი-სტეინსი | 1:1 |
| უოლსოლი-შრიუსბერი | 2:0 |
| ბეტი-ჩესტონი | 0:2 |
| უეირი-კიდერმინსტერი | 0:2 |
| გეინსბორო-ჰარტლპული | 0:6 |
| ფორესტ გრინი-როტერჰემი | 2:2 |
| ტორკი-იეოვილი | 4:1 |

### ნორვეგიის თასი

ფინალი

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი | 2:0 |

### ფინეთის თასი

ფინალი

| | |
|---|---|
| ტამპერე-ჰონკა | 3:3 პენ. 3:1 |

ინგლისის ნაკრები

## ბექჰემი 100 მატჩის ზღვარზე

ინგლისის ნაკრები **უეინ რუნის** გარეშე დარჩა. „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი პარასკევის ვარჯიშზე დაშავდა და ერთთვიანი შევებულება გამოიწერა. მან „ბლექბერნთან" საკვირაო მატჩი გამოტოვა. ახლა კი შაბათს ავსტრიასთან ამხანაგურ, ხოლო მომავალ ოთხშაბათს ხორვატიასთან დასკვნით საკვალიფიკაციო მატჩს გამოტოვებს. ინგლისელთა თავკაც **სტივ მაკლარენს** ის უკვე შეყვანილი ჰყავდა სანაკრებო სიაში. ეს რუნის მეორე სერიოზული ტრავმაა ამ სეზონში. პრემიერლიგის პირველ ტურში უეინმა ტერფის ძვალი გაიტეხა და თითქმის ორი თვე დაისვენა. ამ ხნის განმავლობაში მას „იუნაიტედის" ხუთი და ინგლისის სამი შეხვედრა გაუცდა. გამოჯანმრთელების შემდეგ რუნიმ სწრაფად აღიდგინა ოპტიმალური ფორმა და მნჩესტერელთა შემადგენლობაში ბოლო შვიდ შეხვედრაში შვიდი გოლი შეაგდო, ბოლო ინგლისის ნაკრების ბოლო ორ მატჩში - ორი გოლი. ასე რომ მისი სახით, მაკლარენსა და კომპანიას სერიოზული ძალა გამოაკლდა.

ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა **დევიდ ბექჰემი**. ის ეროვნულ ნაკრებში 98-ე და 99-ე მატჩებს ჩაატარებს. ინგლისის ნაკრების ისტორიაში მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს გადაულახავს 100-მატჩიანი ზღვარი. ბექჰი აპირებს, მეხუთე იყოს. ტრავმა რომ არა, მას ეს ნიშნული დიდი ხნის დაძლეული ექნებოდა.

რაც შეეხება ინგლისის საკვალიფიკაციო ჯგუფში შექმნილ მდგომარეობას, მოგეხსენებათ, მაკლარენის შეგირდთა ბედი მხოლოდ მათზე არ არის დამოკიდებული. თუ რუსეთის ნაკრები დარჩენილ ორ მატჩში 6 ქულას დააგროვებს, ავსტრიასა და შვეიცარიაში სწორედ ის გაემგზავრება. ხორვატებს 26 ქულა აქვთ და ორი მატჩი დარჩათ ჩასატარებელი. ამ ორ მატჩში მათ ერთი ქულაც ჰყოფნით ფინალურ სტადიაზე გასასვლელად. სტივ მაკლარენი მომავალს იმედით უყურებს. მას ისრაელის იმედი აქვს, რომელიც შაბათს რუსეთს უმასპინძლებს: *„ისრაელს ძლიერ გუნდი ჰყავს. ის საკუთარ მოედანზე ყოველთვის საუცხოოდ თამაშობს. იმედია, რუსეთთან მატჩშიც სასურველ შედეგს მიაღწევს. მე კი ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ხორვატიასთან ბოლო ტურის მატჩი გადამწყვეტი იქნებოდა. ამგვარად, ნნეხის ქვეშ არა ჩვენ, არამედ რუსეთია. მან აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს."*

რუნის გარდა, ინგლისს კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლია - **ჯონ ტერი** და **რიო ფერდინანდი**. მათი ტრავმა იმის მაუწყებელია, რომ ინგლისელთა დაცვა საგრძნობლადაა დასუსტებული. ტერიმ მუხლის ტრავმისაგან განკურნება ვერ მოასწრო. დაშავებული იყო მისი თანაგუნდელი **ეშლი კოულიც**, მაგრამ ის მწყობრშია და სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის მიუხედავად, მაკლარენმა შეკრებაზე უხმო. გამოჯანმრთელდა „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივსიც**. „ბაიერნის" ყოფილ ვარსკვლავს მუხლი აწუხებდა, რის გამოც ხუთი სანაკრებო შეხვედრა გაუცდა. მაკლარენის სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), სკოტ კარსონი (ასტონ ვილა);



სტივ მაკლარენი

**მცველები:** ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), სოლ კემპბელი (პორტსმუთი), ეშლი კოული (ჩელსი), ჯოლეონ ლესკოტი (ევერტონი), ნიკი შორი (რედინგი), ფილ ნევილი (ევერტონი), მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), უეინ ბრიჯი (ჩელსი);

**ნახევარმცველები:** დევიდ ბექჰემი (ლოს ანჯელეს გალაქსი), შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), გარეთ ბერი (ასტონ ვილა), ჯო კოული (ჩელსი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ეშლი იანგი (ასტონ ვილა), დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი);

**თავდამსხმელები:** მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), ალან სმიტი (ნიუკასლი), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი).

გერმანიის ნაკრები

## ჯონსის დებიუტი გადაიდო

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** იმ 23 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩებისთვის (კვიპროსთან და უელსთან) მოემზადებიან. სხვებთან ერთად, იოგიმ ბუნდესნაკრებში „შალკეს" საყრდენ ნახევარმცველ **ჯერმეინ ჯონსსაც** უხმო, მაგრამ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, უარი ეთქვა, რადგან შაბათს, „ჰამბურგთან" მატჩში დაშავდა. 26 წლის ჯონსს ლიოვი დიდი ხანია აკვირდება და ფეხბურთელს ტრავმა რომ არ მიელო, გერმანიის ნაკრებში დებიუტი ექნებოდა. სამაგიეროდ, დებიუტთან ძალიან ახლოსაა „შტუტგარტის" მცველი **სერდარ ტასკი**, რომელსაც ლიოვმა სექტემბერშიც უხმო, მაგრამ მაშინ ამ უკანასკნელმა ტრავმა მიილო. ამჯერად ტასკიმ იოგისგან კიდევ ერთი შანსი მიილო.

ბუნდესგუნდს ტრავმების გამო **ტორსტენ ფრინგსი**, **ბერნდ შნაიდერი**, **მიხაელ ბალაკი**, **დავიდ ოდონკორი**, **კევინ კურანი** და **კრისტიან პანდერი** დააკლდებიან. სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებში ბრუნდებიან **მაიკ ჰანკე**, **ფილიპ ლამი**, **ტიმ ბოროვსკი** და **ოლივერ ნოივილი**. ლიოვის განაცხადში ტრადიციულად სამი მეკარეა: **ლემანი**, **ჰილდებრანდი** და **ენკე**. მიუხედავად იმისა, რომ იენს ლემანი „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და სათამაშო პრაქტიკა არა აქვს, ბუნდესმწვრთნელი მის შესაძლებლობებში მაინც დარწმუნებულია და გადაწყვიტა, რომ ორივე შეხვედრაში ათამაშოს. გერმანიის ნაკრების განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** იენს ლემანი (არსენალი), რობერტ ენკე (ჰანოვერი), ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია).

**მცველები:** გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), არნე ფრიდრიხი (ჰერტა), მანუელ ფრიდრიხი (ლევერკუზენი), მარსელ იანსენი (ბაიერნი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), სერდარ ტასკი (შტუტგარტი).

**ნახევარმცველები:** ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), კლემენს ფრიტცი (ვერდერი), რობერტო ჰილბერტი (შტუტგარტი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (შტუტგარტი), მაიკ ჰანკე (ჰანოვერი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), ოლივერ ნოივილი (ბორუსია მ), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს თამაშს ფული განსაზღვრავს

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ საფეხბურთო გამოცემას "ფრანს ფუტბოლს" 60 წელი შეუსრულდა. იუბილარ ფრანგულ ჟურნალს დაბადების დღე მსოფლიო ფეხბურთის ბევრმა ვარსკვლავმა მიულოცა, ზოგიერთი მათგანი კი, რედაქციას სტუმრად ეწვია. მათ შორის იყო ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი. გთავაზობთ ნაწყვეტებს იმ ინტერვიუდან, რომელიც პარიზული ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა.



## მორალს არ ვკითხულობ

**- 60 წელი დიდი დროა არა მარტო ადამიანისთვის, არამედ ფეხბურთისთვისაც. ამ ხნის განმავლობაში რამდენად შეიცვალა თავად თამაში? და თუ შეიცვალა, კარგი თუ ცუდი მხრით?**

- ოდესღაც ფეხბურთი უბრალო თამაში იყო. მას შეჰხაროდნენ, ყოველდღიურად ალმოაჩენდნენ, ის ადამიანების მეგობრად ან კარგ მეზობლად ითვლებოდა. ბოლო წლებში სწრაფი ტემპებით დაიწყო ფეხბურთის პროფესიონალიზაცია და ამან ბევრი რამ შეცვალა. ადრე ეს იყო სახალხო თამაში, დღეს კი, ფეხბურთზე საუბრისას, სულ უფრო ხშირად გულისხმობენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა მარკეტინგი, რეკლამა, მასმედია, ფული... და რა თქმა უნდა, თამაშის განვითარების პროცესზე, ადამიანების გონებაში შეღწევის მასშტაბებზე უდიდესი გავლენა მოახდინა ტელევიზიამ. ყველაფერი გასაოცრად კარგად მოეწყო როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისთვის. მოთამაშეები ზრუნავენ სანახაობაზე, თავად კი, პოპულარულები ხდებიან, მუდმივად ეზრდებათ ჰონორარები და ხელფასები, ხოლო ტელევიზია, ეკრანებთან დიდი აუდიტორიის მოზიდვით, თავის წილ მოგებას იღებს და ამავდროულად, საქმე ისე დააყენა, რომ კლუბებს და ფეხბურთელებს არ შეუძლიათ მის გარეშე ცხოვრება. აქ საქმე ეხება არა სატელევიზიო გამოსახულებას, არამედ იმ უზარმაზარ თანხებს, რომელსაც ტელევიზია იხდის. ეს ფაქტორები ბევრი კლუბისთვის ნამდვილ ნარკოტიკად იქცა. თავად ფეხბურთი კი, მასობრივი მოხმარების საგნად გადაიქცა.

**- როგორც ოპიუმი ხალხისთვის?**

- დიახ, და ამაზე არც ღირს კამათი. თუმცა დღევანდელი თამაშის პოპულარობის გარეგნული და საკმაოდ მომხიბვლელი ფასადის მიღმა, სხვა რამის დანახვა შეიძლება: იმ მთელი რიგი ჰუმანიტარული ღირებულებების დაკარგვა, რომელიც მუდმივად თან ახლდა ფეხბურთს. არა მგონია უარყოთ ის, რომ ეს ყველაზე დემოკრატიული თამაში ყოველთვის იყო სპორტში ყველაზე პატიოსანი და სუფთა ურთიერთობებისა ძირითადი მატარებელი. ფეხბურთი საბავშვო ასაკიდან აღძრავდა ღირსებისა და კოლექტივიზმის გრძნობას. გვასწავლიდა თვითდისციპლინასა და სწორ თვითშეფასებას. ანუ ყველაფერ იმას, რაც დღეს ასე აკლია თანამედროვე საზოგადოებას. მაგრამ სწორად გამიგეთ - არ მინდა დღეს მიმდინარე მოვლენები მხოლოდ მუქ ფერებში აღვიქვა. უბრალოდ მე მგონია, რომ დღეს საზოგადოებაში ფეხბურთის აღმზრდელობითმა როლმა სულ სხვა ელფერი შეიძინა. ჰუმანიტარულისგან ის კომერციულად გადაიქცა.

**- არ გეჩვენებათ, რომ ფეხბურთზე საუბრისას, უფრო მორალს კითხულობთ, ვიდრე მისი სპორტული მახასიათებლების შესწავლას ეწევით?**

- მორალს ვკითხულობ? არა. ასე მხოლოდ დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე ვსაუბრობ. სინამდვილეში მზად ვარ განვიხილო ყველაფერი, რაც ამ თამაშს ეხება. ჩემი სტილი არ არის გამოვიყურებოდე მოხუც მორალისტად, რომელიც ამტკიცებს, რომ ადრე ყველაფერი კარგად იყო და დღეს როგორია ცუდია ყველაფერი. უბრალოდ ჩემი უდიდესი გამოცდილებიდან გამომდინარე ვაკეთებ დასკვნებს, მათ შორის იმ გამოცდილებიდან, რომელიც ახალგაზრდა თაობასთან მუშაობისას შევიძინე. რაც არ უნდა იყოს, მსოფლიო ბევრ ადგილას მაქვს სკოლა გახსნილი, სადაც დამწყებ ფეხბურთელებს ასწავლიან და მე კარგად ვხედავ იმ გავლენას, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება მათ განვითარებაზე ახდენს.

## სულებზე ნადირობა

**- საზოგადოება გავლენას არამარტო ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ახდენს...**

- არსებობენ საზოგადოების სხვადასხვა ფენები. მაგალითად გავლენიანი პოლიტიკოსები, რომლებიც კანონებს აყალიბებენ, გვაიძულებენ ყველას ამ კანონებით ვიცხოვროთ და ყურადღებას არ აქცევენ ამა თუ იმ სიცოცხლით აღსავსე ადამიანის სპეციფიკურ ხასიათს. როგორ შეიძლება არ გაითვალისწინო ფეხბურთის სპეციფიკა, როცა მასზე სავალდებულოდ ვრცელდება სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების პრინციპები? რატომ არ სურთ ევროსაბჭოში გაიგონ, რომ მსგავსი ტიპის წესები, საბოლოოდ დაასამარებენ ფეხბურთს. და ეს ყველაფერი ეროვნული ნაკრებების ინსტიტუტის რღვევის დამღუპველი პროცესით დაიწყება. ამ საკითხში მე მთლიანად მხარს ვუჭერ უეფას ახალ პრეზიდენტს მიშელ პლატინის. ცოტა ხნის წინ მან განაცხადა, რომ საფეხბურთო კლუბებს არ შეიძლება იგივე ეკონომიკური წესები შესთავაზო, როგორც ჩვეულებრივ საწარმოებს. კლუბების ამოცანა - ტიტულების მოპოვებაა და არა ბაზარზე მათი წილის გაზრდა. ბოლოს და ბოლოს, სპორტში კონკურენცია - ეს არ არის კონკურენცია ეკონომიკურ ბაზარზე. პოლიტიკოსები მხოლოდ ერთს ხედავენ და მეორის დანახვა არ სურთ. რატომ არ მიაქციეს მათ ყურადღება იმას, თუ რა წესებით ფორმდება პროფესიული მრავალწლიანი კონტრაქტები 12 წლის ბავშვებთან? იურიდიული თვალსაზრისით, მათ ბევრი რამ მოუწესრიგებელი აქვთ, სხვადასხვა საკითხები კი, სასამართლოს გასარჩევიც კი არის, რადგან ბაშვები აკრძალული სატრანსფერო ოპერაციების უნებლიე მონაწილეები ხდებიან.

**- საფეხბურთო ტრანსფერები - დღეს ეს ერთგვარი ინდუსტრიაა. რადგან ასეა, აქ დამკვიდრებული წესები არაფრით არ განსხვავდება იმისგან, რაც ეკონომიკაში არსებობს. ასე არ არის?**

- დიახ, დღეს აქ დიდი ფული ტრიალებს და ხშირად, თანხების რაოდენობა სხვადასხვა სახის საქმოსნებს იზიდავს. მათ ფეხბურთი, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობა ნაკლებად ხიბლავთ. მათ ეს ბაზარი თავიანთი ფინანსური ოპერაციების შესასრულებლად სჭირდებათ. მათ ურჩევნიათ საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანონ ლეგიონერები და კლუბებში დაასაქმონ, რითაც საკუთარი ფულადი ინტერესები ექნებათ...

## ტექნიკა ცირკი არ არის

**- ფეხბურთი უფრო სწრაფი გახდა. ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით რაიმე შეიცვალა?**

- იცვლება ტექნიკისადმი დამოკიდებულება. ადრე ის თამაშის მთავარი ფაქტორი იყო, დღეს კი, პირველ პლანზე სხვა რამეები გადმოვიდა. მაგალითად ფეხბურთელის სისწრაფეში მომზადება. რატომ ხდება ასე? ფეხბურთი სწრაფი ტემპებით შორდება ქუჩას, რითაც ქრება ბავშვების ტექნიკური მომზადება. ქუჩა ბავშვს არამარტო სირბილს, არამედ მოწინააღმდეგის ერთი ერთზე მოტყუებასა და მოედანზე ფიქრს ასწავლიდა. ეს ძალიან ფაქიზი ფსიქოლოგიური მატერიაა. მოთამაშეს ხელოვნურად ვერ აიძულებ იფიქროს მოედანზე ან გამოიმუშავოს ესა თუ ის ტექნიკური ილეთი - ფეხბურთელმა ეს ქუჩაში უნდა ისწავლოს. ამიტომაც არის, რომ დღევანდელ ფეხბურთელებს არ გააჩნიათ ბავშვობიდან შეძენილი რეფლექსები, არ ჰყოფნით ალღო... არ არსებობენ ინტელიგენტები, რომლებიც თამაშს გონებით მიუდგებიან. ნებისმიერი ფეხბურთელის საწყისი კაპიტალი ტექნიკური თვისებებისგან უნდა შედგებოდეს და ყველაფერი დანარჩენი სწორედ აქედან მოდის... რატომ უნდა ირბინოს ფეხბურთელმა 90 წუთი, თუ ის ამ პროცესისგან ვერანაირ სიამოვნებას ვერ მიიღებს?! რატომ უნდა ინვალო, თუ სულში სიცარიელის გარდა არაფერი გრჩება?!

**- რას გულისხმობთ ცნებაში - "ტექნიკური ოსტატობა"?**

- ილეთების შესრულების უბრალოებას და ეფექტურობას. ტექნიკა ბურთის ჟონგლირება არ არის. ეს არ ნიშნავს საცირკო ტრიუკებს. დღეს მოთამაშეებმა ბურთთან ერთად ათასგვარი გაუგონარი ილეთების შესრულება ისწავლეს. მაგრამ რას გაძლევს ეს თამაში, სადაც ყოველთვის დროის დეფიციტს განიცდი და მოწინააღმდეგეც უხეშად ცდილობს შენს შეჩერებას? რას ნიშნავს, მაგალითად მცველისთვის ტექნიკური ოსტატობს? ბურთის ჟონგლირებას? რა თქმა უნდა, არა. ჩემი აზრით, ეს არის ბურთზე სრული კონტროლი, 20-30 მეტრის მოშორებით მყოფი პარტნიორისთვის ზუსტი პასის მიცემა, გადაცემის უშეცდომოდ მიღება, პოზიციის სწორად შერჩევა და მოედნის სიღრმიდან წამოსული პასის ჩაჭრა.

ეს უბრალო საფეხბურთო კანონებია - იტყვით თქვენ. დიახ, მაგრამ სწორედ ამაზეა დამყარებული თამაშის აღქმა და შენი საქმის პროფესიონალურ დონეზე კეთება. თამაშის რითმი უფრო სწრაფი გახდა? ე.ი. ტექნიკაც უნდა განვითარდეს. სისწრაფეში აზროვნება და ტექნიკური ილეთების შესრულებისას სწორი გადაწყვეტილებების მიღება ნებისმიერი მოთამაშის ოსტატობის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად იქცა. ისევე როგორც 30 წლის წინ, დღესაც ნებისმიერი საფეხბურთო სპექტაკლი მდიდარი უნდა იყოს ლამაზი ტექნიკური ილეთებით, შეტევითი მოქმედებებით, ფეხბურთელების დრიბლინგითა და რისკით.

**- რისკი გამარჯვების მისაღწევად?**

- რისკი თამაშისთვის. ეს სულიერი მდგომარეობის საკითხია. ხშირად ვხედავ, რომ გუნდები მოედანზე ერთადერთი მიზნით გამოდიან: რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მატჩი არ უნდა წააგონ და სადღაც ჩამალული აქვთ მეორე გრძნობა - როგორ მოიგონ მატჩი?

## თვითმყოფადობა მოდაში არ არის

**- შეიძლება თუ არა დღეს გუნდების ტაქტიკურ პროგრესზე საუბარი?**

- ჩემთვის სქემა 4+3+3 ყველაზე რაციონალურად ითვლება, თუ გუნდი ახერხებს მაქსიმალურად გამოაჩენოს თავისი ტაქტიკური უპირატესობა მეტოქეზე. ეს განლაგება თვითრეალიზაციის უფრო მეტ შანს გაძლევს. ის უფრო კომპაქტურია და ამავდროულად, უფრო მობილური. გარკვეული გარემოებების დროს, ასეთი სქემა გაცილებით ეფექტურია თავის დაცვისას და მისგან შეიძლება უფრო მეტი დაცვითი ვარიანტების მიღება, ვიდრე 4+4+2 სქემის დროს. მთავარია, შემსრულებელმა დროულად და ეფექტურად შეასრულოს მინდორზე სათამაშო დავალებები და დარიგებები. ამასთან, 4+3+3, თუ მის კომპაქტურობას გავითვალისწინებთ, გუნდური თამაშის აწყობისას ნაკლებად წარმოშობს სიცარიელეებს, ასევე იშვიათია ცალკეულ რგოლებს შორის რღვევა.

ყველას ახსოვს, რომ ჩემი ფეხბურთელობის დროს, "აიაქსი" და ჰოლანდიის ნაკრები წარმატებით ახორციელებდა ე.წ. ტოტალური ფეხბურთის პრინციპს. ის სწორედ ყველა რგოლის კომპაქტურობასა და მობილურობაზე იყო აწყობილი. ამის გარეშე, ტოტალური ფეხბურთი მკვდარი იქნებოდა! დღეს კლუბები ცდილობენ მინდორზე სხვადასხვა სქემები გამოიყენონ. მაგრამ, როცა მატჩის დროს ვხედავ, რომ ცალკეულ რგოლებს შორის დაცილება 50 მეტრს აღწევს, არ შემიძლია ამას მშვიდად ვუყურო. აქ ტაქტიკის ელემენტარულ უცოდინრობასთან გვაქვს საქმე. ასევე მშვიდად ვერ ვუყურებ იმას, როცა გუნდი, რომელიც უპირატესობას ფლობს, იწყებს მოედნის ცენტრიდან ბურთის უკან დაბრუნებას. როგორც ჩანს, ასეთი ხერხით ცდილობს ის მეტოქის საკუთარ ნახევარზე შეტყუებას. არ მახსოვს, როცა მსგავს ილეთს სასურველი შედეგი მოეტანოს.

**- არ გეჩვენებათ, რომ დღეს მწვრთნელები ტაქტიკაზე უფრო ბევრს საუბრობენ, ვიდრე უშუალოდ თამაშის მსვლელობისას იღებენ რაიმე საინტერესო გადაწყვეტილებებს, რომელსაც მატჩის ბედის შემოტრიალება შეუძლია?**

- თუ თქვენ შეგხვდათ მეტოქე, რომელსაც ძალიან ძლიერი ცენტრალური ღერძი აქვს და არ გაგაჩნია შესაძლებლობა მოწინააღმდეგის ნახევარდაცვა დაამარცხო, უაზრობაა თამაშის წინ წანეულ ფორვარდზე აგება. შემდეგ კი, წაგების შემთხვევაში, ყველაფერი რაღაც გარემოებებს ბრალდება. მოედნის ცენტრში შენი მოთამაშეების კონცენტრაცია ისე უნდა მოახდინო, რომ მათ შეძლონ მეტოქის ბლოკირება. ასეთი პრობლემები ხშირად მქონია. და ყოველთვის ჩემს თავდამსხმელებს ვთხოვდი, რომ რაც შეიძლება უფრო ახლოს ყოფილიყვნენ გვერდით ხაზთან.

**- სხვადასხვა გუნდების თამაში სულ უფრო ემგვანება ერთმანეთს. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?**

- მიზეზი რამდენიმეა. გუნდები უფრო ხშირად ცვლიან თავიანთ შემადგენლობებს, თავისუფლად იწვევენ ფეხბურთელებს და ყიდიან მეორეებს. წარმოიშვება სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშერწყმა და ეს გადაიქცევა რაღაც საერთო მასად, რაც მოკლებულია თვითმყოფად სტილთან. მეორე მიზეზია ტელევიზიის გავლენა, რომლის მეშვეობითაც შეგიძლია სხვა გუნდის სტილის, ტაქტიკის და მოთამაშეთა ცალკეული ტექნიკური ილეთების კოპირება. გარდა ამისა, მოთამაშეები, რომლებიც დიდი რაოდენობით ჩამოდიან ევროპაში სხვადასხვა კონტინენტიდან, უპირველეს ყოვლისა სამხრეთ ამერიკიდან, ჯერ კიდევ შინ კარგავენ თავიანთ ინდივიდუალურ თვისებებს. რატომ? იმიტომ, რომ ასე უფრო იოლი იქნება მათი გაყიდვა. დღეს არავის სურს დროის ადაპტაციაზე დაკარგვა, ლოდინი იმისა, ესა თუ ის ფეხბურთელი როდის შეეჩვევა თამაშის ევროპულ მანერას. უნდა ითამაშო და გამოიმუშავო დახარჯული ფული. ლოგიკა მარტივია... როცა ჩემს გუნდებში ლეგიონერი ფეხბურთელების ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოიშვებოდა, მე მათ ყოველთვის ასეთ რჩევას ვაძლევდი: დაიჭირე ბურთი, მონახე პარტნიორი, მიეცი ზუსტი პასი. ჩემი აზრით, ასე უფრო იოლად და სწრაფად გაუგებენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი — ლეგიონერები



ტულონი-იონაქსი. გია ლაბაძე (მარჯვნივ)

# ლაბაძის ლელო და ლიდერობა

გასულ უქმეებზე ევროპული საკლუბო გრანდები ევროთასების გათამაშებაში ჩაერთნენ. ყველაზე პრესტიჟულ ჰაინეკენის თასისთვის მებრძოლთა შორის ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან მხოლოდ ერთი, გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის "კლერმონია".

"ვულკანები" E ჯგუფში საკუთარ მოედანზე უელსის "ჰლანეჰლის" დაუპირისპირდნენ და 48:21 დაამარცხეს. შველიძე და ზირაქაშვილი განაცხადში არ იყვნენ. ამავე ჯგუფში ინგლისურმა "ვოსფსმა" შინ დაამარცხა ირლანდიური "მანსტერი" მინიმალური ანგარიშით 24:23.

A ჯგუფი: პერპინიანი (საფ)-დრაგონსი (უელ) 23:19, ლონდონ აირიში (ინგ)-ბენეტონი (იტ) 42:9.

B ჯგუფი: ალსტერი (ირლ)-გლოსტერი (ინგ) 14:32, ოსფრიზი (უელ) ბურგუენი (საფ) 22:15

C ჯგუფი: სტად ფრანსე (საფ)-ჰარლიქვინზი (ინგ) 37:17, კარდიფი (უელ)-ბრისტოლი (ინგ) 34:18.

D ჯგუფი: ვიადანა (იტ)-ბიარიცი (საფ) 11:19, სარასენზი (ინგ)-გლაზგო (შოტ) 30:24

F ჯგუფი: ედინბურგი (შოტ)-ტულუზი (საფ) 15:19, ლენსტერი (ირლ)-ლესტერი (ინგ) 22:9.

სამაგიეროდ, საკმაოდ წარმომადგენლობითია ქართველ მორაგბეთა ლეგიონი ჩელენჯ კაპის გათამაშებაში. აქ ჩვენებურთა ერთბაშად ექვსი კლუბი ასპარეზობს.

A ჯგუფის პირველ შეხვედრაში ინგლისურ "ბასთან" შინ დამარცხდა **მამუკა მაგრაქველიძის** "ოში" 6:28. "ქირვანა" ტრავმირებულია და შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. ამავე ჯგუფში ფრანგულმა "ალბიმ" სტუმრად დაამარცხა "ოვერმაკი" 28:23.

C ჯგუფში წარმატებული სტარტი აიღო **დავით ხინჩაგაშვილის** "ბრივმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე დაამარცხა ირლანდიური "ქონოთი" 15:6. ხინჩაგიშვილი ტრავმირებულია. ამავე ჯგუფში გათამაშების დებიუტანტმა, ესპანურმა "ელ სალვადორმა" შინ წააგო ინგლისურ "ნიუკასლთან" 10:71.

D ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონმა" შინ იტალიურ "პადოვას" სძლია 37:20. კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. **მამუკა გიორგაძის** "მონპელიე" კი სტუმრად დამარცხდა ინგლისში "სეილ შარკსთან" 6:49, გორგოძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

E ჯგუფში სტუმრად "ლიდსთან" წააგო სასტარტო შეხვედრა **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა" 18:35. გიორგაძე თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო.

B ჯგუფი:

მონტობანი (საფ)-პარმა (იტ) 65:6, ბუქარესტი (რუმ)-ვურსტერი (ინგ) 8:18.

**საფრანგეთი**

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში კი მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ერთპიროვნული ლიდერობა ხელთ **გია ლაბაძის** "ტულონმა" იგდო. ლაბომ და მისმა ვარსკვლავურმა კომპანიამ შინ დაგეგმილი გამარჯვება მიითვალა **დავით აშვეთიას** "იონაქსთან" 30:15. ლაბაძემ მეტოქეს ლელო დასაწყისშივე, მე-2 წუთზე გაუტანა და შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა. ძირითად შემადგენლობაში იყო აშვეთიაც, რომელიც 73-ე წუთზე შეცვალეს.

პირველი მარცხი იწვნია გასვლით მატჩში **ლევან ლვაბერიძის** "გრენობლთან" **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანმა" 16:21. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ლვაბერიძე განაცხადში არ იყო.

ლიდერთა ოთხეულში გაერივნენ **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიაკი" და **მერაბ კვირიკაშვილის** "პო". ამ უკანასკნელმა შინ დაამარცხა "ლიონი" 20:9, "ორიაკმა" კი ასევე საკუთარ მოედანზე **იგორ ბარბაქაძის** "ტარბს" მოუგო იოლად 48:3. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

შინ დაამარცხა "აჟენი" **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონმა" 29:10. კუთარაშვილი თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო და 56-ე წუთზე მატჩის არბიტრისგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

II დივიზიონი: **ლა როშელი-ბეზიე 29:21, ტულონი-იონაქსი 30:15, პო-ლიონი 20:9, მეტრო რასინგი-ბორდო 21:18, გრენობლი-მონ დე მარსანი 21:16, ლიმოჟი-ბლანიაკი 9:9, ორიაკი-ტარბი 48:3, ნარბონი-აჟენი 29:10.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულონი-13 ქულა, 2. მეტრო რასინგი-12, 3. პო-10, 4. ორიაკი-9, 5. მონ დე მარსანი-9, 6. ნარბონი-8, 7. ლა როშელი-8, 8. აჟენი-8, 9. გრენობლი-5, 10. ლიონი-5, 11. იონაქსი-5, 12. ბეზიე-4, 13. ლიმოჟი-3, 14. ბორდო-2, 15. ბლანიაკი-2, 16. ტარბი-2.**

**ანონსი**

საქართველოს ჩემპიონატი, ფლეი ოფი

**შევარდენის სტადიონი**

12 ნოემბერი

**15:30 ლელო-ლომები**

13 ნოემბერი

**15:30 ყოჩები-უნივერსიტეტი**

კალათბურთი

NBA-ს ქართული ამბები

# როდის ითამაშებს ფაჩულია?

ორიოდე დღის წინ ჯორჯიულმა გაზეთმა "ატლანტა კონსტიტუშენმა" დაწერა, რომ ზაზა ფაჩულიას დებიუტი წლევანდელ NBA-ში პარასკევს, "ბოსტონ სელტიქსთან" მატჩში შედგებოდა. შაბათს გამთენიისას, ამ შეხვედრის ოქმი იმედიანად გადავათვალიერე - ოგორც წესი, ზაზა მცირე შესვენებების შემდეგ ორმაგ დუბლებს ასრულებს ხოლმე. მაგრამ, დუბლს ვინ ჩივის, ჩვენიანი თურმე არც სათადარიგოთა სკამისთვის გაუკარებიათ. ფაჩულიას უთამაშებლობის მიზეზს იმავე "ატლანტა კონსტიტუშენში" მივაკვლიე. ამ გაზეთიდან გთავაზობთ სტატიას, რომელსაც ხელს სეკუ სმიტი აწერს.

"ჰოქსის" ცენტრმა, ზაზა ფაჩულიამ მუხლის ტრავმა მოიშუშა და პარასკევს "ბოსტონის" წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ ხუთშაბათის ვარჯიშზე იდაყვის ტრავმა გაუმიზეზდა და მეორე დღეს, მატჩს ტრიბუნებიდან მიადევნა თვალყური.

მწვრთნელის მაიკ ვუდსონის ვარაუდით, ზაზა თანაგუნდელებს ვერც კვირას, ვაშინგტონში "ვიზარდსთან" შეხვედრაში დაეხმარებოდა. მისივე თქმით, თუ იდაყვის მკურნალობა ისე წარიმართა, როგორც ექიმები გეგმავენ, ამ სეზონში ფაჩულიას დებიუტი სამშაბათს, "შარლოტ ბობქეთსთან" შედგება. ეს შეხვედრა "ატლანტას" საშინაო მოედანზე, "ფილიპს არენაზე" გაიმართება.

ზაზამ იდაყვისა და მუხლის ტრავმები 18 ოქტომბერს სწორედ"შარლოტთან" მატჩში მიიღო. მას შემდეგ მან 2 კვირა დაისვენა და ვარჯიში ნოემბრის დასაწყისში განაახლა.

"ამჟამად, ფაჩულია სათანადოდ მზად არ არის. მართალია მუხლი საერთოდ აღარ აწუხებს, მაგრამ ხელის ტკივილი ბოლომდე თუ არ დაუცხრება, მას მოედანზე ვერ გავიყვან. ვფიქრობ, სამშაბათამდე ყველაფერი წესრიგში იქნება." - აცხადებს "ატლანტას" თავკაცი მაიკ ვუდსონი."

მკითხველს, ალბათ, თავად ზაზას მოსაზრებაც აინტერესებს. ფაჩულიას სეზონისწინა მონოლოგს მისსავე ვებსაიტზე (www.zazapachulia.com) გაეცნობით:

"სეზონი დაიწყო, მაგრამ "შარლოტთან" მატჩში მიღებული ხელისა და ფეხის ტრავმის გამო, იძულებული ვარ "ატლანტას" მატჩებს თვალი გვერდიდან მივადევნო. რთულ სიტუაციაში ვარ, რადგან, ძალიან მინდა თამაში, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მოედანზე ისე ვერ გავალ, თუ 100 პროცენტით მზად არ ვიქნები.

წინასასეზონო 8 მატჩიდან 7 მოვიგეთ, რაც NBA-ს რეგულარულ სეზონში თავდაჯერებას შეგვმატებს, მაგრამ მთავარი არა გამარჯვებების თვლა, არამედ პლეი ოფში გასვლაა...

საგამოფენო მატჩებში აქცენტს სწრაფ თამაშზე ვაკეთებდით, რაც კარგად გამოგვდიოდა. თუმცა, რეგულარულში წარმატებისთვის, თამაშის კიდევ უფრო დახვეწა დაგვჭირდება, მითუმეტეს, რომ სეზონის სტარტზე მეტისმეტად რთული კალენდარი გვაქვს და ყოველი მატჩის თითოეულ წუთზე მაქსიმალური კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ.

გმადლობთ!"

მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ზაზა ფაჩულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერები

# მანუს ბენეფისი, ბორისას ტრიუმფი



მანუჩარ მარკოიშვილი



უტევს ვლადიმერ ბორისა (12)

**ვინაიდან ჩვენი გაზეთი ოთხშაბათის შემდეგ არ გამოსულა, ლეგიონერების მიმოხილვაში შაბათ-კვირის მოვლენებთან ერთად ქართველთა შუა კვირაში ჩატარებულ შეხვედრებსაც შევეხებით.**

## კიევიც ევროგრანდია?

საუბარს მანუჩარ მარკოიშვილით დავიწყებთ, რომელმაც შაბათს უკრაინის ჩემპიონატში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მისმა "კიევმა" "პულსარს" მშვიდად, 95:60 მოუგო. მარკოიშვილმა მწვრთნელის მიერ ბოძებული 21 წუთი მაქსიმალურად გამოიყენა, 18 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 5-დან 4 სამქულიანი), 4-4 მოხსნა-პასი, 2 ჩაჭრა და ერთი დაფარება მიითვალა. მატჩის მიმოხილვაში ხაზგასმითაა აღნიშნული მანუს ბლოკ-შოტის ეფექტურობა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მარკოიშვილს სლოვენიაში უფრო ეფექტური მატჩიც აქვს ჩატარებული. ვიდრე იკითხავდეთ, უკეთესი რა უნდა ექნაო, გეტყვით, რომ "ოლიმპიას" მაისურით, მანუმ შარშანწინ "ჰელიოსს" 4-დან 4 ორქულიანი და 6-დან 6 სამქულიანი ჩაუგდო...

5-5 მოგებით უკრაინის ჩემპიონატს "კიევი" და "აზოვმაში" ლიდერობენ. წინასწარ იმის თქმაც შეიძლება, რომ ფინალური სერიის წყვილს სწორედ ეს ორი გუნდი შეადგენს.

თუ "პულსართან" თამაში უკრაინის პირველობაზე მანუჩარის საუკთესო შეხვედრა იყო, "კიევისთვის" "ბენეტონთან" დაპირისპირება ევროსარბიელზე იყო ერთ-ერთი გამორჩეული. ულების თასის პირველივე ტურში უკრაინელებმა იტალიის ჩემპიონატის გრანდ "ბენეტონს" ტრევიზოში 77:73 სძლიეს.

იტალიური პრესა "ბენეტონის" წაგებას არაერთგვაროვნად გამოეხმაურა. ერთნი აცხადებენ, რომ ტრევიზოს კლუბი წელს შედარებით სუსტია. მეორეთა თქმით წაგების მიზეზი უკრაინული კალათბურთის დონის აწევაა. ამის მაგალითად, პირველ რიგში მანუჩარ მარკოიშვილი მოჰყავთ, რომელიც 2002-2003 წლებში "ბენეტონის" ღირსებას იცავდა. მას შემდეგ მანუ პროფესიულად გაზრდილა და შესაბამისი კლუბიც მოუნახავსო.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ტრევიზოელთა წაგება არა მხოლოდ უკრაინული კალათბურთის, არამედ "კიევის" სლოვენიელი თავკაცის **ტომო მაჰორიჩის** ბრალია, რომელიც ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. უკრაინელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა მანუჩარ მარკოიშვილმაც, რომლის ზუსტი ორქულიანი ტყორცნის წყალობით "კიევმა" მეორე პერიოდში 9-ქულიან უპირატესობას მიაღწია(23:14). ამის მერე სტუმრებმა იტალიელებს გადასწრების საშუალება არ მისცეს, სირენამდე 3 წუთით ადრე 66:59 დაწინაურდნენ და ბენეტონელები იძულებულები გახდნენ, თამაშის გადასარჩენად განზრახ ფოლებისთვის მიემართათ. უკრაინელებს არც გადამწყვეტ მომენტში უღალატა სიზუსტემ.

11-დან 9 საჯარიმო ამერიკელმა **მარკუს ფეისონმა** გამოიყენა და 17 ქულით კიეველთა სნაიპერი გახდა. ჩვეული სიზუსტით ვერ ისროლა სამქულიანები მანუჩარ მარკოიშვილმა (სამივე ტყორცნა ააცილა), რის გამოც 10-ქულიან ზღვარს ვერ ასცდა, 18 წუთში 6 ქულასა და 2 შედეგიან გადაცემას დასჯერდა.

*"ეს გახლდათ ჩვენი გუნდის ისტორიული გამარჯვება. ბიჭებმა ჩემს მიერ მიცემული ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იტალიაში "ბენეტონს" ვერ ვძლევდით".* - განაცხადა მატჩის შემდეგ სტუმართა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა.

აქვე დავძენთ, რომ "კიევთან" წაგებას გადაჰყვა ტრევიზოელთა თავკაცი **ალესანდრო რამალი**. იგი თანამდებობიდან დაითხოვეს.

ულების თასის წლევანდელ გათამაშებაში 36 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ექვსგუნდიან 9 ჯგუფად არის გაყოფილი. "კიევი" H ქვეჯგუფშია, რომლის კიდევ 4 ბინადარის ორი შეხვედრა ასე დასრულდა: "არტლანდი"(გერმანია)-"პო ორტეზი"(საფრანგეთი) 85:74, "რიგა"(ლატვია)-"ლუკოილი"(ბულგარეთი) 77:58. ულების თასის მეორე ტურში, 13 ნოემბერს "კიევი" ლატვიის "რიგას" უმასპინძლებს.

## პირველი გასვლითი გამარჯვება

ვლადიმერ ბორისას "სპარტაკ-პრიმორიემ" რუსეთის ჩემპიონატის წლევანდელ გათამაშებაში პირველი გასვლითი გამარჯვება მოიპოვა. ვლადივოსტოკელებმა ლიუბერცის "ტრიუმფი" 83:80 დაამარცხეს და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა გაიუმჯობესეს - მეცხრედან მეშვიდე პოზიციაზე აინაცვლეს.

თუკი სატურნირო მდგომარეობას გავითვალისწინებთ, "ტრიუმფის" სტუმრად ძლევა შეიძლება სენსაციადაც მოვნათლოთ, რადგან ეს გუნდი ცხრილში ცსკა-სა და "ხიმკის" გვერდით მეოთხე პოზიციაზეა.

"პრიმორიეს" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა **ვლადიმერ ბორისამ**, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში სამქულიანი ტყორცნისას ხელი არ აუკანკალებია და ბოლოსწინა წუთზე თანაგუნდელები 75:66 დააწინაურა. გამოცდილი მწვრთნელის **სტანისლავ ერიომინის** ("უნიქსში" შემონდ უილიამსს წვრთნიდა) შეგირდებმა დარჩენილ დროში სხვაობის მხოლოდ 3 ქულამდე შემცირება მოასწრეს - 80:83.

ვოვამ რუსეთის მიმდინარე ჩემპიონატში პირადი რეკორდი დაამყარა - 15 ქულა დააგროვა (4-დან 3 ორქულიანი და 7-დან 3 სამიანი). გარდა ამისა მან 30 წუთში თითო მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა ჩაიწერა. მატჩის სნაიპერი კი, 27 ქულით, სპარტაკელი ამერიკელი ერნსტ ბრემერი გახდა.

შეხვედრის დასრულებისას პრიმორიელთა თავკაცმა **სერგეი ბობკოვმა** სწორედ ამერიკულ-ქართული დუეტი შეაქო: "ბიჭები მოედანზე კარგი განწყობით გამოვიდნენ. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ლიდერებმა, ბრემერმა და ბორისამ, თუმცა, საკუთარი საქმე დანარჩენებმაც პირნათლად შეასრულეს. მოხარული ვარ, რომ ისეთი გუნდის დამარცხება მოვახერხეთ, რომელსაც აქამდე ერთადერთი წაგება ჰქონდა. რაც მეტი ასეთი მატჩი იქნება, მით უფრო საინტერესო და ძლიერი ჩემპიონატი გვექნება."

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# გაიცანით: მიხეილ ჩიტაშვილი

## 16 მოხსნით უკმაყოფილო

**ახალგაზრდა მიხეილ ჩიტაშვილი (1987 წელსაა დაბადებული) საქართველოს ჩემპიონატში ოთხი წლის წინ გამოჩნდა. იგი ვაჟა კვარაცხელიას სსუ-ს ღირსებას იცავდა, თამაშობდა "დინამოშიც", თუმცა წელს, თსუ-ს მაისურში გამოწყობილ მიშას ბევრი ვერ სცნობს. ამის მიზეზი მარტივია - ჩიტაშვილმა ბოლო ორი წელი ირანის პირველობაზე გაატარა და საქართველოში შედარებით დახვეწილი ჩამოვიდა.**

**იგი თსუ-ს იმდენად კარგად მოერგო, რომ მესამე ტურია, მწვრთნელი, ნუგზარ ჭეიშვილი მიშას მოედნიდან გასაყვან და დასასვენებელ დროს იშვიათად პოულობს. ამ ეტაპზე ხმამაღალი განცხადებებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ, მგონია, რომ თუ ასე განაგრძო, ჩიტაშვილი მალე ნაკრების მწვრთნელთა ხედვის არეში მოექცევა - მისებრ სწრაფი გამთამაშებელი ხომ ჩემპიონატში ორად-ორი გვყავს - ლაშა გამყრელიძე და ბელტონ რივერსი. საინტერესო იყო, ამასწინათ, ჩიტაშვილის ამ დუეტთან დაპირისპირება. მართალია "აზოტმა" თსუ დაამარცხა, მაგრამ სტუდენტთა გამთამაშებელმა მატჩი 5 ქულით, 16 მოხსნით, 7 პასითა და 2 ჩაჭრით დაასრულა. მომდევნო ტურში კი "ავიატორებს" 7-ჯერ (ამ სეზონის რეკორდია) ჩაუჭრა და საბოლოოდ დაამარცხა კიდეც.**

**ერთ კალათბურთელზე ამდენი იმიტომ ვისაუბრეთ, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ერთ-ერთი პერსპექტიული ქართველის შესახებ. ვიდრე მცირე ინტერვიუსაც დავურთავდეთ, მიშას მონაგარს გაგაცნობთ: 3 მატჩი, 24 ქულა (8.0), 26 მოხსნა (8.6), 20 პასი (6.6), 12 ჩაჭრა (4.0).**

**- ვხედავთ, რომ ირანში გატარებულ 2 სეზონს უნაყოფოდ არ ჩაუვლია.**

- სპარსეთში ძლიერი ლიგაა, თითოეულ გუნდს 2-2 მაღალი კლასის უცხოელი კალათბურთელი ჰყავს. მეც ძირითადად, ამერიკელთა წინააღმდეგ მიწევდა თამაში და კარგი გაკვეთილიც მივიღე. გარდა ამისა, ირანში მხოლოდ კალათბურთზე ვახდენდით კონცენტრაციას და კლასის ასამაღლებლად ყველანაირი პირობა არსებობდა. სათანადო დაფინანსება თითოეულ კლუბს აქვს.

**- "აზოტის" ახალწვეული ანვარ ფერგიუსონიც ირანში ასპარეზობდა, თუ მისი თამაშის მიხედვით ვიმსჯელებთ, მთლად მაღალი დონე არ უნდა ყოფილიყო...**

- ვფიქრობ, ფერგიუსონი საქართველოში უვარჯიშებელი ჩამოვიდა, თორემ ირანში ურიგო კალათბურთს არ თამაშობდა. ძირითადად დაცვაში გამოირჩეოდა, მაგრამ 10-ზე მეტ ქულას ყოველთვის აგროვებდა.

**ამასობაში კოტე ტულუშმა ჩაგვიარა (ინტერვიუს კლუბ "12 მაგიდაში" ვინერდი) და თავი გადააქნია, ერთხელ სპარსეთში უნდა წავიდეთ და საკუთარი თვალით ნახო, რა დონის ჩემპიონატი აქვთო... შეგახსენებთ, რომ კოტე "თეგას" ღირსებას იცავდა, ჩიტაშვილი - "ნაფტის".**

**- საქართველოში გადმოვიდეთ, სწორედ ფერგიუსონს ბურთი 16-ჯერ მოუხსენი...**

- როგორც უკვე ვთქვი, მგონია, რომ მას ამ ზაფხულს საერთოდ არ უვარჯიშია. რაც შეეხება ჩემს თამაშს, აღვნიშნავ, რომ ფარქვეშ შესვლებზე ბევრს ვმუშაობ... თუმცა, "აზოტთან" ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ.

**- რატომ?**

- კმაყოფილი როგორ უნდა ვიყო, როცა 30 ქულის სხვაობით დავმარცხდით?! ნებისმიერი შეხვედრის წაგება პირველ რიგში გამთამაშებლის ბრალია.

**- სამაგიეროდ, მომდევნო ტურში "ავიამშენი" დაამარცხეთ და კმაყოფილების საფუძველიც უნდა გქონდეს.**

- "ავიას" ძლევამ გამახარა, მაგრამ თუ გახსოვთ, ბოლო წამებზე ზედიზედ ორი მნიშვნელოვანი საჯარიმო ავაცილე, რაც კინალამ ძვირად დაგვიჯდა.

**- როგორც ჩანს საჯარიმო ტყორცნებზეც სამუშაო გაქვს.**

- ვინ გაცდის? ვიცოდით, რომ "ავიამშენთან" დაძაბული ბრძოლა გვექნებოდა და თავისუფალი ტყორცნების რეალიზებასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ამიტომ მატჩის წინა დღეს მე და მიშა ფანჩულიძე დარბაზში დავრჩით და საჯარიმოების შესასრულებლად რომ მოვემზადეთ, სინათლე გამოირთო... შუქის ჩაქრობამ კინალამ მოგებული მატჩი წაგვაგებინა.

**- ბოლოს თსუ-ზეც ვთქვათ.**

- ჩვენი გუნდი შემადგენლობით არავისზე ნაკლები არ არის. თამაში რომ შეგვიძლია "ავიას" ძლევამაც დაადასტურა. სეზონის ბოლომდე რამდენად სრულყოფილად ვითამაშებთ, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამბო

მსოფლიო ჩემპიონატი

# მსოფლიო ჩემპიონები: კუზანაშვილი და პავლიაშვილი

პრაღაში დამთავრებულ სამბისტთა მსოფლიო პირველობაზე დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები. ჩვენებურთა მონაგარი ერთბაშად 5 მედალია, მაგრამ უფრიო სასიხარულო და აღსანიშნავი ისაა, რომ ამათგან 2 ოქროსია. მსოფლიო ჩემპიონები საგარეჯოელი **უშანგი კუზანაშვილი** (52) და მცხეთელი **მირიან პავლიაშვილი** (100) გახდნენ. ვერცხლის მედალი რუსთაველმა მძიმეწონოსანმა **ზვიად ჩინჩალაძემ** მოიპოვა, ბრინჯაო - ასევე საგარეჯოელმა კახა მამულაშვილმა (74) და თბილისელმა **ლევან წიკლაურმა** (82), რომელმაც საზოგადოებას თავი უფრო ძიუდოში მიღწეული წარმატებებით გაიცნო - იგი საქართველოს პრიზიორია, აგვისტოში კი ბრაუნშვაიგის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. იგი პრაღაშიც ფავორიტად წავიდა და მედალიც მოიპოვა. სამწუხაროდ, ამჯერად უმედლოდ დარჩა შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **მინდია ბოდაველი** (90).

ჭიდაობის სხვა სახეობების დარად, ამით სეზონი სამბისტებმაც დაამთავრეს და ამათაც დიდი წარმატებით. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ ძიუდოისტებმა მსოფლიო ჩემპიონატზე 1 ოქრო და ამდენივე ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს, „ანტიკოსებმა" - 2 ოქრო, „თავისუფლებმა" - 1 ბრინჯაო.

**ირაკლი თავაძე**



უშანგი კუზანაშვილი

## ძიუდო

# ორი მედალი ერევნის კომერციულიდან

ამ უქმეებზე ერევანში დამთავრდა "გრან პრის" ტურნირი ძიუდოში, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ფალავნები - **დავით ქევხიშვილმა** (73) ვერცხლი მოიპოვა, **ნესტორ ხერგიანმა** (60) - ბრინჯაო. ტურნირში კიდევ ერთი ქართველი ასპარეზობდა - **მინდია ხომიზური** (66), თუმცა ის ტრავმის გამო უმედლოდ დარჩა.

შეგახსენებთ, რომ ესაა კომერციული ტურნირი, რომელსაც ოლიმპიურ ლიცენზიებთან არაფერი აკავშირებს. ჩვენმა ფალავნებმა სეზონი თითქმის დაამთავრეს. კალენდარში დარჩენილია დეკემბრის დასაწყისში გასამართი ევროპის აბსოლუტური პირველობა, რასაც საქართველოს ჩემპიონატი მოჰყვება, რითაც ნაკრები საგაისო სეზონისთვის დაიწყებს მზადებას.

ზემოთ ლიცენზიები ვახსენეთ და ბარემ აქვე გეტყვით, რომ სალიცენზიო რეიტინგში **ზაზა კედელაშვილი** (66) 124 ქულით მესამეა. აქ პირველი 170-იანი ჰოლანდიელი **დაქს ელმონტია**. მეორეზეა 130-იანი რუსი **ალიმ გადანოვი**, მეოთხეზე 120-ით ფრანგი **სებასტიან ბერტოლოტი**, მეხუთეზე – 110 ქულით გაბერძნებული **ტარიელ ზიდირიდისი** (სონიშვილი).

ცოტა უფრო რთულადაა საქმე 81-ში, სადაც ჩვენგან საუკეთესო **გიორგი ბაინდურაშვილი** მერვეზეა 52 ქულით, ლიცენზიას კი 9 ფალავანი იღებს.

# მეტრეველის ვერცხლი

ფინურ ვანტააში დამთავრდა ქვეყნის ღია პირველობა ძიუდოში, რომელშიც საქართველოდან ძირითადად სათადარიგო ფალავნებმა იჭიდავეს გამოცდილების მისაღებად. შედეგიც ამის შესაბამისია - მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი, რომელიც მძიმე წონაში **ნოდარ მეტრეველმა** მოიპოვა. საერთოდ, ის 100 კილოში ჭიდაობს, მაგრამ ახლად ტრავმამოშუშებულს წონა არ დააკლებინეს. თუმცა ურიგოდ არც იქ გამოსჩულა. მან ჯერ ბრიტანელი თომას თერნერი დაამარცხა, მერე - ამერიკელი ენტონი თერნერი. ამით ფინალში გავიდა, სადაც შვედ კრისტოფერ იოჰანსონთან დამარცხდა.

## ჩოგბურთი



თინათინ ყაველაშვილი

# ყაველაშვილმა კალაშნიკოვას აჯობა

ჩოგბურთის სეზონი ნელ-ნელა ინურება, ქართველი ჩოგბურთელები აგრძელებენ ITF-ის ეგიდით გამართულ ტურნირებში ასპარეზობას. გასულ კვირას ქალთა ასპარეზზე ჩვენთვის სამი ტურნირი იყო საინტერესო - პიტსბურგის (აშშ) 75-ათასდოლარიანი, რომლის მეორე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა 17 წლის **ანა ტატიშვილი**, აგრეთვე მინსკის (50 ათასი) და მალიორკის (10 ათასი) ტურნირები.

მინსკში საკვალიფიკაციო ბატალიები გადალახეს **სოფიო შაფათავამ** და **თინათინ ყაველაშვილმა**, ორგანიზატორებმა, თავის მხრივ, 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** "უაილდ ქარდით" დააჯილდოვეს. ისე მოხდა, რომ ძირითადი ბადის პირველ წრეში ერთმანეთს თანამემამულეები დაუპირისპირდნენ. ოქსანა 3 წლით უფროს ყაველაშვილს შეხვდა. ყაველაშვილი ბრწყინვალედ დაუბრუნდა ჩოგბურთს, ორწლიანი პაუზის შემდეგ მან სულ რამდენიმე თვეში შეძლო მსოფლიოს 558-ე ჩოგნობა. ორი ქართველის დაპირისპირებაში ყაველაშვილმა იმარჯვა - 6:3, 6:3. ასეთივე ანგარიშით (3:6, 3:6) წააგო სოფიო შაფათავამ, რომლის მეტოქეც მე-4 მეოთხე ნომრად განთესილი რუმინელი **სორანა კირსტეა** (117) იყო. მინსკის ტურნირის მერვედფინალში თინათინ ყაველაშვილმა მე-5 ნომრად განთესილ რუს **ეკატერინა ბიჩკოვასთან** (119) წააგო - 1:6, 2:6. ამავე ტურნირის წყვილთა თანრიგში ოქსანა კალაშნიკოვამ რუს **იულია ეფრემოვასთან** ერთად მეოთხედფინალამდე გააღწია. მათ ჯერ რუსული დუეტი (**ციბიშევა, პოლტორაცკაია**) დაამარცხეს - 3:6, 7:6 (6), 10:3, შემდეგ კი მეორე რუსულ წყვილთან (**როდინა, ბიჩკოვა**) წააგეს - 3:6, 1:6. ოქსანა წყვლებში მსოფლიოს 478-ე ჩოგანია, დღეს ის რეიტინგში წინ წაიწევს.

მალიორკაში (ესპანეთი) **სოფიო ქვაცაბაია** (745) თამაშობდა. ის ძირითად ბადეში ებრაელ **იულია გლუშკოს** (896) შეხვდა და, მოულოდნელად, თითქმის უბრძოლველად დამარცხდა - 3:6, 1:6. წყვილთა თანრიგში ქვაცაბაია და თურქი **კაგლა ბუიუქაქჩაი** მე-2 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათ ამერიკელებს (**ამესი, პრუსისი**) აჯობეს - 6:4, 4:6, 11:9. მეოთხედფინალში ქართულ-თურქული დუეტი რუსულ-ფრანგულთან (**არუტინოვა, ტორპი**) დამარცხდა - 4:6, 3:6.

ამ კვირაში **მაკა ჩახნაშვილი** ფრანგული დიუველის ტურნირში (50 ათასი დოლარი) ითამაშებს, მაკა ძირითად ბადეშია. ანა ტატიშვილი კალიფორნიული ლა კვინტას ტურნირის (50 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეშია, სოფიო ქვაცაბაია კვლავ მალიორკაში (10 ათასი) ითამაშებს. ქვაცაბაიამ პირველ საკვალიფიკაციო წრეში **ლარა არუბარენა** (ესპანეთი) დაამარცხა - 6:1, 3:6, 6:2.

ამერიკაში კრის ევერტის კორტებზე მიმდინარეობს 18-წლამდელ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, სადაც ბრწყინვალედ ასპარეზობს 15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (366-ე ჩოგანი ახალგაზრდებში). ბასილაშვილი მე-10 ნომრად განთესეს, პირველ წრეში ის ისვენებდა. მეორეში ბასილაშვილმა ამერიკელ **დევის ტეილორს** აჯობა - 4:6, 6:1, 6:2. მერვედფინალში ქართველმა მე-5 ნომრად განთესილ ბელარუს **ვლაძიმირ კრუკს** მოუგო - 6:3, 6:4. მეოთხედფინალში მან ტრინიდადელ **ჯოზეფ კადოგანს** აჯობა - 6:2, 6:3. ნახევარფინალში მისი მეტოქე სერბი **ფილიპ კრაჟინოვიჩია**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**9 ნოემბერი**

**ლეიკერსი-მინესოტა 107:93**

30:28, 26:22, 27:19, 24:24

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30 ქ. 7 მ. 7 პ. 4 ჩ), ოდომი (18 ქ. 10 მ), ტურიაფი (11 ქ), ფიშერი (11 ქ. 9 პ), ბინუმი (10 ქ. 10 მ. 3 დ), მიმი (10 ქ. 10 მ. 2 დ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (24 ქ. 15 მ), გომესი (17 ქ), კ. სმიტი (15 ქ).

**პორტლენდი-მემფისი 110:98**

23:22, 26:35, 25:15, 36:22

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (30 ქ. 10 მ. 3 დ. 3 ჩ), როი (22 ქ. 8 პ. 4 მ. 2 ჩ), ჯეკი (21 ქ. 4 პ), უებსტერი (17 ქ. 2 დ).

**მემფისი:** გეი (31 ქ. 2 დ), გასოლი (19 ქ), ლოური (14 ქ. 7 მ).

**ჰიუსტონი-მილუოკი 104:88**

24:25, 26:16, 28:29, 26:18

**ჰიუსტონი:** მინი (28 ქ. 10 მ. 3 პ. 3 დ), მაკგრეიდი (21 ქ. 8 მ. 8 პ), უელსი (18 ქ. 7 მ. 2 დ), ბეტიე (15 ქ. 8 მ. 2 დ).

**მილუოკი:** რედი (26 ქ. 7 მ. 4 პ), ქსიანლიანი (19 ქ. 9 მ. 2 ჩ), მეისონი (11 ქ), ბოგუტი (10 ქ), მო უილიამსი (10 ქ. 9 მ. 9 პ).

**მაიამი-ფინიქსი 106:101**

37:29, 23:26, 24:24, 17:27

**მაიამი:** შ. ონილი (25 ქ. 10 მ. 3 პ. 3 დ), ჯეისონ უილიამსი (21 ქ. 10 პ. 5 მ. 4 ჩ), რ. დევისი (21 ქ. 7 მ), ჰასლემი (20 ქ. 13 მ).

**ფინიქსი:** ნეში (30 ქ. 8 პ), დიაო (17 ქ), მერიონი (17 ქ. 24 მ), რ. ბელი (16 ქ), გ. ჰილი (11 ქ. 2 ჩ).

**ბოსტონი-ატლანტა 106:83**

24:19, 31:22, 19:20, 32:22

**ბოსტონი:** გარნეტი (27 ქ. 19 მ. 6 პ. 3 დ), პირსი (23 ქ. 4 პ), ჰაუსი (19 ქ), რ. ალენი (14 ქ).

**ატლანტა:** ჰორფორდი (16 ქ. 7 მ), ჯ. ჯონსონი (16 ქ. 5 პ. 5 ჩ), მერვინ უილიამსი (14 ქ).

**დეტროიტი-კლიპერსი 103:79**

31:21, 28:21, 24:15, 20:23

**დეტროიტი:** ბილაპსი (23 ქ. 5 პ), მოჰამედი (15 ქ. 7 მ), მაკდაიესი (14 ქ), რ. ჰამილტონი (10 ქ. 10 პ. 6 მ).

**კლიპერსი:** კამანი (25 ქ. 7 მ), მაგეტი (19 ქ. 6 მ).

**ვაშინგტონი-დენვერი 92:118**

26:28, 25:32, 11:33, 30:25

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (21 ქ), არენასი (18 ქ. 4 პ. 4 ჩ), ჯეიმისონი (17 ქ. 12 მ. 2 ჩ), ბლატჩე (11 ქ. 8 მ).

**დენვერი:** ენტონი (32 ქ. 5 მ. 5 პ), ჯეი. არ. სმიტი (16 ქ. 6 მ. 5 პ), აივერსონი (15 ქ. 8 პ. 2 ჩ), კემბი (13 ქ. 12 მ. 7 პ. 4 ჩ), კენიონ მარტინი (12 ქ), კლეიზა (11 ქ), ბ. ჯოუნსი (11 ქ).

**სიეტლი-იუტა 101:103**

25:28, 21:24, 29:26, 26:25

**სიეტლი:** დიურანი (20 ქ. 5 მ. 3 ჩ), ჯეფ გრინი (19 ქ), უილკოქსი (17 ქ. 6 მ), უილკინსი (13 ქ), კოლისონი (10 ქ. 12 მ. 2 დ), დელონტე უესტი (10 ქ).

**იუტა:** ბუზერი (27 ქ. 15 მ. 4 პ. 2 დ), ბრიუერი (16 ქ), დ. უილიამსი (14 ქ. 11 პ), ოქური (13 ქ. 2 დ), ჰარპრინგი (11 ქ), კირილენკო (10 ქ. 11 პ. 8 მ. 4 ჩ. 3 დ).

**შარლოტი-ინდიანა 96:87**

24:27, 16:16, 25:30, 31:14

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (28 ქ. 4 მ. 4 ჩ), ოკაფორი (25 ქ. 23 მ), ფელტონი (17 ქ. 2 ჩ), კეროლი (12 ქ).

**ინდიანა:** ჯ. ონილი (18 ქ. 8 მ), მერფი (16 ქ), გრეინჯერი (15 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (10 ქ), ფოსტერი (6 ქ. 12 მ).

**საკრამენტო-კლივლენდი 91:93**

21:23, 27:25, 22:21, 21:24

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (32 ქ. 6 მ), სალმონსი (18 ქ), გარსია (18 ქ. 6 მ. 2 ჩ), დუბი (10 ქ), ბ. მილერი (6 ქ. 10 მ. 3 პ. 3 დ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (26 ქ. 4 მ. 4 პ), დ. ბრაუნი (20 ქ. 11 მ), გუდენი (14 ქ. 9 მ), ილგაუსკასი (11 ქ. 15 მ), დეიმონ ჯოუნსი (10 ქ), გიბსონი (10 ქ).

**ნიუ იორკი-ორლანდო 102:112**

28:28, 21:20, 24:29, 29:35

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (23 ქ. 13 მ. 3 პ. 2 ჩ), კ. რიჩარდსონი (19 ქ), კარი (19 ქ), მარბერი (14 ქ. 7 პ. 3 ჩ), ჯ. კროუფორდი (13 ქ. 5 პ).

**ორლანდო:** ნელსონი (24 ქ. 10 პ), დ. ჰოვარდი (22 ქ. 20 მ. 3 დ), რ. ლუისი (21 ქ. 6 პ), თურქოღლუ (21 ქ. 3 ჩ).

**ნიუ ორლეანი-ს. ანტონიო 85:97**

24:23, 21:29, 18:29, 22:16

**ნიუ ორლეანი:** პოლი (18 ქ. 7 პ), დევიდ უესტი (15 ქ. 3 ჩ), ბ. ჯექსონი (12 ქ. 5 პ), ჰ. არმსტრონგი (10 ქ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (27 ქ. 8 პ. 4 მ. 2 ჩ), დანკანი (24 ქ. 12 მ. 4 დ), ჯინობილი (14 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), ობერტო (13 ქ).

**ფილადელფია-ტორონტო 103:105**

19:24, 20:23, 29:24, 35:34

**ფილადელფია:** იგუოდალა (26 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), ლ. უილიამსი (21 ქ), ა. მილერი (14 ქ. 7 პ), კორვერი (10 ქ).

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 10 მ. 3 პ), ე. პარკერი (22 ქ. 6 მ), ტი. ჯეი. ფორდი (16 ქ. 5 პ).

**10 ნოემბერი**

**პორტლენდი-დალასი 91:82**

28:22, 21:20, 21:15, 21:25

**პორტლენდი:** როი (32 ქ. 7 პ), ოლდრიჯი (18 ქ. 8 მ), ტ. აუთლო (14 ქ. 10 მ. 4 პ), პრჟიბილა (7 ქ. 10 მ. 2 დ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 7 მ), ტერი (16 ქ. 4 პ), ბასი (13 ქ. 7 მ), ნოვიცკი (11 ქ. 9 მ. 5 პ), დიოპი (უქულოდ, 11 მ).

**ორლანდო-ფინიქსი 96:106**

27:34, 16:25, 23:26, 30:21

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (33 ქ. 18 მ. 3 პ), აროიო (13 ქ. 8 პ. 4 მ. 2 ჩ), თურქოღლუ (11 ქ), არიზა (11 ქ).

**ფინიქსი:** ბარბოსა (39 ქ. 7 მ. 6 პ. 2 ჩ), ნეში (19 ქ. 11 პ. 5 მ), გ. ჰილი (14 ქ. 8 მ). ა. სტაუდმაიერი (13 ქ. 6 მ).

**ინდიანა-დენვერი 106:113**

46:31, 28:25, 14:26, 18:31

**ინდიანა:** მერფი (18 ქ. 10 მ. 3 პ), ჯ. ონილი (15 ქ. 12 მ. 4 პ), გრეინჯერი (13 ქ), ს. უილიამსი (12 ქ).

**დენვერი:** ენტონი (32 ქ. 10 მ. 5 პ), აივერსონი (27 ქ. 10 პ. 5 მ. 3 ჩ), კლეიზა (21 ქ. 7 მ), მ. დანლივი-უმცროსი (17 ქ. 6 მ. 4 პ), დიარა (11 ქ), კემბი (10 ქ. 10 მ. 5 დ. 4 ჩ. 3 პ).

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 101:112**

27:26, 25:33, 14:28, 35:25

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (28 ქ), კიდი (17 ქ. 12 პ. 6 მ. 2 დ), ვ. კარტერი (17 ქ. 2 დ), დ. არმსტრონგი (10 ქ).

**ბოსტონი:** პირსი (28 ქ. 4 პ. 2 ჩ), რ. ალენი (27 ქ. 10 მ. 5 პ), გარნეტი (18 ქ. 14 მ. 6 პ. 3 ჩ), პაუსი (13 ქ), რონდო (11 ქ. 5 მ. 5 პ).

**იუტა-მემფისი 118:94**

35:30, 29:19, 25:22, 29:23

**იუტა:** ბუზერი (31 ქ. 7 მ. 3 პ), დ. უილიამსი (20 ქ. 13 პ. 5 მ), გირიჩეკი (16 ქ. 2 ჩ), კირილენკო (15 ქ. 12 მ. 9 პ. 4 ჩ), რ. ბრიუერი (10 ქ).

**მემფისი:** გეი (18 ქ), გასოლი (11 ქ. 4 მ), ნავარო (10 ქ), კონლი (10 ქ. 9 პ), მ. მილერი (6 ქ. 12 მ), ტი. ჯეი. ფროდი (5 ქ. 14 პ).

**ჩიკაგო-ტორონტო 71:101**

13:17, 17:24, 13:36, 24:28

**ჩიკაგო:** ნოჩიონი (20 ქ. 5 მ), გორდონი (11 ქ).

**ტორონტო:** დელფინო (16 ქ. 7 მ), ბოში (14 ქ. 6 მ), ბარნიანი (14 ქ), მუნი (12 ქ. 6 მ. 3 ჩ), ე. პარკერი (12 ქ), კაპონო (11 ქ).

**საკრამენტო-მინესოტა 100:93**

16:19, 26:20, 31:34, 27:20

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (29 ქ. 2 ჩ), სალმონსი (19 ქ. 3 ჩ), ბ. მილერი (12 ქ. 16 მ. 3 პ. 3 დ), გარსია (10 ქ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (17 ქ. 12 მ), მაკკენტსი (16 ქ), სი. ბრიუერი (15 ქ. 8 მ. 2 პ. 2 ჩ), რეტლიფი (14 ქ. 7 მ. 6 დ), კ. სმიტი (10 ქ. 5 ).

## TV-სპორტი

**12 ნოემბერი. ორშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ევერტონი.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სევილია.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ველეს სარსფილდი.
19:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
20:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-არსენალი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი.
09:49 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
10:17 ფეხბურთი. Barca TV.
10:26 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
12:13 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:42 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
14:29 ფეხბურთი. Barca TV.
14:39 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
15:06 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი.
17:25 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-არსენალი (LIVE).
01:47 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
02:16 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი.
04:06 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
04:06 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
06:17 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.

**EUROSPORT**

11:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
11:45 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
12:45 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ფინალი. ბელფასტი.
14:45 ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. საპასუხო მატჩი.
16:15 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
17:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. წლის შემაჯამებელი ჩემპიონატი. ფინალი. ჟუსტინ ანენი (ბელგია)-მარია შარაპოვა (რუსეთი). მადრიდი. ესპანეთი.
18:45 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ფინალი. ბელფასტი.
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 მულტისპორტი.
22:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ფინალი. ბელფასტი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
04:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. მექსიკა.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზვეზდა (რუსეთი)-ლუბლიანა (სლოვენია)
15:00 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ფლენსბურგი (გერმანია)-დრამენი (ნორვეგია)
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზვეზდა (რუსეთი)-ლუბლიანა (სლოვენია)
19:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
20:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. მექსიკა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 მულტისპორტი.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
22:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
22:45 ახალი ამბები.
23:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
00:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მე-3 ადგილისთვის. ბრაზილია.
01:00 პლაჟის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. ფინალი. ბრაზილია-მექსიკა. ბრაზილია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. რუსეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ჩოგბურთი

### მასტერსის თასი

# ესპანელებმა გამარჯვებით დაიწყეს



ფერერმა ფავორიტს მოუგო

**შანხაიში** სტარტი აიღო მამაკაც ჩოგბურთელთა სეზონის დამაგვირგვინებელმა ტურნირმა – მასტერსის თასმა, რომელზეც მონაწილეობას ამ სეზონის რვა საუკეთესო მეჩოგნე იღებს. ტურნირის პირველ დღეს საქმეში ეგრეთ წოდებული ოქროს ჯგუფის ჩოგბურთელები ჩაებნენ.

პირველი შეხვედრები გამარჯვებით დაასრულეს ესპანელმა ჩოგბურთელებმა – მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** და ტურნირზე მეექვსე ნომრად განთესილმა **დავიდ ფერერმა**. პირველს სამი სეტი დასჭირდა ფრანგი **რიშარ გასკეს** დასამარცხებლად, მეორემ კი ორ სეტში აჯობა მსოფლიოს მესამე ჩოგანს, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**.

ნადალმა გასკესთან შეხვედრა უხეიროდ დაიწყო. სამაგიეროდ, ფრანგი, ვისაც რაფასთან წინა სამივე შეხვედრა წაგებული ჰქონდა, შეხვედრა აგრესიულად დაიწყო და მეშვიდე გეიმში ბრეიკსაც მიაღწია. მომდევნო სამი გეიმიდან, გასკემ ორი საკუთარ მოწოდებაზე მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტში კი ნადალმა იპოვნა თავისი თამაში. მან მეექვსე გეიმში მიაღწია ბრეიკს, რის შემდეგაც იოლად მოიგო თავისი ორი გეიმი და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

თითქმის ანალოგიური სცენარით წარიმართა გადამწყვეტი სეტიც, გასკემ გაბრძოლება სცადა, მაგრამ ამჯერადაც მიზანს ვერ მიაღწია. აბობოქრებულმა ნადალმა კი კვლავ მეექვსე გეიმში შეძლო მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება, რის შემდეგაც შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

*"დასაწყისში რაღაც არ გამომდიოდა, მაგრამ მეორე სეტიდან ჩემი თამაში ვიპოვნე და ყველაფერი გამოსწორდა. მესამე სეტში გაცილებით აგრესიულად ვთამაშობდი, ბადესთან გასვლასაც მოვუხშირე და ხანდახან, მოწოდების შემდეგ, დაბრუნებულ ბურთს კორტზე დაუშვებლად საპირისპირო მხარეს ვაგზავნიდი"*, - განაცხადა ნადალმა, ვინც ამ სეზონში ზედიზედ მესამედ მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონის ფინალში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**.

*"ამ სეზონში როჯერს კიდევ უფრო მივუახლოვდი. მაგრამ ეს "უფრო ახლოს" 995 ქულაა. რა თქმა უნდა, უიმბლდონის ფინალი ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ სეზონის ბოლოს მას მაინც ბევრით ჩამოვრჩი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასთან შედარებით, სტაბილურობაც მაკლია"*, - ამბობს ნადალი, ვისაც იმედი აქვს, რომ მომდევნო სეზონში პირველ ჩოგანს უფრო სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

გაცილებით იოლად მოიგო ფერერმა, ვისი გამარჯვებაც ბევრისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა. თუმცა, აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ესპანელი სეზონის ბოლო ნაწილს აღმავლობით ატარებს.

ჯოკოვიჩმა, ვისაც ფერერი აშშ-ის ღიას ნახევარფინალში ჰყავს დამარცხებული, მასტერსის თასის პირველ შეხვედრაში უამრავი (41) უნებლიე შეცდომა დაუშვა, რითაც მეტოქეს მნიშვნელოვნად გაუადვილა საქმე. ბოლო გეიმში მან ბოლოსდაბოლოს მიაგნო თავის თამაშს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

*"ვფიქრობ, ნოვაკი მეტისმეტად ნერვიულობდა. სწორედ ამის ბრალია ის, რომ ამდენი შეცდომა დაუშვა. მე კი პირიქით, თავდაჯერებულად ვითამაშე და რაც მთავარია, კარგ ფორმაშიც ვიმყოფები"*, - ამბობს ფერერი.

დღეს ტურნირში წითელი ჯგუფის ჩოგბურთელები ჩაერთვებიან. ამ ჯგუფში, ფედერერთან ერთად ითამაშებენ ამერიკელი **ენდი როდიკი**, ჩილელი **ფერნანდო გონსალესი** და რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ ფედერერს მასტერსის თასი სამჯერ აქვს მოპოვებული. ბოლო ოთხ სეზონში ერთადერთი მარცხი მან არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანისგან** იწვნია, ვინც ამჯერად შანხაის საგზურის მოპოვება ვერ შეძლო. არადა, სეზონის ბოლოს შესანიშნავ ფორმაში იმყოფება – მასტერსის სერიის ბოლო ორი ტურნირი (მადრიდის და პარიზის) მოიგო და თანაც, ორივეზე შეძლო ფედერერის და ნადალის დამარცხება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**მასტერსის თასი**

**შანხაი (ჩინეთი). ტარაფლექსი**

**საპრიზო ფონდი: 4 450 000 დოლარი**

დავიდ ფერერი (ესპ, 6)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:4, 6:4
რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-რიშარ გასკე (საფრ, 8) 3:6, 6:3, 6:4

## ავტოსპორტი

# ჰემილტონმა ოქროს საჭე მიიღო

„მაკლარენის" ბრიტანელი პილოტი ლუის ჰემილტონი წლევანდელი ფანტასტიკური სეზონის სანაცვლოდ „ოქროს საჭით" დაჯილდოვდა. ამ პრიზს, ტრადიციულად გერმანული გაზეთი Bild am Sonntag გადასცემს.

ჰემილტონმა ჯილდო ფორმულა 1-ის ორგზის მსოფლიო ჩემპიონისგან, ფინელი **მიკა ჰაკინენისგან** მიიღო, რომელმაც ცოტა ხნის წინ, აქტიური სპორტიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

*„ჩემთვის ამ პრიზის მიღება უდიდესი პატივია. „მაკლარენს" საუკეთესო გუნდი ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ წელს ტიტული ვერ მოვიგეთ, ამ სეზონმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა"*, -აღნიშნა ჰემილტონმა.

## ჩოგბურთი

# დი მაურო ტოტალიზატორმა დაღუპა

იტალიელი ჩოგბურთელი ალესიო დი მაურო ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ 2006 წლის 2 ნოემბრიდან 2007 წლის 12 ივნისამდე, დი მაურომ ტოტალიზატორებში ჯამში 29 ათასი ფუნტი დახარჯა.

*„დი მაურო პირველი ჩოგბურთელია, ვინც ჩვენი ანტიკორუფციული პროგრამის მიხედვით დაისაჯა. დისკვალიფიკაციის ვადა შესაძლოა მეტი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, დებდა თუ რა ის ფულს იმ მატჩებზე, რომელთა შედეგ ზეც დი მაუროს გავლენის მოხდენა შეეძლო"*, - განაცხადა ATP-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **დევიდ ბრედშოუმ**.

დისკვალიფიკაცია 2008 წლის 12 აგვისტომდე იქნება ძალაში.

## ცხელი ხაზი

**კალათბური**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| აელ-აეკ | 70:60 |
| პანათინაიკოსი-არისი | 81:76 |
| პანელინიოსი-ეგალეო | 80:76 |
| პანიონიოსი-აეკ | 90:71 |
| რეთიმნო-კოლოსოსი | 85:86 (ო) |
| პაოკ-ოლიმპია | 79:77 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ფუენლაბრადა-გრანადა | 74:70 |
| ხირონა-რეალი | 83:94 |
| ბარსელონა-ლეონი | 67:56 |
| კახასოლი-ესტუდიანტესი | 86:72 |
| გრან კანარია-ტაუგრესი | 58:69 |
| მურსია-მენორკა | 71:68 |
| უნიკახა-ბილბაო | 76:77 |
| ვალიადოლიდი-ვალენსია | 70:81 |
| ხუვენტუტი-მანრესა | 87:86 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კანტუ-მონტეგრანარო | 72:90 |
| მილანი-ვარეზე | 87:86 |
| ბიელა-კლიმამიო | 78:77 |
| დორლანდო-ტერამო | 78:77 |
| ნაპოლი-სკავოლინი | 73:84 |
| რომა-აველინო | 106:90 |
| სკაფატი-რიეტი | 89:105 |
| სნაიდერო-ბენეტონი | 65:62 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პარი-რუანი | 99:86 |
| ლე მანი-შოლე | 70:59 |
| სტრასბური-შალონი | 92:82 |
| დიჟონი-პლკ | 88:87 |
| გრაველინი-ნანსი | 86:89 (ო) |

**ჰოკეი**

**ევროტური**

| | |
|---|---|
| შვედეთი-ჩეხეთი | 4:2 |
| ფინეთი-რუსეთი | 2:1 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 4:1 |
| ფინეთი-შვედეთი | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| ნადალი-გასკე | 3:6, 6:3, 6:4 |
| ფერერი-ჯოკოვიჩი | 6:4, 6:4 |

**WTA. მადრიდი**

| | |
|---|---|
| ანენი-შარაპოვა | 5:7, 7:5, 6:3 |

ჰოკეი

## რიონიკმა მე-500 გაიტანა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ცნობილი ამერიკელი ჰოკეისტის, ჯერემი რიონიკის კარიერაში. „სან ხოსე შარქსის“ ფორვარდმა „ფინიქსის“ კარში ერთი გოლი გაიტანა, რისი წყალობითაც, მისმა სარეოთ მონაგარმა 500 შაიბა შეადგინა.

ვეტერანი ფორვარდი რიგით მესამე ამერიკელია, ვინც ამ ზღვარს მიაღწია (მანამდე 500 შაიბის გატანა შეძლეს მაიკ მოდანომ და ჯო მულენმა). აღსანიშნავია, „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ცხრაგზის მონაწილეს, კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ „ფინიქსის“ რიგებში აქვს გატარებული.

## ბერჟერონი კარიერას ასრულებს

გამორიცხული არ არის, რომ „ბოსტონ ბრუინზის“ ახალგაზრდა ფორვარდმა **პატრის ბერჟერონმა** კარიერა დაასრულოს. როგორც იცით, ორი კვირის წინ, „ფილადელფიას“ მცველმა **რენდი ჯონსმა** უმძიმესი ტრავმა მიაყენა ბერჟერონს. კერძოდ, ფორვარდმა ცხვირი გაიტეხა და ტვინის შერყევა მიიღო.

22 წლის ჰოკეისტი დღემდე თავის ტკივილს უჩივის. „ბრუინზის“ გენერალური მენეჯერი **პიტერ ჩიარელი** აცხადებს, რომ ბერჟერონის ყინულზე დაბრუნების შესახებ ჯერ საუბარიც ზედმეტია, უფრო მეტიც, მას კარიერის ნაადრევად დასრულებაემუქრება.

შეგახსენებთ, რომ ბერჟერონის წინააღმდეგ გამოჩენილი უხეშობისთვის, ჯონსი მხოლოდ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ამასობაში, „ბოსტონის“ ლაზარეთი კიდევ ორი ჰოკეიტით შეივსო. ტრავმირებულნი არიან მეკარე **მენი ფერნანდესი** და ფორვარდი **შონ ტორნტონი**. პირველს მუხლი აქვს დაზიანებული, მეორემ კი, ფეხის თითი მოიტეხა.

ფერნანდესის დაბრუნების თარიღს ჯერ არ ასახელებენ, ტორნტონი კი, 4-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

## ტორონტო ყველაზე ძვირი ღირს

სააგენტო „როიტერი“ იუწყება, რომ „ტორონტო მეიპლ ლივზი“ მსოფლიოში ჰოკეის ყველაზე ძვირადღირებული კლუბია. ჟურნალ „ფორბსის“ მიერ შედგენილი რეიტინგის მიხედვით, ბოლო ერთ წელიწადში კანადური გუნდის ღირებულება 24 პროცენტით გაიზარდა და 413 მილიონ დოლარს მიაღწია.

მეორე ადგილზეა „ნიუ იორკ რეინჯერსი“ - 365 მილიონი. ცნობისთვის, სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „ანაჰაიმი“, 197 მილიონით მხოლოდ მე-12 ადგილს იკავებს.

კალათბურთი

## მორისონმა ოპერაცია გაიკეთა

„შარლოტ ბობკეტსის“ ფორვარდ **ადამ მორისონს** წარმატებით ჩაუტარდა ოპერაცია. როგორც ცნობილია, ამ კალათბურთელმა რეგულარულის სტარტზე მარცხენა მუხლი დაიზიანა და ამის გამო, მთლიანად გაუცდება წლევანდელი სეზონი.

მორისონი 2006 წლის დრაფტის მესამე ნომერია. გასულ სადებიუტო სეზონში ის საშუალოდ მატჩში 11.8 ქულას აგროვებდა.

## კარტერმა ტრავმა მიიღო

„ნიუ ჯერსი ნეტსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ვინს კარტერმა**, „ბოსტონთან“ ბოლო ტურში (101:112) მარჯვენა ფეხი დაიზიანა. მესამე მეოთხედის ბოლოს, „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ რვაგზის მონაწილე პარკეტზე უხერხულად დაეცა და ფეხი გადაიბრუნა. კარტერი ორი წუთი დამოუკიდებლად წამოდგომას ვერ ახერხებდა, შემდეგ კი, კოჭლობით დატოვა მოედანი.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი ვერ შეძლებს თამაშს „ნეტსის“ მცველი.

## ჯეფერსონმა წინ წაიწია

ამასობაში, „ნიუ ჯერსის“ ფორვარდი **რიჩარდ ჯეფერსონი** „ნეტსის“ ყველა დროის ბომბარდირებს შორის მეხუთე ადგილზე გადავიდა. ამ კალათბურთელმა „ვაშინგტონთან“ მატჩში 25 ქულა დააგროვა და გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილ თავდამსხმელს კრის მორისს გაუსწრო.

ამჟამად, 27 წლის ჯეფერსონის ანგარიშზე 6778 ქულა მოდის.

## ილარიო საოპერაციოა

დაახლოებით თვენახევრით გამოეთიშა რეგულარულ ჩემპიონატს „დენვერ ნაგეტსის“ ფორვარდი **ნენე ილარიო**. ბრაზილიელმა ლეგიონერმა „ბოსტონ სელტიქსთან“ შეხვედრაში მარცხენა ფეხის ცერა თითი დაიზიანა.

სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ 25 წლის ფორვარდს ოპერაცია ესაჭიროება, ხოლო სარეაბილიტაციო პერიოდი 6 კვირა გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ნენეს გარდა, „დენვერს“ ტრავმირებულთა სიაში კიდევ ოთხი კალათბურთელი ჰყავს.

## მესი MVP გახდა

ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის საუკეთესო კალათბურთელად საბერძნეთის „არისის“ ფორვარდი **ჯერემია მესი** დაასახელეს. ამერიკელმა ლეგიონერმა 40 სარეიტინგო ქულა დააგროვა.

მესამე ტურში „არისმა“ 77:73 დაამარცხა „ციბონა“, რაშიც მესის წვლილი 28 ქულით, 11 მოხსნით, 2 პასითა და 2 დაფარებით შემოიფარგლა.

MVP-ის ტიტულის მოპოვების სხვა კანდიდატები იყვნენ: **ნიკოლა პეკოვიჩი** („პარტიზანი“), რომელიც ზედიზედ მესამედ იყო ნომინირებული, **არვიდას მაციაუსკასი** („ოლიმპიაკოსი“), **ჰოლი პრასი** („ლეტუვოს რიტასი“) და **მარკ ჯექსონი** („ოლიმპიაკოსი“).

## ჰაპოელმა ბერდი დაიმატა

ჰოლონის „ჰაპოელმა“ სერიოზულად გააძლიერა შემადგენლობა. ამ კლუბმა ვილნიუსის „ჟალგირისიდან“ ცენტრი **ტანოკა ბერდი** დაიმატა, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი ლიდერია მოხსნების რაოდენობით. ამ ტრანსფერით, „ჰაპოელი“ ისრაელის ჩემპიონატის „ოთხთა ფინალში“ აპირებს მოხვედრას.

რამდენიმე დღის წინ, ტანოკა ბერდი „ჟალგირისის“ ძირითადი შემადგენლობიდან მოკვეთეს. კალათბურთელის თქმით, მისთვის უცნობია მწვრთნელის გადაწყვეტილების მიზეზი. ევროლიგის ბოლო ტურში ბერდს მონაწილეობა არ მიუღია. ის ინდივიდუალური გრაფიკით აგრძელებდა ვარჯიშს, როცა ისრაელის კლუბიდან შეთავაზება მიიღო და სასწრაფოდ მოაწერა ხელი „ჰოპოელთან“ კონტრაქტს.

მოტოსპორტი

## როსის დუკატი ურჩევნია

მოტოგრან-პრის კლასში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ვალენტინო როსი** გუნდის შეცვლას აპირებს. კერძოდ, იტალიელმა მოტომრბოლმა არ გამორიცხა 2009 წელს „დუკატის“ რიგებში გადასვლა. ამჟამად, როსი „იამაჰას“ წევრი გახლავთ.

წელს, იტალიელი ტიტულის გარეშე დარჩა - მან საერთო ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი, სწორედ „დუკატის“ მოტოციკლით მოასპარეზე ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი** გახდა. სხვათა შორის, როსი 1996 წლის შემდეგ პირველად ვერ მოხვდა საპრიზო ორეულში.

*„თუ პროგრესი იქნება, შემიძლია კიდევ ერთი წელი დაველოდო. მაგრამ, თუ წინსვლა ვერ დავინახე, აუცილებლად წავალ. „დუკატისგან“ და „ჰონდასგან“ კარგი წინადადებები მაქვს, თუმცა პირადად მე „დუკატი“ მირჩევნია, ვინაიდან ეს იტალიური გუნდია“*, - აცხადებს როსი.

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**9 ნოემბერი**

**ბაფალო-ტორონტო 0:3**

0:0, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 მაკნიბი-3 (სუნდინი), 0:2 სუნდინი-9 (ტ. კაბერლე, პონიკაროვსკი), 0:3 დეველო-2 (სტაიანი).

**ფლორიდა-ატლანტა 1:4**

0:0, 0:1, 1:3

**გოლები:** 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-6 (ჰოლიკი, პერენი), 1:1 ჰორტონი-6 (ო. იოკინენი, პელტონენი), 1:2 ტორბურნი-1 (სლეიტერი, პოპოვიჩი), 1:3 კოვალჩუკი-14 (მარიან ჰოსა, ჰოლიკი), 1:4 მარიან ჰოსა-4 (კოვალჩუკი, ენსტრიომი).

**დეტროიტი-კოლამბუსი 4:1**

1:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 კლირი-4 (ლებდა, სამუელსონი), 1:1 ნეში-11 (ვიბორნი, ფიოდოროვი), 2:1 ჰოლმსტრიომი-9 (ლიდსტრიომი, სამუელსონი), 3:1 კლირი-5 (მიოლტბი, ლიდსტრიომი), 4:1 ზეტერბერგი-13 (რაფალსკი, მიოლტბი).

**ჩიკაგო-სენტ ლუისი 4:2**

2:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ვაგნერი-2 (პერონი, სტემპნიაკი), 1:1 კეინი-6 (ჯეისონ უილიამსი, ბიფუგლინი), 2:1 ვანდერმეერი-1 (სამსონოვი, ვიშნევსკი), 3:1 რ. ბურკი-1 (კიტი, შარპი), 3:2 პერონი-2 (რუჩინსკი, ვაგნერი), 4:2 პერო-2 (კეინი, ლანგი).

**ვანკუვერი-კოლორადო 2:1 (ო)**

0:0, 1:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰ. სედინი-3 (პიატი, ისბისტერი), 1:1 ლაილსი-2 (ჰეიდუკი, საკიკი), 2:1 ჰ. სედინი-4 (დ. სედინი, ედლერი).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 3:2 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 მიტჩელი-1 (გრირი, რიონიკი), 1:1 გეტცლაფი-5 (პერი, შნაიდერი), 1:2 ჯ. ტორნტონი-6 (რივე, პაველსკი), 2:2 მაკდონალდი-3 (მარჩანტი, ჰასკინსი).

**ბულიტები გაიტანეს:** გეტცლაფი (ანაჰაიმი), მაკდონალდი (ანაჰაიმი).

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 2:1**

1:0, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ვაშიჩეკი-5 (კამპოლი, პარკი), 1:1 ზუბრუსი-3 (რახუნეკი), 2:1 შატანი-5 (პანტერი, კამპოლი).

**ფილადელფია-პიტსბურგი 5:2**

2:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 1:0 კ. ტიმონენი-1 (ბრიერი, ლუპული), 2:0 ნუბლი-5 (ბრიერი, კ. ტიმონენი), 3:0 ლუპული-6 (მ. რიჩარდსი, კ. ტიმონენი), 3:1 მალკინი-6 (რაიან უიტნი, კროსბი), 3:2 გონჩარი-4 (მალკინი, რაიან უიტნი), 4:2 ბრიერი-6 (მ. რიჩარდსი, კ. ტიმონენი), 5:2 ჰარტნელი-1 (მ. რიჩარდსი).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 2:5**

0:0, 1:1, 1:4

**გოლები:** 0:1 კუბა-2 (ულეტი, ლეკავალიე), 1:1 ოვეჩკინი-11 (მ. გრინი, პოტი), 1:2 პროსპალი-11 (ლეკავალიე, სენტ-ლუისი), 1:3 სენტ ლუისი-5 (პროსპალი, ლუკოვიჩი), 1:4 კრეიგი-1 (პროსპალი, გრეტონი), 2:4 ფლეიშმანი-4 (პოტი, ვიქ. კოზლოვი), 2:5 რეინჯერი-2 (ბ. რიჩარდსი).

**ატლანტა-კაროლინა 3:5**

1:1, 1:2, 1:2

**გოლები:** 1:0 პერენი-4 (ვიაჩ. კოზლოვი), 1:1 ბრინდამორი-7 (რეი უიტნი, სტილმანი), 2:1 მარიან ჰოსა-5 (პერენი, კლი), 2:2 ჯასტინ უილიამსი-6 (ე. სტაალი, საიდენბერგი), 2:3 ბრინდამორი-8 (რეი უიტნი, ჯასტინ უილიამსი), 2:4 სტილმანი-9 (ე. კოული, ჰედიკანი), 3:4 მარიან ჰოსა-6 (უაიტი), 3:5 ე. სტაალი-12 (კომოდორი, სტილმანი).

**ნეშვილი-კოლამბუსი 4:3 (ბ)**

1:1, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ბონკი-6 (ჰამჰუისი, კოისტინენი), 1:1 გლენკროსი-1 (ფრიტშე), 2:1 ჟიდლიცკი-1 (სატერი, ლეგვანდი), 3:1 ტუტუ-4 (გელინასი, ნიკოლი), 3:2 შალორტა-3 (ფიოდოროვი, ჩიმერა), 3:3 ჟერდიოვი-5 (ნოვოტნი, გლენკროსი).

**ბულიტები გაიტანეს:** ერატი (ნეშვილი).

**კალგარი-ედმონტონი 2:4**

1:2, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 სემ განიე-2 (კოლიანო, რისონერი), 1:1 ტანგეი-5 (კონროი, იგინლა), 1:2 ნილსონი-1 (კოლიანო, გილბერტი), 1:3 ჰორკოფი-6 (პენერი, ტარნსტრიომი), 2:3 რეგერი-2 (ნოლანი, ლომბარდი), 2:4 ჰორკოფი-7 (ტარნსტრიომი, ნილსონი).

**10 ნოემბერი**

**ოტავა-მონრეალი 3:1**

0:1, 0:0, 3:0

**გოლები:** 0:1 მარკოვი-5 (ს. კოივუ, რაიდერი), 1:1 ალფრედსონი-12 (ჰიტლი, ფიშერი), 2:1 ნილი-2 (ვოლჩენკოვი, მაკამონდი), 3:1 ალფრედსონი-13 (ჰიტლი).

**ბოსტონი-ბაფალო 2:1**

0:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 შტურმი-7 (სავარი), 1:1 პეი-3 (ლიდმანი, გოსტადი), 2:1 კობესიუ-7 (ხარა, ვიდემანი).

**ტორონტო-რეინჯერსი 2:3 (ბ)**

0:0, 2:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 შენეჰანი-5 (ევერი-3, გომესი-6), 0:2 ევერი-2 (შენეჰანი-5, ჟირარდი-4), 1:2 პონიკაროვსკი-5 (ანტროპოვი, უაიტი), 2:2 პონიკაროვსკი-6 (ვოუნიევსკი, სუნდინი).

**ბულიტები გაიტანეს:** შენეჰანი (რეინჯერსი), მარსელ ჰოსა (რეინჯერსი).

**ლოს ანჯელესი-დალასი 6:5 (ო)**

0:2, 0:2, 5:1, 1:0

**გოლები:** 0:1 მოროუ-7 (ი. ლეჰტინენი, მოდანო), 0:2 რიბეირო-7 (რობიდასი), 0:3 კონერი-2 (ჰალპერნი, რობიდასი), 0:4 ჰალპერნი-2 (ზუბოვი), 1:4 დ. ბრაუნი-7 (ვიშნოვსკი), 2:4 ს. ტორნტონი-2 (ჰანძუში, ცაილერი), 3:4 ფროლოვი-4 (დ. არმსტრონგი, ჯ. ჯონსონი), 4:4 კოპიტარი-6 (დ. ბრაუნი, ვიშნოვსკი), 5:4 ნადი-4 (სტიუარტი, ფროლოვი), 5:5 მოდანო-5 (მოროუ, ზუბოვი), 6:5 კოპიტარი-7 (ფროლოვი, მოდრი).

**სან ხოსე-ფინიქსი 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 რაინპრეხტი-5 (მიულერი, დოუნი), 1:1 სეტოგუჩი-3 (პაველსკი, ჯ. ტორნტონი), 2:1 რიონიკი-5, 3:1 მიტჩელი-2 (ერნჰოფი), 4:1 ოზოლინში-1 (ჯ. ტორნტონი).

სამთო თხილამურები

მსოფლიოს თასი

## შილდის საშინაო გამარჯვება

ორკვირიანი უქმობის შემდეგ, განახლდა სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშება. ქალთა მორიგ ეტაპს ავსტრიის სამთო კურორტმა რაიტერალმმა უმასპინძლა, სადაც სლალომის პირველი ეტაპი გაიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საუკეთესონი ავსტრიელი მოთხილამურეები იყვნენ, რომელთაგან ორი ცდის ჯამში, საუკეთესო შედეგი **მარლის შილდს** ჰქონდა, ვინც წარმოშობით სწორედ ამ რეგიონიდანაა.

შილდს პირველ ცდაზე მესამე შედეგი ჰქონდა, მეორეზე კი რისკიანად ისრიალა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც მოკალათდა. არადა, მეორე ცდაზე, ტრასის შუა სექტორში დაშვებული შეცდომის გამო, ის ლამის გამოეთიშა ასპარეზობას.

შილდს 0.06 წამით ჩამორჩა შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი, ავსტრიელი **ნიკოლ ჰოსპი**, იტალიელი **კიარა კოსტაცა** კი, რომელიც პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგი ჰქონდა, საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა, რაც მის სპორტულ კარიერაში, მსოფლიოს თასზე ნაჩვენები საუკეთესო შედეგია.

*"ორივე ცდაზე ძალიან გამიჭირდა. პირველზე მეტისმეტად ბევრი შეცდომა დავუშვი, რის გამოც, მეორეზე გარისკვა გადავწყვიტე. შუა გზაზე სერიოზული შეცდომა რომ მომივიდა, ვიფიქრე, დავამთავრე-მეთქი. მაგრამ ტრასაზე დარჩენაც შევძელი და ფინიშსაც მივაღწიე. ჰოდა, ყველაფერ ამის შემდეგ გამარჯვება მართლაც საოცრებაა. განსაკუთრებით კი იმის გამო მიხარია, რომ საკუთარი ფანების წინაშე გავიმარჯვე"*, - განაცხადა შილდმა.

მართალია, თანაგუნდელთან ძალიან ცოტათი წააგო, მაგრამ ჰოსპი თავისი მეორე ადგილით მაინც კმაყოფილი დარჩა. *ძალიან ძნელი რბოლა იყო და მიხარია, რომ მეორე ადგილზე გავედით. "მარლისი ვარჯიშებზე შეუდარებელი იყო და სიმართლე რომ გითხრათ, მას უფრო დიდი უპირატესობით მოგებაც შეეძლო. მეორე ცდაზე შეცდომა რომ არ დაეშვა, ალბათ წამზე მეტს მომიგებდა. ჰოდა, რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვარ"*, - განაცხადა ჰოსპმა.

აღსანიშნავია, რომ ეს რბოლა ფინეთის ლევიში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იქ თოვლის ნაკლებობის გამო, ეტაპი (ისევე როგორც კაცების სლალომი, რომელიც გუშინ გვიან დასრულდა) რაიტერალმში გადაიტანეს, სადაც ახლა დიდთოვლობაა. მოთხილამურეებს ძლიერი თოვის გარდა, საქმეს ქარი და ნისლიც ურთულებდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**რაიტერალმი (ავსტრია). ქალები. სლალომი**

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1:55.53 (58.13, 57.40); 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:55.59 (58.22, 57.37); 3. კიარა კოსტაცა (იტალია) 1:55.83 (57.97, 57.86); 4. რეზი შტიგლერი (აშშ) 1:55.94 (58.24, 57.70); 5. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:56.07 (58.57, 57.50); 6. მარია პიეტილაე-ჰოლმნერი (შვედეთი) 1:56.08 (58.09, 57.99).



მარლის შილდი ტრასაზე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგაევაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჭელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აქიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა